გილოცავთ შობის ბრწყინვალე დღესასწაულს!

პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

5 იანვარი შაბათი 2013 №003 (13 919) ფასი 80 თეთრი

## კასილიასი აღიარება: №1 გოლკიპერი

### დამაინც, ადანი თუ იკერი?



მესიმ 91 გოლი ერთიანად მოიწონა და წაშალა: 2013 წელს ნულიდან და ესპანიოლიდან იწყებს

ლა ლიგა. ტურის წინათქმა 9

## ალექსანდროული დაბრუნება



### კობახიძე დნიპროდან აგრძელებს

ინტერვიუ 2



### ნერგაძის დანერგილი სიახლე: ქართველი აფრიკაში

4

## ვიქტორი

## სანიკიძემ ფენერის ბადეში 19 ქულა ჩააგდო



ქართველები ევროლიგაზე 12

## აბა, ვნახოთ ერთი, რას გვიმზადებს სამხრეთი

### იტალიაში ნაპოლი და რომა დაეჭიდებიან



სერია A. ტურის წინათქმა 8



## მოგორავს, გვიახლოვდება ოქროს ბურთი...

### ლუიშ ფელიპე სკოლარი:

6

ერთადერთი ნაკლი რონალდოს ცხოვრებაში არის მესი - რომ არა არგენტინელი, რონალდო ზედიზედ ხუთი წლის განმავლობაში საუკეთესო იქნებოდა

ტრანსფერული ხაზი



## ლივერპულს ტოტენჰემმა აჯობა და შალკედან ჰოლტბი გადაიბირა

„ტოტენჰემმა“ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ „შალკესთან“ ნახევარმცველ **ლუის ჰოლტბის** ტრანსფერზე მოილაპარაკა. 22 წლის ფეხბურთელის შეძენა თვეების განმავლობაში „ლივერპულს“ სურდა, აქტიურობდა კიდეც, მაგრამ საქმე საქმეზე, რომ მიდგა, „წითლებს“ ლონდონურმა კლუბმა აჯობა. თუმცა გერმანელი „ნისლიან ალბიონზე“ მხოლოდ სეზონის ბოლოს, ივლისში გადაბარგდება, სეზონს კი გელზენკირხენში ჩაამთავრებს.

„სპურზმა“ სპეციალური წარმომადგენლები ყატარში მიავლინა, სადაც სეზონის განახლებისთვის „შალკე“ ემზადება და ტრანსფერიც გაიჩარხა.



## ჯუზეპე როსი ფიორენტინაში

იტალიის ნაკრების ფორვარდი **ჯუზეპე როსი** ამიერიდან ფლორენციული „ფიორენტინას“ წევრია. „იებმა“ ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ „ვილიარეალთან“ შეთანხმება მიღწეულია და 25 წლის შემტევი კარიერას სამშობლოში გააგრძელებს.

„ფიორენტინამ“ „იუვენტუსს“ აჯობა, ტურინელებს როსის იჯარით აყვანა სურდათ, თუმცა ეს არ აწყობდა ვალენსიურ კლუბს. შეგახსენებთ, რომ როსი გატანჯა ტრავმებმა, რის გამოც მან ევრო 2012 გამოტოვა, ხოლო „ვილიარეალი“ ლა ლიგიდან გავარდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ლელოს მომდევნო ნომერი გამოვა სამშაბათს, 8 იანვარს

ეროვნული ბიბლიოთეკა



ინტერვიუ



სანდრო კობახიძე

# დნიპრო კიეველებს კობახიძის ტრანსფერზე ვერ შეუთანხმდა?

## სანდრო კობახიძე: მეც ასე ვიცი, რომ მოლაპარაკება თანხაზე მიმდინარეობს

**თუ ვინმესთვის წარმატებული იყო გასული 2012 წელი, ერთ-ერთი მათგანი სანდრო კობახიძეა. "ლელო" 25 წლის ფეხბურთელს სხვადასხვა საკითხზე ელაპარაკა: კარიერაზე, ნაკრებზე, 2013 წლის სურვილებზე...**

**კიევის "არსენალში" საქართველოს ნაკრების შემტევმა ნახევარმცველმა აღიარებას უკვე მიაღწია: უკრაინული მედია და გულშემატკივრები მას კლუბის ლიდერთა შორის ასახელებენ.**

**ასე მაგალითად, უკრაინის პრემიერლიგის პირველ ეტაპზე 16 შეხვედრაში 2 გოლი გაიტანა, მაგრამ კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე ჩატარებულ გამოკითხვაში გუნდის საუკეთესო თავდამსხმელად გულშემატკივრებმა სწორედ სანდრო აღიარეს: ქართველმა ლეგიონერმა 58,75% მიიღო და მნიშვნელოვნად გაუსწრო ვლადიმერ გომენიუკსა (15,31%) და ალექსანდრ კოვპაკს (11,56%).**

**- კლუბის ბომბარდირი 5 გოლის გამტანი მაქსიმ შაცკიხია, კიევის "დინამოსა" და უზბეკეთის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი. გულშემატკივარმა საუკეთესო თავდამსხმელად მაინც შენ დაგასახელა. ეტყობა, კიეველებს თავი მართლაც ძალიან შეაყვარე.**

- მათ სიყვარულს ყოველთვის ვგრძნობდი და ეს აღიარება ძალიან მახარებს. მაგრამ ისეც არ გაიგოთ, თითქოს "არსენალის" ქომაგები მხოლოდ მე მაფასებენ. შაცკიხი საუკეთესო ნახევარმცველად დაასახელეს და ხალხი მას ჩემზე არანაკლებად აფასებს.

**- რამდენად მართალია, თითქოს ზამთრის შეკრებას „დნიპროსთან" ერთად გაივლი?**

- დიახ, ეს უკვე გადაწყვეტილი ამბავია. ხომ იცით, ჩემი სატრანსფერო უფლებები დღემდე „დნიპროს" ეკუთვნის, "არსენალში" კი იჯარით ვთამაშობდი. ახლა ჩემი დაბრუნება დნეპროპეტროვსკელების მთავარმა მწვრთნელმა, ხუანდე რამოსმა მოითხოვა. გუნდი მე-2 ადგილზეა, კიევის "დინამოს" ქულით უსწრებს და მეორე წრეში სერიოზული ბრძოლები ელით. ეს ჩემთვის საინტერესო ვარიანტია.

**- ანუ "დნიპროში" შენი დაბრუნება გადაწყვეტილია?**

- ზამთრის შეკრებას „დნიპროსთან" ერთად გავივლი, ხუანდე რამოსი იქ დამაკვირდება და ჩემი საკითხიც მერე გადაწყდება. ალბათ, თავი რომ გამოვიჩინე, ამიტომ დაინტერესდა. სხვათა შორის, აგვისტოშიც იყო ამაზე ლაპარაკი, მაგრამ მაშინ ეს ვერ მოხერხდა. რა დასამალია, მაშინ "დნიპროში" გადასვლა დიდად არც მსურდა. ახლა სხვა ამბავია, "დნიპრო" ამბიციური კლუბია, სერიოზული ამოცანები აქვს და იქ თამაში სასურველია, "არსენალში" კი ვითარება აირია. თანაც, დნეპროპეტროვსკში "კრივბასიდან" ჩვენი ნაკრების ფეხბურთელი, ჯაბა კანკავაც დააბრუნეს და ეს ამბავიც მახარებს.

**- ეს იმას ნიშნავს, რომ კიევის "დინამოში" შენი გადასვლა გამოირიცხა?**

- ასე კატეგორიულად ჯერ ვერ ვიტყვი. მხოლოდ ის ვიცი, რომ შეკრებას "დნიპროსთან" გავივლი, მაგრამ მეც არ მეუბნებიან, კლუბებს ერთმანეთთან რა მოლაპარაკებები აქვთ. თუმცა, ფაქტია, რომ კიეველები დაინტერესებულები იყვნენ და დღემდე არიან.

**- მართალია, თითქოს "დნიპრო" და კიევის "დინამოს" ხელმძღვანელობა სატრანსფერო თანხაზე ვერ თანხმდებიან?**

- რომ არ დაგიმალოთ, მეც ასე ვიცი და ველოდები, საბოლოოდ, რაზე მოილაპარაკებენ. ამიტომ ვამბობ, რომ ჯერ ზუსტ პასუხს ვერ გაგცემთ – მოლაპარაკებებზე კარგად ინფორმირებული არ ვარ. ეტყობა, "დნიპროს" ჩემი გაშვება არ სურს. ერთის მხრივ, ეს ამბავიც მახარებს, გამოდის, რომ კლუბისა და მწვრთნელისთვის საინტერესო მოთამაშე ვარ.

**- ასეა თუ ისე, "არსენალიდან" უკვე წამოხვედი.**

- ჯერ მხოლოდ ეს შემიძლია დავადასტურო.

**- კარგა ხანს, "დნიპროს" სათადარიგოებში მოხვედრაც სანატრელი გქონდა და მერე იჯარით გაგიშვეს. ახლა არ გაქვს შეგრძნება, რომ შენი დაუმტკიცე?**

- ჯერ კიდევ უნდა დავამტკიცო, რომ გუნდის შემადგენლობაში მოხვედრას ვიმსახურებ. "არსენალი" ძლიერი კლუბია, მაგრამ დნეპროპეტროვსკელები ბევრად ძლიერი და ამბიციურები არიან, ევროპის ლიგაზე თამაშობენ და ჩემს პოზიციაზე დასამკვიდრებლად ბევრი კონკურენტი მეყოლება.

**- ყველაზე სერიოზულ კონკურენტად ვის მიიჩნევ?**

- ასეთი ბევრია და ყველა მაღალი დონის მოთამაშეა. ამიტომ არავის გამოვარჩევ.

**- 2013 წელს რა სურვილებით შეხვდი?**

- ჯერ მინდა, ახალი წელი საქართველოს და ჩვენს გულშემატკივარს მივულოცო და წარმატებები ვუსურვო. ყველაზე დიდი სურვილი ისევ ნაკრებს უკავშირდება. რატომღაც, ასე მგონია, რომ ჩვენი ნაკრების ფეხბურთელები საიმისოდ მომწიფდნენ, რომ წინა წლებზე უკეთესი ფეხბურთი ვაჩვენოთ. იმედია, ასეც მოხდება, შედეგიც გვექნება, თამაშის ხარისხსაც გავაუმჯობესებთ და ხალხს გავახარებთ – სულ მესმის, რომ ყველაზე მეტი პრეტენზია და უკმაყოფილება ჩვენს მიმართ თამაშის ხარისხის გამო არის.

ამას გარდა, ვისურვებდი, საქართველოს ჩემპიონატის დონე გაიზარდოს და ეს დიდი ნახტომი წლეულს მოხერხდეს. ცხადია, პირადი სურვილებიც მაქვს და იმედია, ისიც ამიხდება.

**- კონკრეტულად, რას გულისხმობ?**

- ძლიერ კლუბში მსურს თამაში, რომელიც მუდამ დიდი მიზნებისთვის იბრძოლებს.

**- "დნიპრო" ურიგო გუნდი ნამდვილად არ არის, ევროპის ლიგის მე-16-ფინალშია გასული.**

- რა თქმა უნდა, ძლიერი გუნდია და ამასაც ვგულისხმობ.

ტრანსფერი

# ლაშა სალუქვაძე: კონტრაქტს ისრაელში გავაფორმებ

როგორც ცნობილია, გორის "დილას" ყოფილი თავკაცი **გიორგი დარასელია** სამწვრთნელო კარიერას ხაბაროვსკის „სკა-ენერგიაში" გააგრძელებს, სადაც სამ ქართველ ფეხბურთელსაც წაიყვანს - „დილას" კაპიტანს **ლაშა სალუქვაძეს**, ამავე გუნდის ნახევარმცველს **გოჩა ხოჯავასა** და ტრავმამოშუშებულ **ოთარ მარცვალაძეს**.

ლაშა სალუქვაძის თქმით, ხაბაროვსკულ კლუბს უახლოეს კვირაში შეუერთდება: *"გადაწყვეტილია, რომ "სკა-ენერგიაში" ვითამაშებ. მაგრამ ჯერ კონტრაქტი არ გამიფორმებია. გუნდის შეკრება ისრაელში 10 იანვარს იწყება, ყველაფერს ადგილზე გავარკვევ და ალბათ, კონტრაქტსაც იქ გავაფორმებ".*

ცნობილი ამბავია, რომ რუსეთის პირველი ლიგის მოთამაშეებს გაუთავებელი მოგზაურობა უწევთ, განსაკუთრებით კი, რუსეთის აღმოსავლეთის ქალაქების გუნდის ნევრებს. ხაბაროვსკის "სკა-ენერგია" კი ლამის სულ ჰაერშია, რადგან ლიგის მონაწილეთა უმრავლესობა რუსეთის დასავლეთში მდებარე ქალაქებს წარმოადგენს: *"ეს არის ყველაზე დიდი პრობლემა, რასაც რუსეთში წავაწყდებით. ლამის 12-საათიანი ფრენა მართლაც ძნელი ასატანია. მაგრამ მთავარია, რომ რუსეთში დავბრუნდი და მოვხვდი კლუბში, რომლის მიზანიც პრემიერლიგაში დაბრუნებაა.. ეს ისეთი გამოწვევაა, რომლისთვისაც ამ სირთულეებთან შეგუება ღირს".*



ლაშა სალუქვაძე (ბურთით) ახალ წელს ახალ გუნდში გადავიდა

ლეგიონერი

# ნავალოვსკი მეტალურგ-კუზბასში რჩება

**გიორგი ნავალოვსკი** ნოვოკუზნეცკის "მეტალურგ-კუზბასში" ზაფხულში ჩაირიცხა. 26 წლის მცველი კლუბში მოსკოვის "სპარტაკის" ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა, **ვლადიმირ ფედოტოვმა** წაიყვანა.

ნოვოკუზნეცკელებმა რუსეთის ნაციონალურ საფეხბურთო ლიგაში (პირველი ლიგა) პირველი წრე უფერულად ჩაატარეს და 21 შეხვედრაში დაგროვილი 18 ქულით 17-გუნდიან ჩემპიონატში ბოლოდან მეორე ადგილზე იმყოფებიან. გიორგიმ საშემოდგომო ეტაპის ბოლო ტურის შეხვედრა გამოტოვა. სწორედ მაშინ გაჩნდა ინფორმაცია, რომ გუნდს საქართველოს ნაკრებში ნათამაშები მარცხენაფლანგელი დატოვებდა და ახალი კლუბის ძიება სურდა.

მანამდე ეს სურვილი გიორგიმ "ლელოსთან" გამოხატა. მაგრამ სურვილი ერთია, მეორე კი "მეტალურგ-კუზბასის" პოზიცია...

*"ბოლო შეხვედრა იმიტომ გამოვტოვე, რომ საქართველოში საქმე მქონდა და გამომიშვეს. კლუბიდან წამოსვლაც მინდოდა, გუნდი ჩემპიონატში ბოლოსწინა ადგილზეა და არ შეიძლება ეს მომწონდეს. შესაძლებლობის შემთხვევაში, სხვაგან გადასვლაზე უარს ნამდვილად არ ვიტყოდი, მაგრამ კლუბთან კონტრაქტი მაისამდე მაკავშირებს და ვერ მოვდივარ. ასე რომ, მეორე წრისთვისაც "მეტალურგ-კუზბასში" მოვემზადები"* – გვითხრა ნავალოვსკიმ.

შეგახსენებთ, რომ სხვადასხვა დროს გიორგი თამაშობდა თბილისის "დინამოში", რუსთავის "ოლიმპში", მახაჭყალის "ანჟიში", ბაქოს "ინტერში", ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგასა" და "ხიმკიში", საქართველოს ეროვნული ნაკრების ფორმა კი 2-ჯერ მოირგო.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**



გიორგი ნავალოვსკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1 კვირის 1000 წერილმანი

დავით თავართქილაძე

# რატომ გაძნელდა ქუდის დახურვა

ნაახალწლევს ბევრი არაფერი მომხდარა, გუნდები შვებულებაში არიან , მათი პატრონები კი გაძლიერებაზე ფიქრობენ.

ფიქრი კი, მოგეხსენებათ, ყველაზე დემოკრატიული რამეა, რაზეც გინდა და რამდენიც გინდა, იმდენს იფიქრებ. მე ვლადიმერ გუცაევის ინტერვიუს ჩავუფიქრდი.

გუცაევი სახალხო ფეხბურთელი იყო, რადგან ხალხისთვის ზღვა სიხარული მოჰქონდა. მაშინ სხვა ფეხბურთი იყო, რალაცნაირი, ვარსკვლავური, ცხადია, "დინამოც" სულ სხვანაირი გუნდი იყო – სახალხო და სათაყვანებელი.

მერე გუცაევი მწვრთნელი გახდა, მაგრამ ამ საქმეს ისე ველარ მოერია, როგორც მეტოქე მცველებს საბჭოთა კავშირის თუ ევროპის მოედნებზე.

გუცაევი ჯერ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი იყო, არეცოში იტალიასთან 0:6 კი წააგო მისმა გაწვრთნილმა გუნდმა, მაგრამ რუსთავში აპენინელებს კარგად დაანახა, რომ ქართველებს ფეხბურთის თამაშიც შეუძლიათ და იტალიელი თანატოლების დამარცხებაც. მწვრთნელი გუცაევი დიდი ნოდარ ახალკაცის ჯილა გახდა. ფეხბურთის ფედერაციას მაშინ სწორედ უფროსი ახალკაცი მეთაურობდა. მოხდა უსიამოვნო ამბავი, დავით ყიფიანი ისე ჩამოაშორეს ეროვნული ნაკრების მწვრთნელობას, რომ ფედერაცია იძულებული გახდა, სამარცხვინო მიზეზი დაესახელებინა – ნაკრების მწვრთნელმა ვერ უზრუნველყო კონტაქტი ფეხბურთელებსა და ფედერაციას შორისო. მოკლედ, ახალკაცმა ყიფიანი ასე გაუშვა და მის ნაცვლად გუცაევი მოიყვანა. ეს უკვე ცუდად დაწყებული საქმე იყო, რასაც კარგი ბოლო ვერ ექნებოდა.



ვლადიმერ გუცაევი



საქართველო-საბერძნეთი. უტევს თემურ ქეცბაია

გუცაევი გაბედული მწვრთნელი გამოდგა, ოლონდაც დისტანცია, ცოტა არ იყოს, შორი დაიჭირა ფეხბურთელებთან. ეს ფეხბურთელები კი უკვე ევროპაში თამაშობდნენ, უკვე ავტორიტეტები იყვნენ. საქმე გაფუჭდა. თემურ ქეცბაიამ სულაც უარი განაცხადა გუცაევის გაწვრთნილ ნაკრებში თამაშზე. გუცაევი კი ბოლომდე არ ჩაეჭიდა თანამდებობას, ქუდი დაიხურა და წავიდა.

ქუდის ასე დახურვა კი დღეს დიდი პრობლემაა. გუცაევის მწვრთნელობის დროს საქართველოს ნაკრების თავკაცს ფეხბურთის ფედერაცია დიდ ჯამაგირს ვერ უხდიდა, ახლა კი მილიონობით ლარზეა ლაპარაკი, შესაბამისად, ქუდის დახურვა გვარიანად რთული გადასაწყვეტია. ბევრი ფული ზოგადად კარგია, მაგრამ გვერდითი მოვლენებიც ახასიათებს.

როცა მწვრთნელს ფეხბურთელებთან უთანხმოება აქვს, იქაურობას უნდა გაეცალოსო, გვითხრა გუცაევმა ამასწინანდელ ინტერვიუში და ვფიქრობ, ეს იგივეა, რაც დაუწერელი კანონი. ზოგი მწვრთნელი კი ამ პრობლემის მოგვარებას თავისებურად უდგება, გუნდიდან უშვებს იმ ფეხბურთელებს, ვისთანაც ურთიერთობა არ გამოსდის, მოჰყავს ახალგაზრდები და ამბობს, გუნდში თაობათა ცვლა მიდის და ამ პროცესს დრო სჭირდებაო.

გუცაევი მწვრთნელობის შემდეგ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობას აპირებდა, მანამდე ერთ-ერთი რეგიონული ფედერაციის ხელმძღვანელი იყო. პარლამენტის დეპუტატი გახლდათ, მაგრამ გვითხრა, სადაც კი მისვლა დავაპირე, ყველგან დამბლოკესო. ბოლოს პროფლიგის ხელახლა შექმნაზე რომ მიდგა საქმე, გუცაევი ამ ორგანიზაციის პრეზიდენტობისთვის ემზადებოდა, მაგრამ როგორც თვითონ ამბობს, იქაც დაბლოკეს.

გუცაევმა იცოდა გამოსავლის ძებნა რთული სიტუაციიდან, თუ მცველის მოტყუებით დიდ სარგებელს ვერ ხედავდა, პენალტზე მიდიოდა, ისე წააქცევინებდა მეტოქეს თავს, რომ მსაჯს სასტვენი ტუჩებთან მიჰქონდა.

დამბლოკეს, უთანხმოების დროს ქუდი დავიხურე – ეს გუცაევის მესიჯები იყო, ყველასთვის გასაგები, მას ამით გოლი არ გაუტანია, მაგრამ დარტყმა კი გამოუვიდა.

გუცაევი ასეთია, თუ ბურთი მოიხელთა, მტრისას...

● სიონი



სიონის მთავარი მწვრთნელი არმაზ ჯელაძე (მარჯვნივ) და მისი ასისტენტი ჯონი ჯაგიდისი

# ბოლნისში დიდი ცვლილებები დაიწყება

საქართველოს ჩემპიონატის საშემოდგომო ეტაპი ბოლნისის "სიონმა" წარუმატებლად დაასრულა: 22 ტურის შემდეგ 13 ქულა დააგროვა, საუკეთესო ექვსეულში ვერ მოხვდა და წელსაც უმაღლეს ლიგაში დასარჩენად იპრძოლებს.

შევიტყვეთ, რომ გუნდში მნიშვნელოვანი ცვლილებებია მოსალოდნელი. როგორც ამტკიცებენ, "სიონის" ხელმძღვანელობა მოთამაშეთა დიდ ნაწილს დაემშვიდობება.

*"ჯერ ვერაფერს გეტყვით, რადგან წამსვლელ-მომსვლელთა ვინაობა მხოლოდ 10 იანვრის შემდეგ გაირკვევა. კლუბის კრება გაიმართება და გვეცოდინება, რა ბიუჯეტი თუ რისი შესაძლებლობები გვექნება და რა დონის მოთამაშეთა მოზიდვას შევძლებთ. თუმცა, სერიოზულ საკადრო ცვლილებებს მართლაც არ გამოვრიცხავ. საქმე ისაა, რომ კონტრაქტი აბსოლუტურად ყველას დაგვიმთავრდა, ხელმძღვანელებსაც და მწვრთნელებსაც"* – გვითხრა "სიონის" მთავარმა მწვრთნელმა **არმაზ ჯელაძემ**.

ასევე უცნობია, კლუბი სეზონისთვის სად მოემზადება: *"ჯერ ამ საკითხშიც გაურკვევლად ვართ. შეკრებას 10 ან 15 იანვარს დავიწყებთ. ჯერ თბილისში ვივარჯიშებთ და გასასინჯ ფეხბურთელებს დავაკვირდებით. მაგრამ ახლა ვერ გეტყვით, მერე სად ვივარჯიშებთ. თავიდან იყო ლაპარაკი, რომ ურეკში გავემგზავრებოდით. მაგრამ ახლა უკრაინაში ან თურქეთში მომზადების იმედი გაჩნდა. ყველაფერი ბიუჯეტზეა დამოკიდებული. როგორც ვიცით, ჩვენ კვლავ დაგვაფინანსებენ და ნორმალური ბიუჯეტი გვექნება, მაგრამ დეტალები დასაზუსტებელ. შემადგენლობისა და შეკრების საკითხები სწორედ ამაზეა დამოკიდებული"*.

**მერაბ მამულაშვილი**

● ზუგდიდი

# პრემიები გაიცა, ხელფასები ჯერ ვერა

## ზუგდიდი ჯერ არავის დაუტოვებია

"ზუგდიდი" კარგად ნაცნობ ფინანსურ პრობლემებს ვერც მიმდინარე სეზონში გაექცა. გეხსომებათ, მიუღებელი ანაზღაურების გამო ფეხბურთელებმა ოფიციალური წერილით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს მიმართეს და ჩემპიონატის პირველი ეტაპის ბოლო ტურში თამაშზე უარი თქვეს. ამის გამო "ზუგდიდი" რუსთავში "მეტალურგთან" სათამაშოდ დუბლშემადგენლობით ჩავიდა.

გაუცემელი ხელფას-პრემიები ნაწილობრივ პოლიტიკასაც უკავშირდება – როგორც იცით, "ზუგდიდს" ადგილობრივი მუნიციპალიტეტი აფინანსებს, რომელსაც სულ ახლახან ხელმძღვანელობა შეეცვალა და შეფერხებებიც ამან წარმოშვა. საკითხავი იყო, ისურვებდა თუ არა ახალი გამგებელი კლუბის დაფინანსებას, თუმცა როგორც შევიტყვეთ, "ზუგდიდს" ადგილობრივი მთავრობა მომავალშიც დააფინანსებს.

რაც შეეხება დავალიანებებს, როგორც გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ელგუჯა ქომეთიანმა** გვითხრა, გასტუმრებულია ყველა თამაშის პრემია, გარდა ერთისა. ფეხბურთელებსა და პერსონალს ნოემბერ-დეკემბრის ხელფასი ჯერაც არ მიუღია, მაგრამ ამ პრობლემის გადაჭრა უახლოესი დღეებისთვის იგეგმება.

ფეხბურთელთა გაფიცვისთანავე ითქვა, რომ ეს ნაბიჯი არ ნიშნავს მათი კლუბიდან წასვლას. ჯერჯერობით "ზუგდიდი" არავის დაუტოვებია და სამწვრთნელო შტაბი იმედოვნებს, რომ ბრძოლისუნარიანი შემადგენლობის შენარჩუნება მოხერხდება.

თუმცა ისიც შესაძლებელია, "ზუგდიდიდან" გუნდის რამდენიმე ლიდერი წავიდეს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ კლუბი მათ თაობაზე საინტერესო წინადადებებს მიიღებს. კერძოდ, საუბარია **ირაკლი ქობალიას, ლევან კუტალიასა** და **ზვიად სიხარულიას** ტრანსფერებზე. როგორც ქომეთიანმა გვითხრა, მათ მიმართ ინტერესს გამოთქვამენ როგორც ქართული, ასევე უცხოური კლუბები. შეგახსენებთ, ამ ცოტა ხნის წინ ქობალია პოლონურ "იაგელონიაში" ისინჯებოდა, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა.

"ზუგდიდი" სეზონის მეორე ნახევრისთვის მზადებას 15 იანვრიდან შეუდგება. ჯერჯერობით, გაურკვეველია, სად გაემგზავრება გუნდი შეკრებაზე. თუ ფინანსური მდგომარეობა სტაბილურ კალაპოტს დაუბრუნდა, "ზუგდიდი" თურქეთს მიაშურებს.

უახლოეს დღეებში კლუბის მომავლის შესახებ უფრო კონკრეტული ინფორმაციები გახდება ცნობილი და ამის შემდეგ უფრო დეტალურად იქნება შესაძლებელი იმაზე საუბარი, რა მიზნებს დაისახავს "ზუგდიდი" სეზონის მეორე ნახევარში.

ჩემპიონატის პირველი ეტაპი "ზუგდიდმა" მეექვსე ადგილზე დაასრულა და შესაბამისად, მაღალი მიზნებისთვის მებრძოლთა შორისაა. ქომეთიანის გუნდი საქართველოს თასის მერვედფინალშიც არის გასული, სადაც მისი მეტოქე ბოლნისის "სიონი" იქნება.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ირაკლი ქობალია

## ქართული ფეხბურთი

ლეგიონერი

# არ ვიცი, ჩვენ სად ვართ


გიორგი ნერგაძე

ქართველი ფეხბურთელი სამხრეთ აფრიკაშიც თამაშობს. **გიორგი ნერგაძე** გულშემატკივარმა ქუთაისის "ტორპედოდან" გაიცნო, მერე ეს შუახაზელი "დინამო თბილისში" მიიწვიეს, ახლა კი იოჰანესბურგის "მოროკა სვოლოუვზის" მოთამაშეა.

ნერგაძე ცენტრალური ნახევარმცველია, ტექნიკური და ალღოიანი, 30 წლის გახლავთ და სამხრეთ აფრიკიდან წასვლას ჯერ არ აპირებს.

გახსოვთ **რაინერ ცობელი**? 70-იანი წლების მიუნხენის "ბაიერნის" ფეხბურთელი, რომელიც ერთი პერიოდი "დინამო თბილისის" მთავარი მწვრთნელი იყო, შემდეგ სამხრეთ აფრიკას მიაშურა და ცოტა ხნის მერე ნერგაძეც თან წაიყვანა.

*"სამხრეთ აფრიკის ჩემპიონატი საკმაოდ კარგი დონისაა, საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატზე ბევრად უკეთესია, პირობებითაც კმაყოფილი ვარ",* – გვითხრა ნერგაძემ, რომელიც შვებულებას საქართველოში ატარებს.

ფეხბურთი სოციალური ფენომენია, სამხრეთ აფრიკაში კი სოციალური ასპექტები განსაკუთრებულადაა განსაზღვრული მიუხედავად იმისა, რომ იქ აპარტეიდის რეჟიმი აღარ არის.

*"სამხრეთ აფრიკის ჩემპიონატში ფეხბურთს მეტწილად შავკანიანები და მულატები თამაშობენ, თუმცა ფეხბურთი არც თეთრებისთვის არის უცხო, ჩვენს გუნდში ოთხი თეთრკანიანი ვართ. რაც შეეხება გულშემატკივრებს, ფეხბურთი მკვეთრად უფრო შავკანიანების სპორტია, თეთრებს კი ფეხბურთზე უფრო რაგბი უყვართ",* – განგვიმარტა ნერგაძემ.

წინა სეზონში "მოროკა სვოლოუვზი" აფრიკის ჩემპიონატში მეორე ადგილზე გავიდა, ახლა კი თექვსმეტგუნდა ლიგაში მე-11 ადგილზეა.

*"სეზონი კარგად დავიწყეთ, ოქტომბერში თასიც მოვიგეთ, მერე კი ისე მოხდა, რომ ჩემპიონატში ველარ ვიგებდით თამაშებს, ჩავარდნა გვქონდა. ვფიქრობ, სეზონის მეორე ეტაპზე ჩვენს გუნდში ყველაფერი დალაგდება",* – იმედიანადაა ნერგაძე.

და რატომ გამოდგა სამხრეთ აფრიკაში წასვლა მიმზიდველი ჩვენებურისთვის? ჯამაგირი ერთია, მაგრამ იმასაც ხომ გააჩნია, სად მიდიხარ, როგორ გარემოში.

*"ცობელი "დინამოდან" რომ წავიდა, დამირეკა და "მოროკა სვოლოუვზში" გადასვლა შემომთავაზა, მაშინ ის იყო ამ გუნდის მთავარი მწვრთნელი. ეს ის დრო იყო, როცა სამხრეთ აფრიკა მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობისთვის ემზადებოდა. ორწლიან კონტარქტს მოვაწერე ხელი, შარშან ზაფხულში კი ხელმეორედ გავაფორმე ამ კლუბთან კონტრაქტი. სამხრეთ აფრიკაში სწრაფ, ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობენ, ბურთის თრევა იქ არ უყვართ, ერთი-ორი შეხებით აკეთებენ ყველაფერს",* – გვითხრა ნერგაძემ.

"მოროკა სვოლოუვზი" იოჰანესბურგის გუნდია და ნერგაძის თქმით, ამ ქალაქში ქართველები არ ცხოვრობენ, ჩვენებურები თურმე მხოლოდ პრეტორიაში არიან. ნერგაძეს უხარია, რომ სამხრეთ აფრიკაში ახლახან საქართველოს საელჩო გაიხსნა, იქ რომ ჩავალ, ჩვენს საელჩოს აუცილებლად დავუკავშირდებიო.

*"სამხრეთ აფრიკაში ისეთი ჩემპიონატია, ძლიერი ყოველთვის ვერ ახერხებს სუსტის დამარცხებას, ყველა გუნდს ყველასთან შეუძლია წარმატების მიღწევა. ჩემპიონატის მატჩებზე საშუალოდ 10-15 ათასი ქომაგი დადის, არის თამაშები, რომელსაც 90 ათასი გულშემატკივარი ესწრება. კლიმატი ნორმალურია, 35-ზე მაღლა ტემპერატურა არ ადის. მოკლედ, იქ თამაში სასიამოვნოა".*

და რატომ არ შეიძლება, რომ სამხრეთ აფრიკაში სტაბილურად მოთამაშე ფეხბურთელს სანაკრებო შანსი მისცენ?

*"ნაკრების ხელმძღვანელობამ საკუთარი საქმისა თვითონ იცის, მოხარული ვიქნები, თუ ჩემით დაინტერესდებიან, იქაურ ჩემპიონატს საქართველოსას ვერც კი შევადარებ, არ ვიცი, ჩვენ სად ვართ..."*

ნერგაძე საყრდენი ნახევარმცველია, თუმცა, როცა გუნდის ცენტრალური მცველი ტრავმირებულია ან დისკვალიფიცირებული, ჩვენებური "მოროკა სვოლოუვზის" დაცვის ცენტრს ამაგრებს. ნერგაძემ მიმდინარე სეზონში სამხრეთ აფრიკის ჩემპიონატის ყველა მატჩი ითამაშა.

**დავით თავართქილაძე**

ვიტ ჯორჯია


ბესიკ ჩიმაკაძე

## ჩიმაკაძე და ზაქრაძე წავიდნენ

როგორც შევიტყვეთ, "ვიტ ჯორჯიას" რიგები **ბესიკ ჩიმაკაძემ** და **ბექა ზაქრაძემ** დატოვეს. ჯერჯერობით, უცნობია, სად გააგრძელებენ ისინი კარიერას.

ჩიმაკაძემ ჩემპიონატის პირველ ეტაპზე 16 მატჩი ჩაატარა და 5 გოლი გაიტანა. რამდენიმე შეხვედრა მას ტრავმის გამო გაუცდა. რაც შეეხება ზაქრაძეს, მან მიმდინარე ჩემპიონატში მხოლოდ 7 მატჩში მიიღო მონაწილეობა.

"ვიტ ჯორჯიას", რომელიც უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის, სეზონის მეორე ნახევრისთვის მზადება ჯერ არ დაუწყია.

ვეტერინარებს ამ მომენტისთვის 22 ქულა აქვთ და გასავარდნ ზონას 9 ქულით უსწრებენ. "ვიტ ჯორჯია" საქართველოს თასის მერვედფინალშიც არის გასული, სადაც მისი მეტოქე ცხინვალის "სპარტაკი" იქნება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ფუტსალი

# ნაკრები მალტაზე გაემგზავრა

გუშინ, გამთენიისას, საქართველოს ფუტსალის ნაკრებმა გეზი მალტისკენ აიღო, სადაც საერთაშორისო ტურნირზე ითამაშებს. **ავთანდილ ასათიანისა** (მთავარი მწვრთნელი) და **ბესო არველაძის** (მთავარი მწვრთნელის ასისტენტი) განვრთნილები კუნძულზე 10 იანვრამდე გაჩერდებიან და სამ შეხვედრას გამართავენ: 6 იანვარს საბერძნეთს დაუპირისპირდებიან, 7 იანვარს – მასპინძელ მალტას, 8 იანვარს დაისვენებენ, ხოლო 9-ში გადამწყვეტ მატჩში ინგლისელებს შეხვდებიან და თბილისში 11 იანვარს დაბრუნდებიან.

მალტაზე ჩვენი ნაკრები ასეთი შემადგენლობით გაემგზავრა:

მეკარეები: **გაბუჩია, ჯამბურია;**

მოთამაშეები: **ალთუნაშვილი, ჯვარაშვილი, ასათიანი, ლუკავა, ჯაფარიძე, მაისაია, სებისკვერაძე, კაკაბაძე, ჭანუყვაძე, ბობოხიძე, კობაიძე, შელეგია.**

წინასწარ იყო ცნობილი, რომ მალტაში არ ითამაშებდა "იბერია სტარის" გამოცდილი მოთამაშე **ალეკო ძაბირაძე**, რომელიც მშვენიერ ფორმაშია, ეროვნულ ჩემპიონატში საკმაოდ ბევრი გოლი გააქვს და ბომბარდირთა დავაშიც დაწინაურდა. ძაბირაძემ კეთილშობილური ნაბიჯი გადადგა და ასათიანთან მოითათბირა, რომ აჯობებდა, გუნდის გაახალგაზრდავების პროცესში ამ ტურნირზე მთავარ მწვრთნელს გამოუცდელი მოთამაშეები გაესინჯა.

თუმცა, ასათიანის თქმით, ძაბირაძე იანვრის ბოლოს მალტაში ნაკრებთან ერთად იქნება. როგორც ცნობილია, დეკემბერში ევრო 2014 წლის შესარჩევი ციკლის ჯგუფური ეტაპის კენჭისყრა გაიმართა და საქართველოს მეტოქეები გაირკვა. საქართველოს ნაკრები B ჯგუფში ნაცნობ მეტოქეებს, მოლდოვასა და მალტას შეხვდება, ტურნირს კი 22-27 იანვარს კვლავაც მალტა უმასპინძლებს.

**მერაბ მამულაშვილი**


ფუტსალის ნაკრები მალტის ტურნირზე გაემგზავრა

მილოცვები

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადებიდან საიუბილეო 70 წელს ულოცავს ვეტერან ფეხბურთელს, ოლიმპიური თამაშების (1972) მესამე პრიზიორს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს, ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენების კავალერს მურთაზ ხურცილავას.

### მილოცვა მეგობარს!

ჩვენო საყვარელო მურთაზ, თითქოს დაუჯერებელიცაა, რომ უკვე 70 შეგისრულდათ. დაუჯერებელი იმიტომ, რომ მარად ჭაბუკად დარჩით ჩვენი ხალხის მახსოვრობაში. იმ ჭაბუკად, რომელმაც მშობლიური რაიონის საფეხბურთო კლუბ „სალხინოდან" მოყოლებული, თბილისის „დინამოსა" და ქუთაისის „ტორპედოში" თამაშით, სსრ კავშირის ნაკრებში ჩატარებული 69 მატჩით წარუშლელი კვალი დატოვეთ არა მხოლოდ საქართველოს, საერთოდ, ფეხბურთის სამყაროს ისტორიაში. იმ 69 მატჩიდან 23 შეხვედრას კაპიტნობდით და 6 გოლიც გაიტანეთ. 1972 წელს გახდით ევროპის ჩემპიონატის მეორე და ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი, მსოფლიო ჩემპიონატის მედალოსანი (IV ადგილი, 1966) და ფინალური ეტაპის მონაწილე (1970). 293 მატჩი (15 გოლი) სსრ კავშირის ჩემპიონატების უმაღლეს ლიგაში, ხუთგზის მესამე პრიზიორი და თასის ფინალისტი - აი, კიდევ რით არის მდიდარი თქვენი სპორტული ბიოგრაფია, რომელმაც შემდგომ წარმატებულ მწვრთნელობაში ჰპოვა გაგრძელება. თქვენი დიდი ღვაწლი კი ჯეროვნადაა დაფასებული უმაღლესი სპორტული წოდებებით და მთავრობის ჯილდოებით.

გილოცავთ საიუბილეო თარიღს, შობა-ახალ წელს!

დღეგრძელობა და დღემზეობა გვისურვებია!

**რომან რურუა**
**ვლადიმერ კანკავა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

მანჩესტერ იუნაიტედი

# ეშმაკები წინ და უკან



ბენ ეიმოსმა სეზონის პირველი ნახევარი ჰალ სიტიში გაატარა

13 იანვარს პრემიერლიგის XXII ტურში "მანჩესტერ იუნაიტედს" "ოლდ ტრეფორდზე" უპრინციპულესი დაპირისპირება ელის "ლივერპულთან". "ეშმაკებს" ამ შეხვედრაში გუნდის ერთ-ერთი ლიდერი **უეინ რუნი** არ ეყოლებათ, ვინც მუხლი 26 დეკემბრის დილის ვარჯიშზე დაიზიანა. 27 წლის ფეხბურთელი დატვირთვებს ორი კვირის განმავლობაში უნდა მოერიდოს. აღნიშნული ინფორმაცია **ალექს ფერგიუსონმა** პირადად დაადასტურა. ამასთან შოტლანდიელმა სპეციალისტმა დაამატა, რომ რუნის სერიოზული არაფერი სჭირს, მაგრამ ექიმებს უმნიშვნელო რისკზე წასვლაც კი არ სურთ.

## იუნაიტედი და იჯარა

Goal.com-ის ინფორმაციით, ფერგიუსონის გადაწყვეტილებით, კლუბმა ჩემპიონშიპის "ჰალ სიტის" 22 წლის გოლკიპერი **ბენ ეიმოსი** იჯარიდან გამოიხმო და მშობლიურ კლუბში დააბრუნა. ამის უფლება მანკუნიანელებს საიჯარო ხელშეკრულებით ნამდვილად ჰქონდათ. ეიმოსმა რანგით მეორე ლიგის ერთ-ერთი ლიდერის შემადგენლობაში პირველ წრეში 17 თამაში ჩაატარა და კარის მშრალად შენახვა 4-ჯერ მოახერხა. ის, რომ "ოლდ ტრეფორდზე" აბრუნებენ, ფეხბურთელმა "ტვიტერზე" პირადად დაადასტურა.

ნოემბერში "ლესტერთან" გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულება დაუმთავრდა **ჯესი ლინგარდს** და ის "იუნაიტედის" სარეზერვო გუნდს დაუბრუნდა. თუმცა 20 წლის თავდამსხმელი იქ დიდხანს გაჩერებას არ აპირებს. "მელიებში" მასთან ერთად "იუნაიტედმა" **მაიკ კინიც** მიავლინა. კინი სეზონს "ლესტერშივე" დაასრულებს.

ჩემპიონშიპის აუტსაიდერ "პიტერბოროს" კი "წითელი ეშმაკებიდან" 18 წლის **ნიკ პაუელის** 6-თვიანი იჯარით წაყვანა აქვს განზრახული. გუნდის დამრიგებელ **დარენ ფერგიუსონს** იმედი აქვს, რომ ლეგენდარული მამა მას ანგარიშს გაუწევს და ფეხბურთელს ულაპარაკოდ დაუთმობს. პაუელს ძირითად გუნდში სათამაშო პრაქტიკა აკლია. ყველა ტურნირში ერთად მან სულ 6 თამაში ჩაატარა და აქედან 2-ჯერ შეცვლაზე ითამაშა.

სულ ბოლოს კი იმას გეტყვით, რომ "ეშმაკებმა" 22 წლის პორტუგალიელი შემტევი ნახევარმცველი **ბებე** 6-თვიანი იჯარით სამშობლოში, კერძოდ "რიუ აველი" გაუშვეს. ფეხბურთელმა ინგლისურ კლუბთან ხელშეკრულება 2010 წლის ზაფხულზე გააფორმა, მაგრამ მას მერე სულ 7 თამაში ჩაატარა და 2 გოლი გაიტანა. შარშანდელი სეზონი მან "ბეშიქთაშში" გაატარა, თუმცა ფეხი ვერც თურქეთში მოიკიდა.

სკანდალი

# ბალოტელის მიერ დანგრეული ხიდი

## მაგრამ დამნაშავე მანჩინი ყოფილა

"მანჩესტერ სიტის" ბაზაზე **რობერტო მანჩინისა** და **მარიო ბალოტელის** შორის მომხდარ კონფლიქტზე "ლელო" გუშინდელ ნომერშივე წერდა. დეტალებზე, თუ რა გახდა შეგირდსა და ოსტატს შორის ხელჩართული ჩხუბის მიზეზი, დღეს მოგახსენებთ. მაშ ასე:

მარიო მინდვრის კიდეზე ინდივიდუალურად ვარჯიშობდა, როცა მანჩინიმ მას გუნდთან შეერთება და ორმხრივ სპარინგში მონაწილეობა დაავალა. მთელი იმ დროის განმავლობაში, როცა ორკარა გრძელდებოდა, ერთადერთი, რასაც მანჩინი აკეთებდა, ეს ბალოტელისთვის შენიშვნების მიცემა გახლდათ. მწვრთნელი ფეხბურთელს ინგლისურ და იტალიურ ენებზე აძლევდა დარიგებებს. ერთ არცთუ რიგით ეპიზოდში კი, როცა 22 წლის სკანდალისტი **სკოტ სინკლერს** ზღვარგადასულად უხეშად ჩაუვარდა ფეხებში, მანჩინი აფეთქდა. თვითმხილველების ცნობით, პირველმა სწორედ გუნდის თავკაცმა დაკარგა თავის თავზე კონტროლი, რამაც იტალიელებს შორის კონფლიქტს დაუდო



სათავე. დანარჩენი უკვე იცით. ისინი ერთმანეთს ხელით შეეხნენ, თუმცა სხვა ფეხბურთელებმა მათი გაშველება დროულად მოახერხეს. "სიტის" თანამშრომელი, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა მოისურვა, ჰყვება: *"ფეხბურთელებს იმ ყველაფრის დაჯერებაც კი გაუჭირდათ, რაც საკუთარი თვალით იხილეს. მანჩინი ნამდვილ გიჟს დაემსგავსა და მას ბალოტელიც ისეთივე გაოცებული უყურებდა, როგორც დანარჩენები. კონფლიქტს პროვოცირება მწვრთნელმა გაუკეთა,"* – აცხადებს ის.

როგორც skysports წერს, რობერტო მანჩინიმ გადაწყვიტა, რომ მარიო "ქალაქელების" ღირსებას აღარასოდეს დაიცავს. მან უკვე მიმართა კლუბის ხელმძღვანელობას, ბალოტელის ტრანსფერზე დაყენების მოთხოვნით. იმის გათვალისწინებით, რომ სატრანსფერო ფანჯარა სულ ახლახან გაიხსნა, მანკუნიანელებმა მისი გასხვისება უნდა მოასწრონ. სხვა შემთხვევაში 22 წლის თავდამსხმელი სეზონის ბოლომდე უთამაშებელი დარჩება.

ვესტ ჰემი

# ათწლიანი განშორების შემდეგ





ვესტ ჰემის ახალწვეულები: ჯო კოული (მარცხენა ფოტოზე) და მარუან შამახი

"ჩელსიში", "ლივერპულსა" და "ლილში" გატარებული თითქმის 10 წლის შემდეგ 31 წლის **ჯო კოული** იმ კლუბს დაუბრუნდა (თუმცა იჯარით), საიდანაც იწყებოდა მისი, როგორც პროფესიონალი ფეხბურთელის კარიერა. მასზე ჯერ კიდევ მაშინ ალაპარაკდნენ, როცა "ნიუკასლის" თავდამსხმელი **პიტერ ბერდსლი** მის სკოლას ტელევიზიის გადამღებ ჯგუფთან ერთად ეწვია. ბერდსლის შეკითხვაზე, თუ ვის სურდა მისი ფინტების გამეორება, მავანმა მოსწავლემ უპასუხა, რომ მას შეეძლო. ის ადგა, მშვიდად შეასრულა ინგლისის ნაკრების წევრის მიერ ნაჩვენები ტექნიკური ილეთები და ბურთი მას უკანვე დაუგორა. რა გქვია, პატარავ, ჰკითხა აღფრთოვანებულმა ბერდსლიმ, "ჯო, ჯო კოული, სერ", იყო პასუხი. მას შემდეგ თითქმის 20 წელიწადი გავიდა. ეს პატარა ბიჭი გაიზარდა და მისდა სამწუხაროდ, ისეთ დონეზე თამაში ვერ შეძლო, როგორც მისგან მთელი ერი ელოდა. *"აქ დაბრუნება ამაღელვებელი მომენტია ჩემთვის. მახსენდება დრო, როცა მე ჯერ კიდევ ვსწავლობდი ფეხბურთის თამაშს. „ვესტ ჰემი" ყოველთვის მიყვარდა და იმედი მაქვს, რომ ამ კლუბში კიდევ რამდენიმე სეზონს გავატარებ,"* – აცხადებს ის.

XXI ტურის შემდეგ "ჩაქუჩები" 26 ქულით ცხრილში მე-11 ადგილს იკავებენ, თუმცა მათ "არსენალთან" გადადებული შეხვედრა ჯერ კიდევ წინ ელით. დღეს ისინი შინ ასოციაციის თასის მე-3 ეტაპზე "მანჩესტერ იუნაიტედს" უმასპინძლებენ. წინასწარ იმის თქმა, იქნება თუ არა კოული განაცხადში, შეუძლებელია.

## სატრანსფერო ორომტრიალი

"ვესტ ჰემმა" ირლანდიის მეორე ლიგის "უოტერფორდ იუნაიტედიდან" ირლანდიის 21-წლამდელთა ნაკრების 18 წლის თავდამსხმელი **შონ მაგუაირი** შეიძინა და მასთან 2.5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. ფეხბურთელს მიმდინარე სეზონში 24 თამაში 13 გოლი აქვს გატანილი.

"დეილი მეილის" ცნობით, წინ თითქმის აღარაფერი უდგას გარიგებას "ვესტ ჰემსა" და "არსენალს" შორის, "მეთოფეების" მაროკოელი თავდამსხმელის, 28 წლის **მარუან შამახის** ტრანსფერის თაობაზე. სხვადასხვა წყაროს ცნობით, ჩრდილოლონდონელები აღმოსავლელებს ფეხბურთელს 4-დან 5 მილიონ ფუნტამდე უფასებენ.

დაბოლოს, გაცნობებთ, რომ "ჩაქუჩებმა" საიჯარო ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ "ჩელსის" ებრაელ ნახევარმცველთან, 32 წლის **იოსი ბენაიუნთან** თანამშრომლობის გაგრძელება აღარ ისურვეს. ვეტერანი "სტემფორდ ბრიჯზე" დაბრუნდა, თუმცა სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე სხვა კლუბის მოძებნა მოუწევს. **სემ ელერდაისმა** შესაძლოა ამავე გზას გააყოლოს "ლივერპულიდან" იჯარით აყვანილი **ენდი კეროლიც**. ფორვარდისგან სარგებლის ნახვა მასაც ძალიან გაუჭირდა, რისი ძირითადი მიზეზიც ტრავმებია.

*P.S. სალამოს შამახის ტრანსფერიც წარმატებით განხორციელდა*

ამბები





დემბა ბა პრეზენტაციაზე

## ბა უკვე ლონდონელია

გუშინ **დემბა ბამ** წარმატებით გაიარა სამედიცინო შემოწმება "ჩელსიში" და "პენსიონერებთან" კონტრაქტი 2016 წლის ივნისის ბოლომდე გააფორმა. 29 წლის სენეგალელმა, ნესიდ, **ფერნანდო ტორესს** სერიოზული კონკურენცია უნდა გაუწიოს ძირითადი თავდამსხმელის სტატუსისთვის ბრძოლაში.

## ლამპარდის არჩეული კომპრომისი



როგორც ჩანს, "ჩელსის" 34 წლის ლეგენდა **ფრენკ ლამპარდი** ყველაფრისთვის მზად არის, ოღონდაც "სტემფორდ ბრიჯზე" დარჩენის ნება მიიღოს. ამ დღეებში მისი აგენტის **სტივ კანტერის** სახელით გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ფეხბურთელი ზაფხულზე გადაწყვეტდა, თუ რა გზას დაადგებოდა, იქამდე კი მისით დაინტერესებული ამბიციური კლუბების შეთავაზებებს მოისმენდა. თუმცა ინტერნეტში "საკუთარი" ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ კანტერი BBC-ის სპორტულ მიმომხილველ **მარკ ჩეპმენს** დაუკავშირდა და განუცხადა, რომ მას ფრენკის სამომავლო გეგმებზე არავისთან ულაპარაკია და შესაბამისად, ეს კომენტარი მას არ ეკუთვნის. ლამპარდის შესახებ განსხვავებული ინფორმაციაც ვრცელდება. კულუარული წყაროს ცნობით, ფეხბურთელმა "ჩელსის" ერთწლიანი კონტრაქტი და ანაზღაურების 2/3-ით შემცირება თავად შესთავაზა. ამჟამად ვეტერანი კვირაში 150 ათას ფუნტს იღებს. ის მზადაა, კვირაში 50 ათასსაც კი დასჯერდეს. რამდენად სანდოა უკანასკნელი წყარო, ამას მხოლოდ დრო გვიჩვენებს.

## ასტონ ვილა გეგმავს

ბრიტანული წყაროების მტკიცებით, "ასტონ ვილა" უახლოეს დღეებში "მანჩესტერ სიტის" 30 წლის ცენტრალური მცველის **ჯოლეონ ლესკოტის** ტრანსფერზე პირველად მიმართავს ოფიციალურად. ბირმინგემელებს ყველაზე დიდი "გარღვევა" სწორედ დაცვაში აქვთ და უკანა ხაზის გაძლიერებას ამადაც ეშურებიან. ლესკოტი უკმაყოფილოა **რობერტო მანჩინის** საკადრო პოლიტიკით და მისთვის გამოყოფილი შეზღუდული დროით. სიტუაცია განსაკუთრებით მას მერე გამწვავდა, რაც "ქალაქელებმა" გასული წლის ზაფხულზე "ფიორენტინას" 21 წლის ჩერნოგორიელი **სტეფან სავიჩი** 19 წლის სერბ **მატეა ნასტასიჩში** გაუცვალეს. უკანასკნელმა მყარად მოიკიდა ფეხი ინგლისის ჩემპიონების სასტარტო შემადგენლობაში, საიდანაც სწორედ ლესკოტი განდევნა. ტრანსფერმარკტ ჯოლეონს 10.5 მილიონ ფუნტად აფასებს. ინგლისის ნაკრების ფეხბურთელს ეტიჰადელებთან კონტრაქტი 2014 წლის ივნისში უმთავრდება.

## უფროსი ინსი მოლაპარაკებებში ჩაერთო

"მირორის" ცნობით, ინგლისის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი **პოლ ინსი** 20 წლის შვილის **ტომასის** სატრანსფერო საქმეებში პირადად ჩაერთო. ის "ბლექპულის" ხელმძღვანელობასთან შეხვედრას გეგმავს. მოგეხსენებათ, ჩემპიონშიპის წარმომადგენლებს ცოცხალი თავით არ სურთ სეზონის დასრულებამდე გუნდის ლიდერსა და საუკეთესო ბომბარდირთან გამოთხოვება. თუკი "ბლექპულის" სტატისტიკას ჩახედავთ, შეკითხვა "რატომ" აღარ დაგებადებათ. 26 ტურში გუნდმა 46 გოლი გაიტანა, აქედან 13 ტომასმა თავად შეაგდო, 10-ჯერ კი თანაგუნდელებს გაატანინა. ახალგაზრდა მარცხენა ნახევარმცველს იმედი აქვს, რომ გავლენიანი მამა "ბლექპულის" ბოსების დაყოლიებას მაინც მოახერხებს.

რაკი "ლივერპულზე" ვწერთ, აქვე გეტყვით, რომ მერსისაიდელებმა ამ დღეებში 2 ფეხბურთელი გაუშვეს იჯარით. 19 წლის მეკარე **ჯეიმი სტივენსი** 6 თვით უელსურ "ეარბასში" გადავა, 18 წლის თავდამსხმელი **ადამ მორგანი** კი ამავე პერიოდს ლიგა ორის "როტერჰემში" გაატარებს.

## აგუერო ცოლს ეყრება

"მირორის" ცნობით, "მანჩესტერ სიტის" 25 წლის თავდამსხმელი **სერხიო აგუერო** და მისი მეუღლე **ჯანინა მარადონა** (დიეგოს შვილი) რამდენიმე თვეა ერთად აღარ ცხოვრობენ. 23 წლის ჯანინა პატარა **ბენხამინთან** ერთად მადრიდშია. არგენტინული პრესის მტკიცებით, წყვილის დაშორების მიზეზი სერხიოსა და არგენტინელ პოპმომღერალს, 26 წლის **კარინა ტეხედოს** შორის გაბმული რომანია.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**



სერგიო აგუერო ოჯახთან ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

ოქროს ბურთი. კანდიდატები

# რას ამბობენ მათზე

ორ დღეში, 7 იანვარს, 2013 წლის ფიფას ოქროს ბურთის მფლობელი გაირკვევა. როგორც იცით, კანდიდატი სამია: ანდრეს ინიესტა, კრიშტიანო რონალდო და ლიონელ მესი. ფავორიტის დასახელება საკმაოდ რთულია და იქამდე, სანამ გამარჯვებულის ვინაობას შევიტყობთ, ვნახოთ რას ამბობენ მათზე...


ოქროს ბურთის პრეტენდენტები. მარცხნიდან: ანდრეს ინიესტა, ლიონელ მესი, კრიშტიანო რონალდო

## კრიშტიანო რონალდო

"პორტუგალიის ეროვნულ ნაკრებს ჰქვია: კრიშტიანო რონალდო და ფეხბურთელთა ჯგუფი, რომელიც მასთან ერთად დარბის." – **კარლოს კეირუში.**

"კრიშტიანო ნამდვილი ფენომენია. მას უნიკალური სათამაშო სტილი აქვს. ის არის მოთამაშე, რომელსაც სურს, რომ დღეს გუშინდელზე უკეთესი იყოს. ის ამბიციურია, უამრავი გოლი გააქვს და გასახდელში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. ჩემი აზრით, რონალდო მადრიდის "რეალის" ისტორიაში საუკეთესო ფორვარდია." – **ემილიო ბუტრაგენიო.**

"ის საოცარი ფეხბურთელია. კრიშტიანო "იუნაიტედის" ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელებში შედის. მიუხედავად იმისა, რომ უსაზღვრო ნიჭით დაჯილდოებულია, ძალიან ბევრს შრომობს და ამით ერიკ კანტონას წააგავს. "რეალისთვის" უთუოდ შესანიშნავი შენაძენი იყო." – **სერ ალექს ფერგიუსონი.**

"რონალდოს, დევიდ ბექჰემის მსგავსად, იმის გამო აკრიტიკებენ, რომ კარგი გარეგნობა აქვს და ხალხს მისი შურს. ჩემთვის რონალდო იდეალური ფეხბურთელია: ის სწრაფია, მაღალი, თავით კარგად თამაშობს, ტექნიკურია, კარგად ურტყამს პენალტებს და ჯარიმებს და ის გუნდის ლიდერია. ვფიქრობ, კრიშტიანო რონალდო ნამდვილი ფენომენია". – **რუუდ გულიტი.**

"კრიშტიანო უკვე წლებია, საერთაშორისო ასპარეზზე სათანადოდ ვერ გამოიყურება. მესისთან ერთად მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი, თითქოს შებოჭილია, როდესაც პორტუგალიის ნაკრების ღირსებას იცავს, მაგრამ რამდენიმე კარგი მატჩის შემდეგ ჩვენ მისი პოტენციალი ბოლომდე დავინახეთ. მან სამი გოლი გაიტანა და საკუთარი ნაკრები, ბევრისთვის მოულოდნელად, ნახევარფინალში გაიყვანა. ვფიქრობ, მან დაუმტკიცა თავის თანამემამულეებს, რომ ლისაბონში ძეგლს იმსახურებს" – **დიეგო მარადონა** ევრო 2012-ის დროს.

"მესი დიდი ფეხბურთელია, მაგრამ რონალდო საოცარია. ის მსოფლიოში საუკეთესოა, რადგან იდეალური მოთამაშეა. რონალდო სწრაფია, ფიზიკურად ძლიერი, მას ბევრი გოლი გააქვს და თუ საჭიროა საკუთარ გუნდს დაცვაშიც ეხმარება. ასეთი იდეალური საფეხბურთო მანქანა არასდროს მინახავს. ფეხბურთი ძალიან შეიცვალა და ეჭვი მაქვს, რომ პელე, დი სტეფანო და მარადონა, დღევანდელ სიტუაციაში, მოედანზე იმავეს ისე ხშირად ვერ გააკეთებდნენ, რასაც და რა სიხშირითაც ამას რონალდო აკეთებს" – **ნუნუ.**

## ანდრეს ინიესტა

"რა თქმა უნდა, ანდრეს ინიესტამ. ისეთ გუნდში, როგორიც "ბარსელონაა", ტიტულების მოგება იოლია. ფეხბურთელის ნამდვილი ძალა და მისი კლასი ეროვნულ ნაკრებში ჩანს. პელეს, მარადონას და ზიდანის მსგავსად, ინიესტა ესპანეთის ნაკრებში ამტკიცებს, რომ ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი ფეხბურთელია. სწორედ ამიტომ, მე მას მესიზე და რონალდოზე მაღლა ვაყენებ. კი, მათ ძალიან ბევრი გოლი გააქვთ, მაგრამ საკუთარ ნაკრებთან ერთად ჯერ არაფერი მოუგიათ." – **ბორის ბეკერი,** როდესაც ჰკითხეს თუ ვინ უნდა მოიგოს ოქროს ბურთი.

"ჟურნალისტები ხშირად მეკითხებიან: ვინ არის საუკეთესო, მესი თუ რონალდო... ჩემთვის საუკეთესო ცალსახად ანდრეს ინიესტა გახლავთ. მას მოედანზე გაცილებით რთული რამეების კეთება შეუძლია. ინიესტა ნამდვილი ჯადოქარია." – **დავიდ სილვა.**

"ინიესტაზე იმდენს არ საუბრობენ, რამდენსაც მესიზე, მაგრამ მე მსურს, რომ "ოქროს ბურთი" სწორედ ინიესტამ მოიგოს. ის ამას ნამდვილად იმსახურებს. ინიესტა ყველაფერს სწორედ აკეთებს: ცოტას თუ შეუძლია ისეთი საგოლე გადაცემების გაკეთება, როგორსაც ინიესტა გვთავაზობს, გარდა ამისა, ის გოლებსაც ხშირად იტანს. ინიესტა არის ილუზიონისტი, რომელმაც ბურთის მიღებისთანავე ზუსტად იცის, რაც უნდა გააკეთოს." – **ლუის ფერნანდესი.**

"ის რჩეული, ერთადერთი და განუმეორებელია. ინიესტა უდიდეს პატივისცემას იმსახურებს. როგორც ფეხბურთის მოყვარული, მე ბედნიერი ვარ, რომ მასთან ერთად თამაშის საშუალება მომეცა. ანდრესი საოცარი ფეხბურთელია, რომელიც მოედანზე ისეთ რალაცეებს აკეთებს, რისი გაკეთებაც მხოლოდ მას შეუძლია." – **სერხიო რამოსი.**

"როდესაც ინიესტას თამაშს ვუყურებ, ვხვდები, რომ ჩემ ასაკშიც კი შეიძლება ახალი რამის სწავლა." – **ხუან რომან რიკელმე.**

"როდესაც ბურთი მას აქვს, თითქოს ყველა ჩერდება. ჩვენ ერთად 15 წლის ასაკიდან ვთამაშობთ და ამ პერიოდში მას ცუდად არასდროს უთამაშია." – **ფერნანდო ტორესი.**

## ლიონელ მესი

"მესის ვერავის შეადარებ. კრიშტიანო რონალდო კარგი ფეხბურთელია, მაგრამ ის ადამიანია, მესი კი უცხოპლანეტელი. მესი ბურთთან ერთად უფრო სწრაფად დარბის, ვიდრე მის გარეშე. ასეთ სიჩქარეზე, ისეთი ილეთების გაკეთება, რასაც მესი აკეთებს, უბრალოდ წარმოუდგენელია." – **ალფიო ბასილე.**

"ჩემი რეკორდი 40 წლის განმავლობაში ხელუხლებელი იყო, ახლა კი ის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელმა დაამხო. მესი საოცარი ფეხბურთელია, ნამდვილი გიგანტი და ამასთან ერთად, ძალიან სასიამოვნო და მორიდებული პიროვნება გახლავთ. იმედი მაქვს, რომ მისი რეკორდი უფრო დიდხანს შენარჩუნდება. მესის მხოლოდ ერთი ნაკლი აქვს: ის მიუნხენის "ბაიერნში" არ თამაშობს." – **გერდ მიულერი.**

"ხალხს რონალდო არ უყვარს, რადგან ის უძლიერესი ფეხბურთელია, სიმპათიურია და ლამაზ ქალებთან აქვს სექსი. ადამიანებს მისი უბრალოდ შურთ. ერთადერთი ნაკლი რონალდოს ცხოვრებაში არის ლეო მესი – რომ არა არგენტინელი, რონალდო ზედიზედ ხუთი წლის განმავლობაში მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი იქნებოდა." – **ლუიშ ფელიპე სკოლარი.**

"იმის გადმოსაცემად, რასაც მესი საფეხბურთო მოედანზე აკეთებს, ესპანურ ენას ახალი სიტყვა ესაჭიროება, რადგან აქამდე არსებული სიტყვები აშკარად არაა საკმარისი." – **ალეხანდრო საბელია.**

"მესი ღმერთია – არა მხოლოდ როგორც ფეხბურთელი, არამედ ასევე როგორც პიროვნება. იმედი მაქვს, რომ ის არგენტინასთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონი გახდება. ყველა რელიგიის ღმერთს ვთხოვ, რომ მას ეს შანსი მიეცეს." – **სამუელ ეტოო.**

"ისევე როგორც მაიკლ ჯორდანი კალათბურთში, მესი სპორტის თავის სახეობაში დომინირებს. ისტორიის განმავლობაში, ძალიან ცოტა ადამიანს თუ მოუხერხებია ისეთი ჰეგემონიის დამყარება, როგორც ეს ჯორდანმა და მესიმ შეძლეს. მეცოდებიან ის ადამიანები, ვისაც მესის ტახტიდან ჩამოგდება სურთ, რადგან ეს შეუძლებელია. ეს ბიჭი უბრალოდ უნიკალურია – ის მხოლოდ ბევრ გოლს კი არ იტანს, არამედ ბევრ ლამაზ გოლს იტანს და ყოველი მომდევნო წინაზე უკეთესია." – **ხოსეპ გვარდიოლა.**

---

ამბები


ვალტერ მონტილიო

## სანტოსმა მონტილიო შეიძინა და რობინიოს შეეშვა

"სანტოსმა" ბრაზილიური სატრანსფერო ბაზრის გამორჩეულად ხმაურიანი ტრანსფერი განახორციელა და ქვეყნის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი გადაიბირა. არგენტინელი **ვალტერ მონტილიო,** "კრუზეიროში" გატარებული სამი წლის შემდეგ, სან პაულოში გადადის.

28 წლის ფეხბურთელში, რომელმაც "კრუზეიროს" რიგებში 89 მატჩი ჩაატარა და 23 გოლი გაიტანა, "სანტოსმა" 5.6 მილიონი ევრო გადაიხადა.

"ტრანსფერი გადაწყვეტილია, მხოლოდ ინდივიდუალური კონტრაქტის დეტალები დარჩა შესათანხმებელი და აქაც არანაირი პრობლემა არ იქნება," – განაცხადა "სანტოსის" ვიცე-პრეზიდენტმა **ოდილიო როდრიგესმა.**

მონტილიო ახალ კლუბში მე-10 ნომერს მოირგებს. არგენტინელი **ნეტოს, რენე ჟუნიორის** და **პინგას** შემდეგ "სანტოსის" მეოთხე ახალწვეულია.

ამ ტრანსფერის შემდეგ გადაწყდა, რომ **რობინიო** ყოფილ კლუბში აღარ დაბრუნდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ბრაზილიელი "მილანში" დარჩება, რადგან მისი შეძენით "ფლამენგო" და "ფლუმინენსე" არიან დაინტერესებულნი, თუმცა პრესის ინფორმაციით, "როსონერის" 28 წლის ფეხბურთელში 12 მილიონი ევროს მიღება სურს, რაც ბრაზილიური კლუბების წარმომადგენელთა აზრით საკმაოდ დიდი თანხაა.

კიდევ ერთი პრობლემა, რამაც შესაძლოა ტრანსფერი შეაფერხოს, რობინიოს გასამრჯელო გახლავთ – ჟურნალისტების ცნობით, ფეხბურთელი წელიწადში 5 მილიონ ევროს ითხოვს და გაურკვეველია, გადაუხდის თუ არა რომელიმე კლუბი მას ამხელა ხელფასს.

## ოარო ჩინეთში მიდის

მიუხედავად ინგლისური კლუბების დაინტერესებისა ("ევერტონი", "სანდერლენდი"), **გიომ ოარომ** ჩინეთში წასვლა გადაწყვიტა. 28 წლის ფეხბურთელი "დალიანის" წინადადებას დათანხმდა და კარიერას ამ კლუბში გააგრძელებს, სადაც მისი თანაგუნდელები **სეიდუ კეიტა** და **ფაბიო როშემბაკი** იქნებიან. ოარო ჩინეთში ორშაბათს გაფრინდება და კლუბთან 3-წლიან ხელშეკრულებას გააფორმებს.

ფორვარდი "პარი სენ ჟერმენში" 2008 წელს გადავიდა და ყველა ტურნირზე ჩატარებულ 161 შეხვედრაში 56 გოლი გაიტანა. ამ მაჩვენებლით, ოარო პსჟ-ს ყველა დროის ბომბარდირებში საპატიო მერვე ადგილს იკავებს

## პატო: მილანს არასდროს დავივიწყებ

როგორც მოსალოდნელი იყო, **ალეშანდრე პატო** "კორინთიანსში" გადავიდა. 23 წლის ფეხბურთელმა, რომელშიც ბრაზილიურმა კლუბმა 15 მილიონი ევრო გადაიხადა, "კორინთიანსთან" 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა და 7-ნომრიანი მაისური მიიღო.

"მილანის" ფეხბურთელებთან" გამომშვიდობების შემდეგ, პატომ გულშემატკივრებისთვისაც მოიცალა და "როსონერის" ოფიციალურ საიტზე გამოსამშვიდობებელი წერილი გამოაქვეყნა:

"ბრაზილიაში სათამაშო პრაქტიკის მიღებისთვის მივდივარ, "მილანს" კი არასდროს დავივიწყებ. მინდა ყველა იმ ადამიანს, ვისთან ერთადაც ამ პერიოდში ვიმუშავე, პრეზიდენტიდან დაწყებული და ფეხბურთელებით დამთავრებული, მადლობა გადავუხადო, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც გულშემატკივრის მადლიერი ვარ, რომელიც ყოველთვის მხარში მედგა. "მილანში" დაუვიწყარი წლები გავატარე და ამ გუნდს, მის ლოგოს, ფერებს და ქომაგებს, ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ექნება ჩემს გულში," – წერია პატოს წერილში.

შეგახსენებთ, რომ პატო "მილანში" 2007 წელს, "ინტერნასიონალიდან" 22 მილიონი ევროს საფასურად გადავიდა. სულ პატომ "როსონერის" რიგებში, სერია A-ს ეგიდით 117 მატჩი ჩაატარა და 51 გოლი გაიტანა. წინა სეზონში ბრაზილიელმა სულ 11 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და თავი ერთადერთხელ გამოიჩინა, წელს კი მოედანზე მხოლოდ 4-ჯერ გავიდა და გოლის გატანა ვერ შეძლო.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**



ალეშანდრე პატო

ეროვნული

ბაიერნი



მარცხნიდან: ვაინრაუხი, ვაინი, ჰოიბერგი და ცინგერლე - „ბაიერნის“ მწვრთნელმა იუპ ჰაინკესმა დოჰაში შეკრებაზე ეს ახალგაზრდები წაიყვანა

# რეკორდმაისტერის ამომავალი ვარსკვლავები

## ამ ბიჭებმა შეიძლება დიდი ფეხბურთი ითამაშონ

**„ბაიერნში“ საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელების ზამთრის შეკრებაზე წაყვანა ტრადიციად იქცა. 2013 წლის დასაწყისში მიუნხენური გრანდის მთავარმა მწვრთნელმა იუპ ჰაინკესმა რეკორდმაისტერის მეორე გუნდიდან დოჰაში შემდეგი მოთამაშეები წაიყვანა: მეკარე ლეოპოლდ ცინგერლე, ცენტრალური მცველი დანიელ ვაინი, თავდამსხმელი პატრიკ ვაინრაუხი და ცენტრალური ნახევარმცველი პიერ-ემილ ჰოიბერგი. „დონ იუპი“ ოთხივეს უნიჭიერეს ფეხბურთელად მოიხსენიებს.**

### ნიჭიერი თავდამსხმელი მტრის ბანაკიდან

ამ ოთხეულიდან მხოლოდ ერთია ისეთი, რომელსაც „ბაიერნმა“ გასულ ზაფხულს პროფესიული კონტრაქტი გაუფორმა - პატრიკ ვაინრაუხს ვგულისხმობთ. 18 წლის თავდამსხმელი ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონის პირველ ტურში, „ფიურტთან“ მატჩის განაცხადშიც კი იყო შეყვანილი, ისე კი რეგიონალლიგაში თამაშობს ხოლმე. ვაინრაუხს „ბაიერნის“ სარეზერვო გუნდში ამ სეზონში 22 მატჩში 4 გოლი აქვს გატანილი. გარდა ამისა, ვაინრაუხმა ამ სეზონში ხუთჯერ ითამაშა გერმანიის 19-წლამდელთა ნაკრებში, საფრანგეთთან 3:0-ზე მოგებულ მატჩში კი გოლის გატანაც მოახერხა. აქვე ვთქვათ, რომ ვაინრაუხი „ბაიერნში“ 2010 წლის ზაფხულში, თანაქალაქური „მიუნხენ 1860-ის“ ბავშვთა გუნდიდან გადავიდა.

### ვაინი სტაბილური მცველია

მიუნხენელები ცენტრალურ მცველ დანიელ ვაინზეც დიდ იმედებს ამყარებენ. ამ უკანასკნელმა „ბაიერნის“ მეორე გუნდში, **მეჰმეთ შოლის** ხელმძღვანელობით 2012/2013 წლების სეზონში 24-დან 23 მატჩში ისპარეზა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ რეკორდმაისტერის პირველ გუნდთან უკვე ძალიან ახლოსაა. როგორც იცით, **ჰოლგერ ბადშტუბერის** დაშავებისა და **ჟერომ ბოატენგის** დისკვალიფიკაციის შემდეგ ჰაინკესის განკარგულებაში მხოლოდ ორი ნომინალური ცენტრალური მცველია (**დანტე** და **დანიელ ვან ბუიტენი**). შესაბამისად, „დონ იუპი“ დოჰაში ვაინს განსაკუთრებით აკვირდება - უნდა, გაიგოს, რამე რომ იყოს, შეიძლება თუ არა ამ ახალგაზრდა ფეხბურთელის ნდობა სერიოზულ მატჩში.

### ოთხეული შვაინის და მიულერის გზაზე?

„ბაიერნში“ დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ მეკარე ლეოპოლდ ცინგერლესაც, რომელსაც სხვებთან ერთად, შანსი აქვს, რეკორდმაისტერში ისეთივე გზა გაიაროს, როგორიც თავის დროზე **ბასტიან შვაინშტაიგერმა, თომას მიულერმა** ან იმავე ბადშტუბერმა გაიარეს. როგორც იცით, ეს ფეხბურთელები სწორედ „ბაიერნის“ აღზრდილები არიან.

ხსენებული ოთხეულიდან ყველაზე ახალგაზრდა პიერ-ემილ ჰოიბერგია. ფრანგული წარმოშობის მქონე 17 წლის დანიელი საყრდენი ნახევარმცველია და მიუხედავად იმისა, რომ ასაკით ჯერ კიდევ „ა-იუგენდს“ ეკუთვნის, რეგიონალლიგის გუნდში 16 მატჩი აქვს ჩატარებული. ჰოიბერგს დანის 17-წლამდელთა ნაკრებშიც უთამაშია. ჩვენი გერმანელი კოლეგების მტკიცებით, ერთ-ერთი უნიჭიერესი ბაიერნელია.

მოულოდნელი ტრანსფერი

# კირხჰოფი ბაიერნში გადადის!

## ზაფხულში აუცილებლად, შეიძლება ახლაც!

რამდენიმედღიანი მითქმა-მოთქმის შემდეგ, მაინცელი **იან კირხჰოფის** ბედი გაირკვა: ყველასათვის მოულოდნელად, 22 წლის ცენტრალური მცველი, რომელსაც „მაინცის“ თავკაცი **თომას ტუხელი** ბოლო დროს საყრდენ ნახევარმცველად ათამაშებდა, კარიერას მიუნხენის „ბაიერნში“ გააგრძელებს. გუშინ ოფიციალურად დადასტურდა, რომ ფეხბურთელი, რომლის გადაბირება გელზენკირხენის „შალკესაც“ უნდოდა, სწორედ რეკორდმაისტერში გადავა. კირხჰოფს „მაინცთან“ კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება და „ბაიერნი“ მას ხელში უფასოდ ჩაიგდებს. თუმცა, „კიკერის“ ინფორმაციით, შესაძლოა, იანმა, რომელიც გერმანიის 21-წლამდელთა ნაკრების წევრია, მიუნხენურ გრანდში ახლავე ამოყოს თავი - თუკი კლუბები სატრანსფერო თანხაზე შეთანხმდებიან. ერთი სიტყვით, ტრანსფერი გადაწყვეტილია და ახლა თუ არა, ზაფხულში ნაღდად განხორციელდება.

ფრანკფურტში დაბადებული და „აინტრახტის“ აღზრდილი კირხჰოფი მაინცში 2007 წლიდან თამაშობს. იანი ნომინალური ცენტრალური მცველია, მაგრამ მაინცელთა თავკაცი მას ამ სეზონში ნახევარდაცვის ცენტრში ათამაშებდა და უნდა ითქვას, რომ ფეხბურთელი ამ პოზიციაზეც კარგად გამოიყურება.

1.95 მეტრი სიმაღლის კირხჰოფმა რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ „მაინცთან“ ახალი ხელშეკრულების გაფორმებას არ აპირებდა, რის შემდეგაც მასზე დიდი ტაციაობა ატყდა - დაინტერესება „ლევერკუზენმა“, მიონხენგლადბახის „ბორუსიამ“ და „ჰოფენჰაიმმა“ გამოხატეს, ყველაზე მეტად კი „შალკე“ აქტიურობდა.

„კიკერის“ ინფორმაციით, კირხჰოფი „ბაიერნთან“ კონტრაქტს 2016 წლის ზაფხულამდე გააფორმებს. *„მიხარია, რომ იანმა ეს გამოწვევა მიიღო და თანახმაა, „ბაიერნში“ გადმოვიდეს. მას დიდი პოტენციალი აქვს,“* - ეს ბავარიული გრანდის სპორტული დირექტორის, **მათიას ზამერის** სიტყვებია.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, დიდი შანსია, რომ იანი „ბაიერნში“ ახლავე გადავიდეს. რაკი „მაინცი“ ამ ფეხბურთელს მაინც კარგავს და თანაც უფასოდ, წესით, იანვარში კირხჰოფის ტრანსფერით ფინანსური ხეირის ნახვაზე მაინცელებმა უარი არ უნდა თქვან. ცხადია, გააჩნია, რამდენს შესთავაზებს „მაინცს“ „ბაიერნი“. „კიკერის“ ვარაუდით, „მაინცი“ წესით 1.5-დან 2 მილიონ ევრომდე შეთავაზებას დათანხმდება.





იან კირხჰოფი კარიერას ბაიერნში გააგრძელებს

დორტმუნდი

# კლოპი: აი, ნახავთ...

## ...მეორე წრეში დორტმუნდი უკეთესად ითამაშებს!

*„ეს არ იყო მსოფლიო დონის ფეხბურთი, მაგრამ არც ცუდი ფეხბურთი იყო,“* - ასე შეაფასა დორტმუნდის „ბორუსიას“ მთავარმა მწვრთნელმა **იურგენ კლოპმა** გერმანიის ჩემპიონისა და თასის მფლობელის ასპარეზობა 2012/2013 წლების სეზონის პირველ ნახევარში და პირველ რიგში იმით იყო კმაყოფილი, რომ მისმა გუნდმა ჩემპიონთა ლიგის „სიკვდილის ჯგუფში“ პირველი ადგილი დაიკავა. „ბორუსია“ სეზონის მეორე ნახევრისთვის ხუთშაბათიდან ემზადება და კლოპიც პირველ წრეში გამომჟღავნებული ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე მუშაობას შეუდგა. იურგენი დარწმუნებულია, რომ ბუნდესლიგის მეორე წრეს „დორტმუნდი“ გაცილებით უკეთესად ჩაატარებს.

კლოპს პირველ ვარჯიშზე სხვადასხვა ობიექტური მიზეზების გამო **სვენ ბენდერი, კრის ლიოვე, ლუკაშ პიშჩეკი, ლეონარდო ბიტენკური და პატრიკ ოვომოიელა** დააკლდნენ. დღეს „ბორუსია“ ლა მანგასკენ აიღებს გეზს, სადაც მეორე წრისთვის მოსამზადებელი შეკრებაა დაგეგმილი და სადაც კლოპი ამ ხუთ ფეხბურთელსაც იახლებს.

### პირველ რიგში, დაცვა უნდა გამოსწორდეს

*„შეკრებაზე ჩვენი მიზანი იმ ნაკლოვანებების აღმოფხვრა იქნება, რაც პირველ წრეში დაგვეტყო,* - უთხრა კლოპმა „კიკერს“, - *მაგალითად, დაცვის ხაზში დაგვჩემდა არასტაბილურობა და დასაშვებზე მეტი გოლი გავუშვით. ცხადია, პირველ რიგში სწორედ ამაზე უნდა წავიმუშაოთ.“*

მართლაც: „დორტმუნდმა“ პირველ წრეში კარი მშრალად მხოლოდ ოთხჯერ შეინახა. შედარებისთვის, „ბაიერნმა“ ეს 11-ჯერ შეძლო. იურგენი ხვდება, რომ ესეც ერთ-ერთი მთავარი მიზეზია იმისა, რომ რეკორდმაისტერმა „ბორუსიას“ 12 ქულით გაასწრო. ახალი წლის პირველი ვარჯიშის შემდეგ კლოპს „ბაიერნისთვის“ ომი არ გამოუცხადებია - ცხადია, ვიბრძოლებთ, მაგრამ მიუნხენურ გრანდს ჯერ არ, უფრო სწორად, ვერ ვებრძვითო.

*„სეზონის პირველი ნახევარი ცუდად არ ჩაგვიატარებია. ჩემპიონთა ლიგაში იდეალურად ვითამაშეთ, ბუნდესლიგაში კი ძველებურად სტაბილურად აღარ გამოვიყურებოდით, თუმცა მაინც კარგად ვთამაშობდით. დარწმუნებული ვარ, რომ მეორე წრეში გაცილებით უკეთესად ვიასპარეზებთ. აი, ნახავთ!“* - ამბობს კლოპი. პირველ წრეში „ბორუსიამ“ 30 ქულას მოუყარა თავი და თუ მეორე წრეში უფრო მეტს აიღებს, 60-ქულიან ნიშნულს ასცდება, რაც ნორმალურ პირობებში ხშირად ჩემპიონობას ნიშნავს ხოლმე, მაგრამ არა ამ სეზონში, როცა „ბაიერნი“ ქვას ქვაზე არ ტოვებს და 17 ტურის შემდეგ უკვე 42 ქულა აქვს.

მაინც, რატომაა კლოპი ამაში დარწმუნებული? *„იმიტომ, რომ ფაქტია, მეორე წრეში უფრო დავსტაბილურდებით, შეცდომებზე ვისწავლით და ყველასათვის ისევ უსიამოვნო მეტოქეები ვიქნებით,“* - აცხადებს კლოპი, რომელიც „კიკერმა“ საფეხბურთო გერმანიის 2012 წლის პერსონად აღიარა.



იურგენ კლოპი

ამბები

### კაჩარი ჰანოვერში არ წავა

ორიოდე დღის წინ ტრანსფერი თითქმის გადაწყვეტილი ჩანდა, გუშინ კი გაირკვა, რომ „ჰამბურგის“ საყრდენი ნახევარმცველი **გოიკო კაჩარი** „ჰანოვერში“ არ გადავა. თავად სერბმა ფეხბურთელმა **მირკო სლომკას** გუნდში გადაბარგებით დაინტერესება გამოხატა, მაგრამ ჩრდილოგერმანული კლუბის სპორტულმა დირექტორმა **ფრანკ არნესენმა** ტრანსფერის 48 საათში მოგვარება მოინდომა, კაჩარი კი „ჰანოვერს“ და პარალელურად „ჰამბურგს“ ასეთ მოკლე დროში სახელფასო დეტალებზე ვერ შეუთანხმდა.

### დარჩება თუ არა ჰიოვედესი შალკეში?

„შალკეს“ კაპიტანი **ბენედიქტ ჰიოვედესი** გელზენკირხენულ კლუბთან ახალი კონტრაქტის თაობაზე მოლაპარაკებებს აწარმოებს. მოქმედ კონტრაქტს ვადა 2014 წლამდე აქვს და 24 წლის ჰიოვედესი მიიჩნევს, რომ საჩქარო არაფერია. გუშინ გავრცელებული ცნობების თანახმად, გადაწყვეტილების მიღება გადაიდო. *„კლუბის ხელმძღვანელობა და მე იმ დასკვნამდე მივედით, რომ საჩქარო არაფერია, რადგან ჩემი კონტრაქტის ვადა გაისად იწურება. ახლა ამაზე მნიშვნელოვანი საქმეები გვაქვს,“* - უთხრა ჰიოვედესმა „ბილდს“. ცნობილია, რომ ჰიოვედესის გადაბირებაზე დიდი ხანია ფიქრობენ მიუნხენის „ბაიერნში“...

### იაროლიმმა კაიზერსლაუტერნი იუარა

ვეტერან ჩეხ საყრდენ ნახევარმცველს **დავიდ იაროლიმს** გერმანიაში დაბრუნება უნდა, მაგრამ „ჰამბურგში“ ის აღარ სჭირდებათ. სამაგიეროდ, ჩრდილოგერმანული კლუბის სპორტული დირექტორი **ფრანკ არნესენი** მას გუნდის მოძებნაში ეხმარება. 33 წლის ნახევარმცველის აყვანის სურვილი მეორე ბუნდესლიგაში მოასპარეზე „კაიზერსლაუტერნმა“ გამოთქვა, მაგრამ იაროლიმმა „წითელ ეშმაკებში“ გადასვლაზე უარი თქვა. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ დავიდს კარიერის დამთავრება მოუწევს. გადაწყვეტილია, რომ ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდების შემდეგ ჩეხს „ჰამბურგში“, ბავშვთა ფეხბურთში მწვრთნელის რანგში დაასაქმებენ.

### დიეგო ვოლფსბურგში რჩება

„ვოლფსბურგმა“ თურქულ ბელეკში მეორე წრისთვის მოსამზადებელი შეკრება დაიწყო, „მგლების“ ბრაზილიელი გამთამაშებელი **დიეგო** კი თურქული პრესის ყურადღების ცენტრში მოექცა. ცნობილია, რომ ბრაზილიელით „გალათასარაი“ და „ფენერბაჰჩე“ არიან დაინტერესებულები, მაგრამ დიეგომ ადგილობრივ ჟურნალისტებს უთხრა, რომ „ვოლფსბურგიდან“ წასვლაზე არ ფიქრობს და რომ მისი რომელიმე თურქულ გრანდში გადასვლა გამორიცხულია.

*„ვოლფსბურგში“ ბედნიერი ვარ, ტრანსფერზე არ ვფიქრობ,“* - განაცხადა დიეგომ. *„დიეგო ჩვენი გუნდის ერთ-ერთი უმთავრესი ფიგურაა და მის დათმობას არ ვაპირებთ,“* - ეს კი „ვოლფების“ ახალი სპორტული დირექტორის, **კლაუს ალოფსის** სიტყვებია.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

 იტალია. სერია A. XIX ტურის წინ

# ცენტრალური ჯახი სამხრეთში

## ლიდერი სამპას მიიღებს

დღეს, სერია A-ს მიმდინარე გათამაშება ორი მატჩით გაიხსნება, რომელთაგან უფრო მეტ ინტერესს "ლაციო"-"კალიარის" დაპირისპირება იწვევს. "ბიანკოჩელესტე" სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზეა და პრესის ყურადღების ცენტრშია მოქცეული...

### საფრთხე: მეტოქის შეუფასებლობა

რომაული გუნდი განსაკუთრებული დანაკლისის გარეშე ხვდება სარდინიელებთან პაექრობას... "გაძეტა დელო სპორტის" ვარაუდით, **ვლადიმირ პეტკოვიჩი** ნაცად ტაქტიკას, 4-5-1-ს აირჩევს და შეტევის წინა ხაზზე **მიროსლავ კლოზეს** გაამწესებს. ნახევარდაცვის ტრადიციული ხუთეულიდან სავარაუდოდ **ანტონიო კანდრევა** ამოვარდება, მის ადგილს კი **სენად ლულიჩი** დაიკავებს. ანტონიოს მიკრო-ტრავმა ჰქონდა და მეორე ტაიმში თუ ჩაერთვება თამაშში. "კალიარის" ცუდი დროება უდგას, მიჯრით წააგო მატჩები და მოახლოებულ პაექრობაში "ლაციო" უპირობო ფავორიტად ითვლება - სწორედ ეს აშინებს ყველაზე მეტად ვლადიმირ პეტკოვიჩს:

*"თუ ჩავთვლით, რომ სამი ქულა უკვე ჯიბეში გვიდევს, აუცილებლად დავისჯებით. "კალიარის" ზამთრის პაუზამ სულზე მოუსწრო და დარწმუნებული ვარ, რომ გუნდი გაათმაგებული მოტივაციით იასპარეზებს. ანალოგიურად უნდა დავუხვდეთ ჩვენც, თორემ კარგი დღე არ დაგვადგება. სატურნირო ცხრილში მეორე ადგილი გვიკავია და ეს მეამაყება, თუმცა პოზიციებს განმტკიცება სჭირდება. ერთი წაფორხილება და სამეულს მიღმა დავრჩებით, ამიტომ, ყურადღებით გვმართებს ყოფნა".*

### კონტეს ხუთი დანაკლისი

კვირას გამართავს თავის შეხვედრას "იუვენტუსი" და საკუთარ მოედანზე "სამპდორიას" დაუპირისპირდება. **ანტონიო კონტეს** ხუთი ფეხბურთელის გარეშე უწევს ფონს გასვლა: **ჯორჯო კიელინი, სიმონე პეპე** და **ნიკლას ბენდტნერი** ტრავმირებულნი არიან, **შტეფან ლიხტშტაინერს** დისკვალიფიკაცია აქვს, **კვადვო ასამოა** კი ეროვნულ ნაკრებთან ერთადაა და აფრიკის ერონებათა თასზე საასპარეზოდ ემზადება. ასამოას აფრიკაში გამგზავრება შანსია **პაოლო დე ჩელიესთვის**, რომელიც გენუელებთან ძირითად შემადგენლობაში მოიაზრება.

შეტევის წინა ხაზზე, კონტე **მირკო ვუჩინიჩს** და **სებასტიან ჯოვინკოს** გაამწესებს, **ფაბიო კვალიარელა** და **ალესანდრო მატრი** კი თადარიგში დარჩებიან.

საინტერესოა, როგორ გაირჯება "სამპდორია" ახალი მთავარი მწვრთნელის ხელში... **დელიო როსის** თქმით, მისი გუნდი ტურინში სამი ქულისთვის ჩადის: *"ფრეზე თამაში წაგების ტოლფასია და შესაბამისად, ტურინში მხოლოდ მოსაგებად ჩავდივართ. "სამპდორიას" აქვს იმის რესურსი, რომ ყველაზე ძლიერ მეტოქეებსაც კი თავისუფლად და ლაღად ეთამაშოს. ვეცდებით შევუტიოთ, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს".*

### მილანელები ბიანკონერების წინააღმდეგ

"მილანისთვის" 2013 წელი მძიმედ დაიწყო - **მასიმილიანო ალეგრის** გუნდი ამხანაგურად ქვედალიგოსან "პრო პატრიას" სტუმრობდა, სადაც გულშემატკივრებმა **კევინ პრინს ბოატენგს** და **სალი მუნტარის** რასისტულ ნიადაგზე ნამდვილი შეტევა მოუწყვეს. შედეგად, ბოატენგს ნერვები მოეშალა, თამაში შეაჩერა და ბურთი ყველაზე აქტიურ ტიფოზს დაუმიზნა... მატჩი შეწყდა და ალარც განახლებულია, რასიზმის მორიგი გამოვლინება კი მთელმა საფეხბურთო იტალიამ დაგმო.

მასიმილიანო ალეგრის გუნდი ხასიათის გამოკეთებას "სიენასთან" საშინაო შეხვედრაში შეეცდება. "როსონერი" 4-3-3 ტაქტიკით გაირჯება, შეტევის წინა ხაზზე კი **რობინიო**, ბოატენგი და **სტეფან ელ შაარავი** გაირჯებიან. **ალეშანდრე პატო** უკვე "კორინთიანსელია", ამიტომ, შეტევის გასაძლიერებლად ალეგრი **ჯამპაოლო პაცინის, ბოიან კრკიჩის** და ახალგაზრდა **ნიანგის** იმედად იქნება.

ერთი შეხედვით, უფრო რთული მატჩი მოელის "ინტერს", რომელიც კიდევ ერთ "ბიანკონერის", "უდინეზეს" სტუმრობს. **ანდრეა სტრამაჩონი** თავდასხმაში **ანტონიო კასანოსა** და **დიეგო მილიტოს** გაამწესებს, ახალწვეული **ტომაზო როკი** კი თადარიგში დარჩება და იქნებ, მეორე ნახევარში ჩაერთოს თამაშში. ვნახოთ...

### ცენტრალური სამხრეთში

მართალია, "ნაპოლი" და "რომა" სამეულს მიღმა არიან, მაგრამ მათი დაპირისპირება თამამად შეგვიძლია მივიჩნიოთ ცენტრალურად. სატურნირო ცხრილის ზედა ნაწილში იმდენად დიდი კონკურენციაა, რომ თითოეულ ქულას ბევრი რამის შეცვლა შეუძლია. მაგალითად, თუ რომაელებმა ნეაპოლელები დაამარცხეს, ადგილსაც გაუცვლიან და მინიმუმ მეხუთე პოზიციაზე მოკალათდებიან. ნეაპოლელებს თავის მხრივ დასამტკიცებელი აქვთ, რომ ქულების დაკლებით წელში არ გატეხილან და უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლას აგრძელებენ.

**ფრანჩესკო ტოტი** ტრავმირებულია და ბოლო ინფორმაციით, "სტადიო სან პაოლოზე" ვერ იასპარეზებს. კაპიტნის მაგივრად, ძირითადში **მატია დესტრო** იასპარეზებს, რომელიც სავარაუდოდ **ერიკ ლამელას** და **მირალემ პიანიჩს** დაუმშვენებს გვერდს. დიახ, "გაძეტას" ვერსიით, **პაბლო ოსვალდო** რეზერვში დარჩება და არ გვაქვს საფუძველი, რომ ავტორიტეტულ გამოცემას არ დავუჯეროთ.

თუ **პაოლო კანავაროს** დისკვალიფიკაციას არ ჩავთვლით, ყველაფერი რიგზეა ნეაპოლელთა რიგებში. **გორან პანდევი** და **ედინსონ კავანი** თავდასხმაში გაირჯებიან, **მარეკ ჰამშიკი** კი ტრადიციულად მათ უკან იმოქმედებს. **ვალტერ მაცარის** თქმით, წლის წარმატებულად დაწყებას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს. ნეაპოლური შეხვედრის პროგნოზირება ურთულესი საქმეა და ისლა დაგვრჩენია, რომ დაველოდოთ ამ მეტად საინტერესო პაექრობას.

**დღეს**

**კატანია-ტორინო 21.00**

**ტრავმა:** შაკა, ბიაჯანტი, ალვარესი - დიოპი, ვერდი, ბრიგი, სანტანა, ოგბონა.

ბოლო 6 მატჩი

+1=1-4 +1=1-4

ურთიერთშეხვედრები

სულ 12 თამაში: +3=3-6, (13-15)

**ლაციო-კალიარი 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** ასტორი, პიზანო (კალიარი).

**ტრავმა:** ედერსონი - პინილია.

ბოლო 6 მატჩი

+4=2-0 +0=1-5

ურთიერთშეხვედრები

სულ 30 თამაში: +14=9-7, (44-27)

**ხვალ**

**უდინეზე-ინტერი 15.30**

**დისკვალიფიკაცია:** პინცი - რანოკია.

**ტრავმა:** ვილიანსი, ბარეტო, ბენეტია, ბადუ - სტანკოვიჩი, ობი, მუდინგაი, კასტელაცი, ნაგატომო, კოუტინიო, ალვარესი.

ბოლო 6 მატჩი

+2=3-1 +2=2-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 38 თამაში: +9=9-20, (39-50)

**მილანი-სიენა 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** მექსე - ვიტიელი, ტერცი, კალაიო.

**ტრავმა:** ტრაორე, დიდაკ ვილა, მესბა, დე იონგი (მილანი).

ბოლო 6 მატჩი

+4=1-1 +1=1-4

ურთიერთშეხვედრები

სულ 16 თამაში: +13=2-1, (38-14)

**კიევო-ატალანტა 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** კარმონა (ატალანტა).

**ტრავმა:** ფრეი, ვიოტი - კაპელი მარილუნგო.

ბოლო 6 მატჩი

+3=1-2 +1=1-4

ურთიერთშეხვედრები

სულ 19 თამაში: +8=7-4, (22-16)

**ფიორენტინა-პესკარა 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** ოლივერა, გონსალო (ფიორენტინა).

**ტრავმა:** აგაცი, კამპორეზე - კაპრარი, კოსიჩი, ბლაზი.

ბოლო 6 მატჩი

+3=2-1 +2=0-4

ურთიერთშეხვედრები

სულ 2 თამაში: +0=2-0, (1-1)

**ჯენოა-ბოლონია 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** ბერტოლაჩი - პერესი.

**ტრავმა:** ფერონეტი, ხორკერა, ბოვო, იანკოვიჩი - პულცეტი, პაციენცა, ხიმენესი, ლომბარდი, ნატალი.

ბოლო 6 მატჩი

+1=2-3 +3=1-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 10 თამაში: +4=2-4, (17-16)

**იუვენტუსი-სამპდორია 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** ლიხტშტაინერი - სორიანო.

**ტრავმა:** პეპე, კიელინი, ბენდტნერი - რომეო, და კოსტა, პოულსენი, მაქსი ლოპესი, მარესკა.

ბოლო 6 მატჩი

+4=1-1 +2=1-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 26 თამაში: +13=9-4, (37-20)

**პარმა-პალერმო 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** ვალდესი - მუნიოსი.

**ტრავმა:** გალოპა, ძაკარდო - დონატი, ერნანდესი, მანტოვანი.

ბოლო 6 მატჩი

+3=1-2 +1=1-4

ურთიერთშეხვედრები

სულ 15 თამაში: +5=6-4, (22-21)

**ნაპოლი-რომა 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** კანავარო, გრავა - გუბერტი, მარკინიოსი.

**ტრავმა:** ტადეი, ფლორენცი, ტოტი (რომა).

ბოლო 6 მატჩი

+3=1-2 +5=0-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 24 თამაში: +4=8-12, (27-48)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 18 | 14 | 2 | 2 | 39-11 | 44 |
| 2. ლაციო | 18 | 11 | 3 | 4 | 25-17 | 36 |
| 3. ფიორენტინა | 18 | 10 | 5 | 3 | 36-19 | 35 |
| 4. ინტერი | 18 | 11 | 2 | 5 | 30-19 | 35 |
| 5. ნაპოლი | 18 | 11 | 3 | 4 | 33-17 | 34 |
| 6. რომა | 18 | 10 | 2 | 6 | 41-29 | 32 |
| 7. მილანი | 18 | 8 | 3 | 7 | 34-26 | 27 |
| 8. პარმა | 18 | 7 | 5 | 6 | 25-24 | 26 |
| 9. კატანია | 18 | 7 | 4 | 7 | 26-27 | 25 |
| 10. უდინეზე | 18 | 5 | 9 | 4 | 26-26 | 24 |
| 11. ატალანტა | 18 | 7 | 3 | 8 | 18-27 | 22 |
| 12. კიევო | 18 | 6 | 3 | 9 | 20-29 | 21 |
| 13. ტორინო | 18 | 4 | 8 | 6 | 20-22 | 19 |
| 14. ბოლონია | 18 | 5 | 3 | 10 | 21-24 | 18 |
| 15. სამპდორია | 18 | 5 | 3 | 10 | 20-27 | 17 |
| 16. პესკარა | 18 | 5 | 2 | 11 | 15-35 | 17 |
| 17. კალიარი | 18 | 4 | 4 | 10 | 16-33 | 16 |
| 18. პალერმო | 18 | 3 | 6 | 9 | 15-27 | 15 |
| 19. ჯენოა | 18 | 3 | 5 | 10 | 18-29 | 14 |
| 20. სიენა | 18 | 4 | 5 | 9 | 16-26 | 11 |

*შენიშვნა: სიენა - 6 ქულა, ნაპოლი – 2, ატალანტა – 2, სამპდორია – 1, ტორინო – 1.*

ბომბარდირები: 14 – ელ შაარავი (მილანი); 13 - კავანი (ნაპოლი); 10 - კლოზე (ლაციო), დი ნატალე (უდინეზე), ლამელა (რომა).



რომაელ მცველებს დიდი ჯაფა დაადგებათ

სატრანსფერო ამბები



სალვატორე არონიკა "პალერმოში" ითამაშებს

### ვეტერანები ფოკუსში: როკი, არონიკა, მათუსალემი, ტონი...

სატრანსფერო ფანჯარა გახსნილია და იტალიური კლუბები ნელნელა ამ მიმართულებითაც ხურდებიან. მართალია, მეგა-ტრანსფერი ჯერ არ განხორციელებულა, მაგრამ რამდენიმე საინტერესო გარიგება შედგა. მაგალითად, ბერგამოელი ფედერიკო პელუზო უკვე ტურინშია და დღე დღეზე "იუვენტუსთან" საიჯარო ხელშეკრულებას გააფორმებს. ჯერჯერობით ყურადღების ცენტრში ვეტერანები არიან, რომლებიც არა მარტო ხელშეკრულებებს ახანგრძლივებენ, ახალ გუნდებშიც გადადიან. ქვემოთ ბოლო, ყველაზე საინტერესო სიახლეებს მოკლედ გაგაცნობთ...

■ ■ ■

ტომაზო როკი რომ "ინტერში" გააგრძელებს კარიერას, ერთ-ერთ წინა ნომერშიც გაუწყეთ, დღეს კი იმის აღნიშვნა გვიწევს, რომ 35 წლის ფორვარდმა მილანურ გრანდთან ხელშეკრულება გააფორმა. კონტრაქტი საიჯაროა, რომლის მიხედვითაც როკიმ "ნერაძურის" ბედი სეზონის ბოლომდე დაუკავშირა.

■ ■ ■

"ჯენოას" ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, რომ ამიერიდან, 32 წლის **ფრანსელიმო მათუზალემი** გენუური გუნდის ფეხბურთელია. ექს-ლაციალემ ახალ კლუბთან ნახევარწლიანი საიჯარო ხელშეკრულება გააფორმა და თუ მხარეები კმაყოფილნი დარჩნენ თანამშრომლობით, ზაფხულში უფრო ხანგრძლივვადიანი კონტრაქტიც გაფორმდება. ცნობილია ისიც, რომ ბრაზილიელის გამოსყიდვა გენუელებს 2 მილიონი ევრო დაუჯდებათ.

■ ■ ■

**სალვატორე არონიკა** კარგა ხანს აწარმოებდა მოლაპარაკებებს "პალერმოსთან", გუშინ კი 2-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და ბედი სიცილიურ გუნდს დაუკავშირა. 34 წლის სალვატორემ ბოლო ხუთი წელი "ნაპოლიში" გაატარა და როგორც ჟურნალისტებს განუცხადა, ნეაპოლური გუნდი ყოველთვის მის გულში იქნება.

■ ■ ■

35 წლის **ლუკა ტონიმ** "ფიორენტინასგან" ახალი, ერთწლიანი კონტრაქტი მიიღო, რამაც ფეხბურთელი ძალიან გაახარა. ტონის თქმით, ახალი ხელშეკრულება მისთვის სასიამოვნო მოულოდნელობა გახლავთ, რამაც კლუბის მესვეურთა მიმართ მადლიერებით აავსო. ეს იმას ნიშნავს, რომ ლუკა "ფიორენტინაში" მომდევნო სეზონსაც გაატარებს. შეგახსენებთ, რომ სერია A-ს მიმდინარე გათამაშებაში ვეტერანმა ფორვარდმა 14 მატჩი გამართა და 6 გოლი გაიტანა.

გვერდი მოამზადა
ლაშა წიკლაურმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა. XVIII ტურის წინ

# აი, დილემა: იკერი თუ ადანი

## ბარსელონური დერბი, მესიმ 91 გაანულა და თავიდან იწყებს

**სარაგოსა-ბეტისი 1:2**

**გოლები:** 0:1 რ. კასტრო (44), 0:2 მოლინა (58), 1:2 მონტანიესი (77)

**სარაგოსა (4-2-3-1):** რობერტო - სეპუნარუ (73. ორტი), ალვარო, ლოოვენსი, აბრაამი - მოვილია, აპონიო - ე. ორიოლი (61. სუკულინი), ვ. როდრიგესი (84. ალამო), მონტანიესი - პოშტიგა.

**ბეტისი (4-2-3-1):** ადრიანი - ჩიკა, მარიო, ამაია, ნაჩო - ბენიატი (79. რ. პერესი), კანიასი - კემპბელი, სევილია (72. პოსუელო), ნოსა (53. მოლინა) - რ. კასტრო.

**გაფრთხილება:** მოვილია, პოშტიგა, ალვარო, აბრაამი - კანიასი, ამაია, ნოსა, ბენიატი, ნაჩო

**გაძევება:** ალვარო (თამაშის მერე)

**კუთხური:** 6-2; **ჯარიმა:** 19-12; **თამაშგარე:** 1-5; **კარში დარტყმა:** 8-8 (1-6); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 18 000

### დღეს

**ლევანტე-ბილბაო 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** ლელი - სუსაეტა

**ტრავმა:** რიოსი, დუდკა - რუისი, პერესი, იტურასპე (?), დე მარკოსი (?), ამორებიეტა (?)

**ბოლო 6 მატჩი**

+3=1-2 | +2=1-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 10 თამაში: +2=1-7, (9-16)

**გრანადა-ვალენსია 21:00**

**ტრავმა:** ფ. რიკო, ტონიო - რამი (?), გაგო, მატიო, ბანეგა (?), კანალესი

**ბოლო 6 მატჩი**

+1=2-3 | +3=0-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 2 თამაში: +0=0-2, (0-2)

**დეპორტივო-მალაგა 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** ველიგტონი (მალ)

**ტრავმა:** აიოსე, ბოდიპო, ლაურე, დომინგესი, კასტრო - ბაპტიშტა, ტულალანი

**ბოლო 6 მატჩი**

+0=2-4 | +4=1-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 20 თამაში: +11=8-1, (31-11)

**სევილია-ოსასუნა 01:00**

**დისკვალიფიკაცია:** ფასიო - არმენტეროსი

**ტრავმა:** კამპანია, პეროტი, ტროხოვსკი, რაკიტიჩი - სისი, მასუდი

**ბოლო 6 მატჩი**

+1=1-4 | +1=3-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 32 თამაში: +12=9-11, (33-28)

### ხვალ

**სელტა-ვალიადოლიდი 15:00**

**ტრავმა:** ლიორკა, ლაგო - ებერტი, რუედა

**ბოლო 6 მატჩი**

+1=2-3 | +2=1-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 30 თამაში: +14=11-5, (45-29)

**რეალი-სოსიედადი 20:00**

**დისკვალიფიკაცია:** სერხიო რამოსი (რეალ)

**ტრავმა:** მარსელო, იგუაინი, ალბიოლი, კოენტრაო (?), პეპე - ბერგარა, ელუსტონდო, კადამური

**ბოლო 6 მატჩი**

+3=1-2 | +3=3-0

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 33 თამაში: +17=8-8, (63-42)

**ბარსელონა-ესპანიოლი 22:00**

**ტრავმა:** ადრიანო (?), ინიესტა (?), კვენკა, ფაბრეგასი, მუნიესა - ფონტე, გომესი, ლონგო, ალვარესი, ტეხერა

**ბოლო 6 მატჩი**

+6=0-0 | +1=3-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 41 თამაში: +24=12-5, (70-32)

**მალიორკა-ატლეტიკო 00:00**

**დისკვალიფიკაცია:** ჟერომელი (მალ)

**ტრავმა:** ხიმენესი, პერეირა, ლოპესი, ფონტასი (?), ჟ. ვიქტორი - ლუიში

**ბოლო 6 მატჩი**

+1=2-3 | +4=0-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 26 თამაში: +9=7-10, (34-38)

### ზეგ

**ვალეკანო-ხეტაფე 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** ვალერა (ხეტ)

**ტრავმა:** როდრი, კობენიო, კარლოსი - კოლუნგა, ალკასერი, ლეონი, როდრიგესი

**ბოლო 6 მატჩი**

+3=0-3 | +3=2-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 5 თამაში: +2=0-3, (6-7)

**შენიშვნა:** + მოგება, = ფრე, - წაგება () ბურთების სხვაობა

**შენიშვნა:** ურთიერთშეხვედრები ჩემპიონატისა და თასის მატჩები 1994 წლიდან

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 17 | 16 | 1 | 0 | 57-19 | 49 |
| 2. ატლეტიკო | 17 | 13 | 1 | 3 | 37-17 | 40 |
| 3. რეალი | 17 | 10 | 3 | 4 | 41-17 | 33 |
| 4. მალაგა | 17 | 9 | 4 | 4 | 28-12 | 31 |
| 5. ბეტისი | 18 | 10 | 1 | 7 | 28-29 | 31 |
| 6. ლევანტე | 17 | 8 | 3 | 6 | 21-24 | 27 |
| 7. სოსიედადი | 17 | 7 | 4 | 6 | 24-20 | 25 |
| 8. ვალეკანო | 17 | 8 | 1 | 8 | 22-32 | 25 |
| 9. ვალენსია | 17 | 7 | 3 | 7 | 23-26 | 24 |
| 10. ხეტაფე | 17 | 7 | 3 | 7 | 21-25 | 24 |
| 11. ვალიადოლიდი | 17 | 6 | 4 | 7 | 23-21 | 22 |
| 12. სარაგოსა | 18 | 7 | 1 | 10 | 21-26 | 22 |
| 13. ბილბაო | 17 | 6 | 3 | 8 | 21-34 | 21 |
| 14. სევილია | 17 | 5 | 4 | 8 | 22-26 | 19 |
| 15. გრანადა | 17 | 4 | 4 | 9 | 13-25 | 16 |
| 16. მალიორკა | 17 | 4 | 4 | 9 | 16-29 | 16 |
| 17. სელტა | 17 | 4 | 3 | 10 | 16-22 | 15 |
| 18. ესპანიოლი | 17 | 3 | 6 | 8 | 19-26 | 15 |
| 19. ოსასუნა | 17 | 3 | 5 | 9 | 14-19 | 14 |
| 20. დეპორტივო | 17 | 2 | 6 | 9 | 21-39 | 12 |

**ბომბარდირები:** 26 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 17 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 14 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 10 - არიც ადურისი (ბილბაო).

### ზამთრის ტრანსფერები ლა ლიგაში

| თარ. | ფეხბურთელი | საიდან | სად | თანხა |
|---|---|---|---|---|
| 5 ნოემ. | იაგო ბესეირო | დეპორ. | კარპატი | თავ. აგ. |
| 6 ნოემ. | დანიელ გუისა | ხეტაფე | ჯოჰორი | იჯარა |
| 6 ნოემ. | დანიელ ლარსონი (შვ) | მალმიო | ვალიად. | თავ. აგ. |
| 10 დეკ. | ხონათან პერეირა | ბეტისი | ვილიარ. | იჯარა |
| 21 დეკ. | ხორდი ფიგერასი | ბრიუგე | ვალეკანო | იჯარა |
| 26 დეკ. | ბერნანდო ესპინოსა (კოლ) | სევილია | სპორტინგი | იჯარა |
| 26 დეკ. | ანტ. ფლორო ფლორესი (იტ) | გრანადა | უდინეზე | იჯ. დაბრ. |
| 28 დეკ. | როდ. მირანდა (პორტ) | დეპორ. | ბენფიკა | იჯ. დაბრ. |
| 29 დეკ. | კაზირუ აკინსოლა (ნიგ) | გრანადა | აპოლონი | იჯარა |
| 30 დეკ. | დიეგო ბუონანოტე (არგ) | მალაგა | პალერმო | იჯარა |
| 30 დეკ. | სანდრო სილვა (ბრ) | მალაგა | ვასკუ | იჯარა |
| 1 იან. | მიროსლავ სტევანოვიჩი (ბს) | ვოივოდ. | სევილია | 1 მლნ. |
| 2 იან. | ვადიმ დემიდოვი (ნორ) | აინტრახტი | სელტა | იჯარა |
| 2 იან. | რიკარდო ლოპესი | თავ. აგ. | ოსასუნა | - |
| 2 იან. | სილვიო (პორტ) | ატლეტიკო | დეპორტ. | იჯარა |
| 3 იან. | ნიკი ბილე ნილსენი (დან) | ვალეკანო | ვილიარ. | იჯ. დაბრ. |
| 3 იან. | ნიკი ბილე ნილსენი (დან) | ვილიარ. | როსენბ. | თავ. აგ. |
| 3 იან. | ხოელ რობლესი | ატლეტიკო | უიგანი | იჯარა |
| 4 იან. | რაულ გონი | სარაგოსა | საბადელი | თავ. აგ. |

**წუხელ** არაგონის დედაქალაქში დაწყებული მე-18 ტური ორშაბათს მადრიდის გარეუბანში დასრულდება, სადაც დედაქალაქის მცირე დერბი გაიმართება. ტურის მშვენება უდავოდ „კამპ ნოუს" დაპირისპირებაა - მორიგი ბარსელონური დერბი. ამჯერად, როგორც ერთპიროვნულ ლიდერსა და ერთ-ერთ აუტსაიდერს შორის. ჟოზე მოურინიო წელინადს შინ ბასკურ „რეალ სოსიედადთან" ურთიერთობის გარკვევით იწყებს. მეორეადგილოსანი „ატლეტიკო" ბალეარის კუნძულებს სტუმრობს, ხოლო მე-3 ადგილისთვის მებრძოლი „მალაგა" „რიასორს" მიაკითხავს, სადაც „დეპორს" ახალი თავკაცი, პორტუგალიელი დომინგუშ პასიენსია გაიყვანს

## ჟოზემ დაცვას უნდა მიხედოს

სათაურში გამოტანილ ფრაზას შეიძლება ხუმრობითაც შეხვდე და სერიოზულადაც. რატომ? აბა, 25 წლის **ანტონიო ადანი იკერ კასილიასის** რა ტოლ-სწორია, რომ მას შევადაროთ - „რეალის" კაპიტანი ახლახან წლის საუკეთესო გოლკიპერად (მეხუთედ!) დაასახელეს მსოფლიოში. მაგრამ საკითხს მეორე, **ჟოზე მოურინიოს** კუთხით შევხედოთ: თუ წინა ტურში იკერის სათადარიგოთა სკამზე დასმა წმინდა ტექნიკური გადაწყვეტილება იყო, ამ 10 დღეში რა შეიცვალა, ადანს საახალწლო ზეიმი გაუგრძელდა? რა მოტივით უნდა დააბრუნოს (არადა, აპირებს) კაპიტანი ძირითადში? „მარკას" მკითხველი 77%-ით იკერს ირჩევს, რა გზას აირჩევს „განსაკუთრებული"?

ხვალ „რეალ სოსიედადთან" საშინაო მატჩში მოურინიოს სხვა თავისტკივილიც აქვს და თან რეალური და არა თავისი გამოგონილი - **პეპემ** ოპერაცია გაიკეთა და დაცვას ბურჯი 1 თვით გამოეცალა. ესპანეთში ფიქრობენ, რომ **სერხიო რამოსის** არყოფნაში (ის დისკვალიფიცირებულია), მოვიდა **რაფაელ ვარანის** დრო. გამოჯანმრთელდა **გონსალო იგუაინი**, რომელიც დღე-დღეზე ახალ ხელშეკრულებას გააფორმებს „რეალთან". თუმცა მოურინიო არ აპირებს სასტარტოში **ქარიმ ბენზემაც** დააყენოს და იგუაინიც.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**რეალი:** *კასილიასი - არბელოა, ვარანი, რ. კარვალიო, ფ. კოენტრაო - ხედირა, ჩაბი ალონსო - დი მარია, იოზილი, რონალდო - ბენზემა.*

**რეალ სოსიედადი:** *ბრავო - კ. მარტინესი, მ. გონსალესი, ი. მარტინესი, დე ლა ბელა - ზურუტუზა, ილარამენდი - ველა, ჩაბი პრიეტო, გრიზმანი - იფრანი.*

## მუდამ პრინციპული

ხვალ ბარსელონის დერბია („დერბი ბარსელუნი" კატალონიურად) - „ბარსელონა" „ესპანიოლის" წინააღმდეგ. არ მოგვატყუოს ამ ორ კლუბს შორის 34-ქულიანმა განსხვავებამ - დერბი პრინციპული იქნება. **ლეო მესი** კი შეეცდება შარშანდელი მიღწევის გაუმჯობესება პირველივე მატჩში გოლების გატანით დაიწყოს. 1929 წლიდან მოყოლებული, ამ ორი გუნდის დაპირისპირებაში 83-ჯერ იმარჯვა „ბარსელონამ".

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბარსელონა:** *ვალდესი - დანი ალვეში, პიქე, პუიოლი, ალბა - ჩავი, ბუსკეტსი, ინიესტა - პედრო, მესი, სანჩესი.*

**ესპანიოლი:** *კ. ალვარესი - ხ. ლოპესი, კოლოტო, მორენო, ვ. ალვარესი - ვ. სანჩესი, ფორლინი - ვაკასო, ვერდიუ, სიმაო.*




ცნობილი სკანდალის დროს იკერ კასილიასს ვიქტორ ვალდესმა სრული მხარდაჭერა გამოუცხადა

### ამბები

## კასილიასი წლის საუკეთესო გოლკიპერია

მადრიდის „რეალის" მეკარე, 31 წლის **იკერ კასილიასი** ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ წლის საუკეთესო გოლკიპერად დაასახელა.

ესპანელმა ექსპერტებისგან ჯამში 224 ქულა მიიღო, მან საკმაოდ გაუსწრო იტალიელ **ჯიჯი ბუფონს** - 128 ქულა. მესამე ადგილზე „ჩელსის" ჩეხი მეკარე **პეტრ ჩეხია** - 92 ქულა. ხუთეულში მოხვდნენ ინგლისელი **ჯო ჰარტი** (26 ქულა) და ესპანელი **ვიქტორ ვალდესი** (15).

ალსანიშნავია, რომ იკერი ამ ორგანიზაციამ მეხუთედ აღიარა წლის საუკეთესო გოლკიპერად.

## ატლეტიკოს პრეზიდენტმა უარყო: ფალკაო არ მიდის

მადრიდის „ატლეტიკოს" პრეზიდენტმა **ენრიკე სერესომ**, რა თქმა უნდა, უარყო ესპანურ პრესაში წინადღით გავრცელებული ცნობა, თითქოს მას ეთქვას - **რადამელ ფალკაოს** უკვე აქვს „რაღაც" კონტრაქტი მადრიდის „რეალთანო".

*„ეს სრული აბსურდია, ასეთ სისულელეს როგორ ვიტყოდი? მე ამაში ვხედავ მცდელობას, დესტაბილიზაცია შემოიტანონ კლუბში. ფალკაოს მხოლოდ ერთი კონტრაქტი აქვს - მადრიდის „ატლეტიკოსთან". ძალიან არ მომწონს, როცა ჟურნალისტები მანიპულირებენ და თან მე მაწერენ იმას, რასაც არ ვამბობ"*, - განაცხადა სერესომ.

შეგახსენებთ, რომ „ატლეტიკოს" 26 წლის კოლუმბიელი ფორვარდი რადამელ ფალკაო რამდენიმე ტოპ-კლუბს სურს, მათ შორის, „ჩელსის" და „რეალს".

## დავიდ ვილია „არსენალში" 17 მილიონად?

საიტ „გოლის" ექსკლუზიური ინფორმაციით, ლონდონის „არსენალის" ბოსი **არსენ ვენგერი** მზადაა, „ბარსელონას" ფორვარდ **დავიდ ვილიას** სანაცვლოდ 17 მილიონი ევრო გადაიხადოს.

ამასთან, „არსენალი" აგრძელებს მოლაპარაკებას მადრიდის „ატლეტიკოსთან" ახალგაზრდა ფორვარდის, **ადრიან ლოპესის** ხელში ჩასაგდებად. ინგლისელები ლოპესის სანაცვლოდ 12 მილიონ ევროს იხდიან.

არსენ ვენგერი „ელ გუახეს" ტალანტის დიდი დამფასებელია, ვილიას კი არ მისდის საქმეები კარგად „ბარსელონაში". 31 წლის ფორვარდს ინგლისელები კვირაში 136 ათას ევროს შესთავაზებენ. 17 მილიონი და ეს ჯამაგირი, ორივე ისეთი წინადადებაა, რომ, შესაძლოა, „ბარსელონამ" და ვილიამ თავი ველარ შეიკავონ და ესპანეთის ნაკრების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი „ნისლიან ალბიონზე" ამოჩნდეს.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული სპორტი

ძიუდო. ლაშა შავდათუაშვილი




ლაშა შავდათუაშვილი

# ოლიმპიური ჩემპიონი ტატამს დაუბრუნდა

საქართველოს 2012 წლის საუკეთესო სპორტსმენი უკლებლივ ყველა ვერსიით, ოლიმპიური ჩემპიონი ძიუდოში **ლაშა შავდათუაშვილი** (66) ვარჯიშს შეუდგა და წინასაახალწლოდ ბაკურიანში შეკრებაც გაიარა.

მოგეხსენებათ, შემოდგომაზე მან საზარდულის ოპერაცია გაიკეთა და 18 დეკემბრამდე ანუ ამ ამბიდან 3 თვის გასვლამდე ექიმები ლეიბზე ვარჯიშის ნებას არ აძლევდნენ. ამ პერიოდში ის მხოლოდ ფიზიკურად იტვირთებოდა, თუმცა სრულად ვერც ამას ახერხებდა. საბედნიეროდ, სარეაბილიტაციო პერიოდი გართულებების გარეშე წარიმართა და დეკემბრის ბოლოს ლაშა, მისი თანაგუნდელი **ნუგზარ ტატალაშვილი** და გორის ძიუდოს დარბაზის კიდევ რამდენიმე შეგირდი ბაკურიანში წავიდა 10-დღიან შეკრებაზე, სადაც მათ წვრთნას გორელი მწვრთნელები - **ნიკო ბიბილაშვილი, გია** და **ანზორ თენაძეები** ხელმძღვანელობდნენ. იქ სპორტსმენები ძირითადად ფიზიკურად ემზადებოდნენ, გორში დაბრუნებულები კი ტატამზეც გადაერთნენ. ჯერ კიდევ ბაკურიანშივე შავდათუაშვილი სრულად იტვირთებოდა. საბედნიეროდ, გართულებები არც სარეაბილიტაციო პერიოდში და არც იმ ვარჯიშებზე არ ჰქონია, გორში დაბრუნებული ფეხს არც ტატამზე შეუწუხებია და შეიძლება ითქვას, დღეს უკვე სრული დატვირთვით ემზადება.

შავდათუაშვილი ჯერაც გორში ვარჯიშობს, ვიდრე ნაკრები შეკრებაზე არ გადასულა. როგორც ეროვნული გუნდის ახალდანიშნულმა თავკაცმა **ირაკლი უზნაძემ** გვითხრა, თბილისის ტურნირისთვის შეკრებას 17 იანვრიდან დაიწყებენ დედაქალაქში. ალბათ, შავდათუაშვილიც მაშინ შეუერთდება გუნდს, შეჯიბრებებში კი, სავარაუდოდ, 9-10 თებერვალს პარიზში გასამართავი „დიდი მუზარადიდან“ ჩაებმება. ამდენად, ის 3-4 თებერვალს თბილისში ჩასატარებელ ევროპის თასზე არ გამოვა.

ირაკლი **თავაძე**

**თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო**

ქართული ხალხური თამაშები

# ორმოობა

**ორმოობა** აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული ხალხური თამაშია. შემოხაზავენ მომცრო წრეს, სადაც ბურთს ან ნაბდის ქუდს დადებენ და დარაჯად დედას დაუყენებენ. დანარჩენები (მოთამაშეთა რაოდენობა განსაზღვრული არ არის) წრიდან 5-6 ნაბიჯის მანძილზე ამოთხრიან ორმოებს, იქ დადგებიან და რიგრიგობით ესვრიან მოკლე (50-60 სმ-ის სიგრძის) ჯოხებს ბურთს, რათა მოარტყან და წრის ფარგლებს გადააცილონ. როცა ვინმე მოარტყამს და ბურთს წრიდან გაიტანს, ყველანი თავიანთი ჯოხებისკენ გაიქცევიან, რომ, სანამ დედა ბურთს აიღებდეს და რომელიმე ორმოში ჩადებდეს, ჯოხები მოიტანონ და თავიანთი ორმოები ხელახლა დაიკავონ. მოთამაშე, რომელიც ორმოს დაკავებას ვერ მოასწრებს, დედის ადგილზე, წრეში დგება. თუ რომელიმე მოთამაშის მიერ ნატყორცნი ჯოხი ძალიან შორს დაეცა, მას უფლება აქვს, არ წავიდეს ჯოხის ასაღებად და დაელოდოს ხელსაყრელ შემთხვევას, როდესაც მისი ამხანაგები ბურთს წრეს საკმაოდ დიდ მანძილზე გადააცილებენ. თუ მოთამაშემ ბურთს ჯოხი ააცილა, იგი ვალდებულია წრეში ჩადგეს, დედა კი ადგილს მის ორმოხთან დაიკავებს.



ჩოგბურთი

# ახალი წელი ანამ მოგებით დაიწყო

ქართველი ჩოგბურთელი **ანა ტატიშვილი** ავსტრალიის ღია პირველობისთვის ემზადება. კარგა ხანია, მწვანე კონტინენტზე იმყოფება და უკვე მეორე შეჯიბრებაში ცდის ძალებს. 31 დეკემბერს ბრისბენის ტურნირის პირველსავე წრეში დამარცხების შემდეგ სიდნეის ტურნირის (საპრიზო ფონდი 690.000 დოლარი) საკვალიფიკაციო ეტაპიდან აილო სტარტი. ჩვენებური მე-4 ნომრადაა განთესილი. გუშინ ქალთა მსოფლიო რეიტინგით 247-ე საფეხურზე მყოფ არინა როდიონოვას (რუსეთი) დაუპირისპირდა. შეხვედრა ორ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. არადა, პირველი ხელი ტატიშვილმა მშრალად მოიგო — 6:0. ეტყობა, იოლმა გამარჯვებამ ქართველ ჩოგბურთელზე უარყოფითად იმოქმედა, რადგან მეორე სეტში თითქმის უბრძოლველად დანებდა მეტოქეს — 1:6. მესამე ხელი დაძაბული აღმოჩნდა. ანამ 7:6 მოიგო და მეორე წრეში გავიდა, სადაც ამერიკელი ჯულია კოენის მძლეველ (6:3, 6:3) 26 წლის კლერ ფეუერშტეინს (საფრანგეთი) შეხვდება. ეს უკანასკნელი რეიტინგში 135-ეა.

კვალიფიკაციაში მეორე წრის მატჩები დღეს გაიმართება. პირველი გამარჯვებით ანამ 8 ქულა გაინაღდა, ფრანგის ძლევით კი მონაგარს 12 ქულით გაიუმჯობესებს, თან ძირითად ბადეში მოსახვედრად იაპონელ კიმიკო დატე-კრუმსა და ამერიკელ ვანია კინგს შორის უძლიერესთან გაარკვევს ურთიერთობას.

ვაჟა **დანელია**



ანა ტატიშვილი

ჭადრაკი

# ფრანგული ტურნირის შუქ-ჩრდილები

ქართველმა მოჭადრაკეებმა, რომლებიც ფრანგულ ვანდევრ-ლე-ნანსის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობენ, მე-4 ტურში კარგად ითამაშეს და სატურნირო მდგომარეობაც გაიუმჯობესეს. საქართველოს ნაკრების წევრმა **ბელა ხოტენაშვილმა** თეთრი ფიგურებით ლასლო ჰეტეის მოუგო და მონაგარი სამ ქულამდე გაზარდა. ამდენივე ქულას მოუყარა თავი საქართველოს ექსჩემპიონმა **თორნიკე სანიკიძემ** — იგი თეთრებით დენის ვაგნერს დაუზავდა, არადა, ფიდეს რეიტინგში მეტოქეს 110 პუნქტით უსწრებს. წარმატებით ითამაშა საერთაშორისო ოსტატმა **მალხაზ სულაშვილმა** — შავი ფიგურებით რობინ დებლენს აჯობა.



ბელა ხოტენაშვილი

ოთხი ტურის შემდეგ ერთპიროვნულად მეწინავეობდა მეტიუ ტერნერი, რომელმაც შავებით კევინ ტერიქსი დაჯაბნა. ნახევარ-ნახევარი ქულით ნაკლები ჰქონდათ ალბერტო დავიდს, ამან ჰემბლტონს და სემ კოლინზს, რომლებმაც, შესაბამისად, ალექსანდრ დონჩენკოს, ვადიმ მალახატკოს და ჩი-მინ ნგუენს სძლიეს.

გუშინვე მე-5 ტურის ორთაბრძოლებიც გაიმართა. ჩვენებურებისთვის შედეგები არასახარბიელო გამოდგა: სანიკიძე დონჩენკოსთან დამარცხდა, ხოტენაშვილმა ვაგნერთან წააგო, სულაშვილმა ტომ ვილეისთან ქულა გაიყო. სამივე ჩვენებურს 3-3 ქულა აქვს. 4,5 ქულით ისევ პირველ ადგილზეა ტერნერი, რომელიც კოლინზს დაუზავდა. ასევე, მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს ჰემბლტონი და დავიდი. 6 მოჭადრაკე 4-4 ქულით მეორე-მეშვიდე ადგილებს იყოფს.

მე-6 ტურში ითამაშებენ: ვაგნერი — ტერნერი, დავიდი — ტერიქსი, კოლინზი — ჰემბლტონი, ვირიჯი — დონჩენკო... ბელა ხოტენაშვილი — ჟულიენ სოჰიერი, დეიმანტე დაულაიტე — მალხაზ სულაშვილი, თორნიკე სანიკიძე — ქენთინ პოიგნოტი.

ვაჟა **დანელია**

# ქართველები ამერიკაში

საახალწლოდ აშშ-ში ორი საერთაშორისო ტურნირი გაიმართა, რომლებშიც საქართველოს ოთხმა წარმომადგენელმა იასპარეზა. დიდი ხნის უქმობის შემდეგ 64-უჯრიან დაფას დაუბრუნდა დიდოსტატი **ზვიად იზორია** (2610), რომელმაც ნიუ იორკის Empire City Open 2012-ში მოსინჯა ძალები. ჩვენებურმა ექვსტურიან ტურნირში სამი პარტია მოიგო (დაამარცხა კოლომბან ვიტოქსი, ხოსე კასტილო, ალექსანდრ როსი), ამდენივე ყაიმით (დაუზავდა მიხაილ როდეს, მაქსიმ დლუგს და ჯეი ბონინს) დაამთავრა, მოაგროვა 4,5 ქულა და მე-2 ადგილი დაიკავა. მართალია, ამდენივე ქულას მოუყარეს თავი სერგეი კუდრინმა (აშშ), ვლადიმირ რომანენკომ (ბელარუსი) და დენის შმელიოვმა (უკრაინა), მაგრამ უარესი კოეფიციენტით მათ მესამე-მეხუთე ადგილები გაინაწილეს. 6 ქულით მთავარი პრიზი სანკტპეტერბურგელმა ალექსანდრ ფიშბეინმა დაისაკუთრა.

North American Open-ში მიიღეს მონაწილეობა **გიორგი ყაჭეიშვილმა** (2602), **თამაზ გელაშვილმა** (2566) და **მიხეილ კეკელიძემ** (2491). აქ ცხრა ტური გათამაშდა. 8 ქულით სხვებისთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა მასპინძელი ტიმურ გარეევი. ყაჭეიშვილმა 6 ქულით მე-8 ადგილი დაიკავა, გელაშვილმა და კეკელიძემ 5,5-5,5 ქულით XV-XVI ადგილები გაიყვეს.

ვაჟა **დანელია**

ნიჩბოსნობა



ანი გვილავა

# საერთაშორისო ფედერაციის თანადგომით

წლეულს, აკადემიურ ნიჩბოსნებს საინტერესო პაექრობები ელით. ყველაზე მნიშვნელოვანი, ცხადია, მსოფლიო ჩემპიონატი იქნება, რომელსაც აგვისტოს მიწურულს კორეა უმასპინძლებს. ახალგაზრდებისთვის მსოფლიო და ევროპის პირველობები ზაფხულში გაიმართება. 18-წლამდელები მსოფლიოზე 5-7 აგვისტოს ლიტვის ქალაქ ტრაკაიში იასპარეზებენ. ხოლო ახალგაზრდები ავსტრიაში მოსინჯავენ ძალებს. ჭაბუკები ევროპის პირველობაზე მინსკში (ივლისი) დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

ამ შეჯიბრებებისთვის მონდომებით ემზადებიან ქართველი ნიჩბოსნები, რომლებსაც პირველი შესარჩევი ეტაპი თებერვალში ექნებათ. მარტში საქართველოს ჩემპიონატი ელით, ხოლო აპრილის პირველ რიცხვებში მინგეჩაურის რეგატაში მიიღებენ მონაწილეობას. ამ ასპარეზობებში სათანადო მომზადებას თუ გამოავლენენ, მაშინ ზემოთ დასახელებულ ყველა მნიშვნელოვან ტურნირში ერთადგილიანი და ორადგილიანი ნავებით გაუწევენ მეტოქეობას მოწინააღმდეგეებს.

გუშინ საქართველოს აკადემიური ნიჩბოსნობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ვიტალი გრძელიშვილმა** გვაცნობა, რომ საერთაშორისო ფედერაციიდან მიიღეს შეტყობინება: ეს ორგანიზაცია ორ ქართველ ნიჩბოსან გოგონას ჩართავს განვითარების პროგრამაში და ორ საწვრთნელ შეკრებას, სავარაუდოდ მინგეჩაურში, საკუთარი სახსრებით მოუწყობს. ერთ-ერთი მცხეთელი **ანი გვილავა** იქნება, მეორის ვინაობას კი შესარჩევი შეჯიბრებები გამოავლენს.

ვაჟა **დანელია**

ავტორის ფოტო

შეკითხვა „ლელოს“

*შეკითხვა: ადრე გამოცხადებული იყო ფრენბურთში საქართველოს ეროვნული ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობის ჩატარება. გთხოვთ გვიპასუხოთ, ჩატარდა თუ არა ყრილობა და თუ ჩატარდა, ვინ აირჩიეს ფედერაციის პრეზიდენტად?*

**ნუკრი ნიკურაძე**
სამტრედია,
დიდი ჯიხაიში

**პასუხი:** დიახ, ფედერაციის ყრილობა დანიშნულ დროს ჩატარდა. საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტად დელეგატებმა **ირაკლი ჩაჩუა** აირჩიეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● წყალბურთი

# ლიგამუსი ჰანოვერს უმასპინძლებს



წყალბურთელ ვაჟთა ჩემპიონთა ლიგაში მორიგი ტურის მატჩები 9 იანვარს გაიმართება. საქართველოს სამგზის ჩემპიონი „ლიგამუსი-თბილისი" ჰანოვერის (გერმანია) „ვასპო-98"-ს უმასპინძლებს. ამ გუნდების პირველი წრის შეხვედრა ალემანებმა შინ 7:5 (2:1, 2:0, 0:1, 3:3) მოიგეს. ქართველ წყალბურთელთა თავკაცმა **რევაზ ჩომახიძემ** მაშინ გვითხრა, რომ ჩემპიონთა ლიგაზე პირველ სამ ქულას ვისთანაც მოვიპოვებთ, ეს ჰანოვერის გუნდი იქნება, ისეთი მატჩი იყო, რომ არ უნდა წაგვეგოო. არადა, „ვასპო-98"-ს სატურნირო ცხრილში სწორედ ჩვენთან მოპოვებული სამი ქულა-ლა აქვს. „ლიგამუსმა" კი დღემდე გამართული ყველა პაექრობა დათმო (უნგრეთის „ეგერთან" გადადებული მატჩი წლეულს გაზაფხულზე ჩატარდება) და ნული ქულით (30:66) ბოლო ადგილზეა. A ჯგუფში ტურნირს უდანაკარგოდ საბერძნეთის „ვულიაგმენი" (83:29) ლიდერობს — 18 ქულა. მას 3 ქულით ჩამორჩება ვოლგოგრადის „სპარტაკი" (69:37), მომდევნო ადგილებზე არიან: უნგრეთის „ეგერი" — 9 (61:36), ჰოლანდიის „შუურმანი" — 6 (38:71), „ვასპო-98" — 3 (27:69).

**A ჯგუფში** 9 იანვარსვე ითამაშებენ: „ეგერი" — „ვულიაგმენი", „სპარტაკი" — „შუურმანი". შეგახსენებთ, რომ ჯგუფიდან მომდევნო ეტაპზე ოთხი გუნდი გადის.

ჩემპიონთა ლიგის დანარჩენ სამ შესარჩევ ჯგუფშიც მომდევნო ტურის შეხვედრები 9 იანვარს გაიმართება.

**B ჯგუფი.** „დუბროვნიკი" (ხორვატია) — „მონპელიე" (საფრანგეთი), „ცრვენა ზვეზდა" (ბელგრადი) — „ოლიმპიაკოსი" (საბერძნეთი).

**ჩ ჯგუფი.** „სინთეზი" (ყაზანი) — „მარსელი" (საფრანგეთი), „ბარსელონეტა" (ესპანეთი) — „ბრეშა" (იტალია).

**D ჯგუფი.** „გალათასარაი" (თურქეთი) — „ორადეა" (რუმინეთი), „პარტიზანი" (ბელგრადი) — „ბეტონი" (უნგრეთი).

**ვაჟა დანელია**

● ჭიდაობა. კაზარიანის ვიზიტი

# კაზარიანის სტუმრობაო

## ევროპის სამასპინძლოდ მთავრობაც ემზადება

ამ საახალწლო დღეებში თბილისში სტუმრად იმყოფება ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის ერთ-ერთი გავლენიანი და ჩვენთვის არცთუ კარგად გასახსენებელი პიროვნება, ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის (FILA) ტექნიკური დეპარტამენტის მდივანი, სომხური წარმოშობის საბერძნეთის მოქალაქე **სტეფან კაზარიანი**. ის თბილისში ათენიდან კერძო ვიზიტით, არაოფიციალურად ჩამოვიდა ჩვენი ცნობილი ვეტერანის - **მერაბ ლუდუშაურისა** და სხვა მეგობრების მოსანახულებლად. თვითონვე თქვა, დასვენების დღეებს ყველა მისთვის ახლობელ ადამიანებთან ატარებსო, ჩვენებმა კი ისარგებლეს შემთხვევით და რადგან წლეულს მარტში ევროპის ჩემპიონატსაც ვმასპინძლობთ, ეს სტუმრობა იმ ტურნირს დაუკავშირეს. გუშინ ამ საკითხზე საქართველოს ჭიდაობის ფედერაციაში პრესკონფერენცია გაიმართა.

შეხვედრა ფედერაციის პრეზიდენტმა **ლუკა კურტანიძემ** გახსნა, რომელმაც დამსწრეთ ახალი წელი და პატრიარქის დაბადების დღე მიულოცა. საახალწლო თუ პატრიარქისადმი მილოცვას მოგვიანებით სტუმარიც შეუერთდა, რომელმაც კათოლიკოსთან დაკავშირებით საინტერესო ფრაზაც განაცხადა - ის ჩვენი პატრიარქიცაა, რადგან საერთო სახელმწიფო გვაქვსო! კაზარიანმა ლამის ყველა ახლობელი გაიხსენა და საკმაოდ ვრცლად ისაუბრა აქაურ მეგობრებზე, ქართულ საჭიდაო სკოლაზე, მის მიღწევებზე, თბილისის საერთაშირისო ტურნირზე და მერე ერთგვარი სინანულითაც აღნიშნა შედეგების გაუარესების შესახებ. არადა, კაცმა რომ თქვას, ჩვენი ბევრი მოჭიდავის წაგება პირადად მის სახელს უკავშირდება. თუმცა კურტანიძემ სტუმარი მოიხსენია, როგორც დიდი გავლენის კაცი FILA-ში, რომელსაც ბევრის გაკეთება შეუძლია და მისი სტუმრობა ზემდგომებთან კარგი ურთიერთობების დამყარების ერთ-ერთ გზად მიიჩნია.

ვის საგანია. ეგზომ მაღალი რანგის შეჯიბრების მასპინძლობაში ფედერაციასთან და სპორტის სამინისტროსთან ერთად კულტურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებიც იქნებიან ჩართული. კაზარიანმა ფედერაციის ახალ ხელმძღვანელობას არჩევა მიულოცა და მასთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა, მერე კი მასპინძლებს ევროპის ჩემპიონატთან დაკავშირებით ზოგადი მითითებები მისცა გახსნა-დახურვისა თუ დაჯილდოების ცერემონიალების თაობაზე და მათ FILA-ს მხრიდან მხარდაჭერა აღუთქვა მათი დიდი გამოცდილებით. კურტანიძემ აღნიშნა, რომ ასეთი რანგის შეჯიბრება ქვეყნის პრესტიჟია და მის ჩასატარებლად ყველამ უნდა იზრუნოს, თავად კი მზადყოფნა გამოთქვა იმ გუნდთან ერთად საქმიანობისა, რომელიც ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატისა თუ ახალგაზრდა მოჭიდავეთა ევროპირველობის ორგანიზებაზე მუშაობდა.

ძიუდოისტთა თუ ახალგაზრდა მოჭიდავეთა ევროპირველობების ჩატარებისას ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად უმაღლესი რანგის სასტუმროების დეფიციტი იქცა, სადაც უნდა განთავსდნენ ოფიციალური პირები - FILA-ს დიდმოხელეები, ტურნირის დელეგატები, სტუმრად ჩამოსული სხვა ეროვნული ფედერაციების ხელმძღვანელები, ყველასგან განცალკევებით, იზოლირებულად უნდა იცხოვრონ მსაჯებმა, ასევე ცალკე უნდა დაბინავდნენ სპორტული გუნდები... თან აქ ერთბაშად სამი ტურნირი ტარდება პარალელურად - „თავისუფალ" და ბერძნულ-რომაულ სტილში მოჭიდავე ვაჟებისა და ქალებისა, ეს კი სხვა სახეობებთან, თუნდაც იმავე ძიუდოსთან შედარებით მონაწილეთა რაოდენობას ზრდის. ძიუდოს ევროპირველობისას დაბინავების პრობლემა როგორღაც გადაიჭრა, მოჭიდავეთა ნაწილი კი დუშეთში გადაისროლეს. წესით, ამ სიშორეზე მონაწილეთა განთავსება დაუშვებელია, მაგრამ FILA-ს როგორღაც თვალი დაახუჭინეს. მაშინ მთავარ პრობლემას უმაღლესი რანგის სასტუმროთა ნაკლებობა ქმნიდა, თორემ ფალავნების დაბინავება შედარებით დაბალი რანგისებშიც შეიძლება. კურტანიძის თქმით, ამჟამად ეს პრობლემა არ იქნება, რადგან ოფიციალური სტუმრების სავარაუდო რაოდენობას „ჰოლიდაინი ინ" და „რედისონი" დააკმაყოფილებენ.



სტეფან კაზარიანი (მარცხნივ) და ლუკა კურტანიძე

ევროპის ჩემპიონატთან დაკავშირებით განმარტება კურტანიძემ გააკეთა, რომელმაც გაგვაცნო შესაბამის საპარლამენტო კომიტეტში ფედერაციისა და სამინისტროს მონაწილეობით გამართული შეხვედრა, სადაც მთავრობამ მოისმინა მზადების შესახებ ანგარიში და იმსჯელა ამ საპასუხისმგებლო შეჯიბრების ღირსეულად ჩატარების შესახებ. ითქვა, რომ საამისოდ სამთავრობო კომისია იქმნება, ხოლო ეს საკითხი მთავრობის ზრუნ-

**ირაკლი თავაძე**

● იუბილარი



# სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს!

თქვენო უწმინდესობავ! საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი გულით, რწმენით და სიყვარულით გილოცავთ დაბადების 80 წლის იუბილეს და აღსაყდრების 35 წლისთავს. თქვენი მოღვაწეობა, სათნოება, ყოველდღიური დაუღალავი შრომა ერისა და ბერის ერთიანობისთვის, ქვეყნის წინსვლისა და სულიერი ამაღლებისთვის, ნათელი მაგალითია სამშობლოს უანგარო და უშურველი მსახურებისა. ეს საოცარი მაგალითი ძალას მატებს და მომავლის რწმენით ალავსებს თქვენს სულიერ სამწყსოს, საქართველოს თითოეულ მოქალაქეს, სხვადასხვა თაობისა და ეროვნების ადამიანებს, მათ შორის — ჩვენს ახალგაზრდობას, ჩვენს სპორტსმენებს, რომლებსაც, თქვენი ლოცვა-კურთხევით გულანთებულებს, არაერთი გამარჯვება მოუპოვებიათ დიდ სარბიელზე.

კვლავაც ნაყოფიერ მოღვაწეობას და დღეგრძელობას გისურვებთ.

*საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი.*

● თარიღები და მოვლენები

## 5-7 იანვარი

**05. 1943 წ.** დაიბადა **მურთაზ ხურცილავა** — ფეხბურთი. დაბადებიდან 70 წელი.

**05. 1947 წ.** დაიბადა **ვაჟა შუბლაძე** — სპორტის დამსახურებული მოღვაწე.

**05. 1949 წ.** დაიბადა **ლევან ნოდია** — ფეხბურთი.

**05. 1962 წ.** დაიბადა **გრიგოლ ცაავა** — ფეხბურთი.

**06. 1984 წ.** დაიბადა **ზვიად იზორია** — ჭადრაკი.

**07. 1937 წ.** დაიბადა **ჯემალ ზეინკლიშვილი** — ფეხბურთი. გარდაიცვალა 2011 წელს.

**07. 1938 წ.** დაიბადა **ბორის პოლულიახი** — წყალხტომა. გარდაიცვალა 1996 წელს.

**07. 1973 წ.** დაიბადა **კობა გოგოლაძე** — კრივი.

**07. 1990 წ.** დაიბადა **ელენე გედევანიშვილი** — ფიგურული ციგურაობა.

**07. 2009 წ.** „ერთა თასზე" საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა გერმანიის ნაკრებს ქ. ჰაიდელბერგში 38:5 მოუგო.

● ფოტომატიანე

დემიკო ლოლაძის მიერ 10 წლის წინათ გადაღებული ეს ფოტო „ლელოს" არქივში ინახება წარწერით: „ქართველი ფეხბურთელები და ფალავნები ტრადიციულად სამაგალითო მეგობრობით გამოირჩევიან". მართლაც, რომ ასეა და ამის დამადასტურებელ უამრავ მაგალითს იცნობს ქართული სპორტის ისტორია. ისინი გამორჩეულები და სამაგალითონი არიან თუნდაც იმიტომ, რომ სწორედ ქართველმა ფეხბურთელებმა და მოჭიდავეებმა გაუთქვეს სახელი საქართველოს მთელ მსოფლიოში და ჩვენი პატარა ქვეყანა გვერდით ამოუყენეს დიდ სახელმწიფოებს.

სურათზე: მარცხნიდან — სერგო კოტრიკაძე (ცნობილი ფეხბურთელი, მეკარე, გარდაიცვალა 2011 წელს), გურამ სალარაძე (მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში) და **მურთაზ ხურცილავა — ლეგენდარული ფეხბურთელი, რომელიც დღეს იუბილარია.**



● მილოცვა

საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო" და საქართველოს ვეტერან მოჭიდავეთა კავშირი დაბადებიდან 70 წლის საიუბილეო თარიღს ულოცავს მსოფლიოში სახელგანთქმულ ვეტერან ფეხბურთელს, ოლიმპიური თამაშების პრიზიორს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს, ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენოსანს **მურთაზ ხურცილავას.**

ხელმომწერთა საყურადღებოდ!

ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.

დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.

კალათბურთი

სიტუაცია



მარკუს ფეისონი (მარცხნივ) და ლემენ უილსონი

# არმია ულეგიონოდ?

## ოფიციალურად მხოლოდ ერთი წავიდა

კულუარებიდან გამოჟონა ინფორმაციამ, თითქოს საქართველოს მოქმედი ჩემპიონი „არმია“ მეორე წრეს ლეგიონერების გარეშე შეხვდება. შეგახსენებთ, რომ შემოდგომით გუნდში ირიცხებოდნენ ამერიკელები **კურტის მილეიჯი, ლემენ უილსონი, მარკუს ფეისონი** და შვედი **იოაკიმ შელბომი**. ოთხი კარგი კალათბურთელის დაკარგვა არმიელთათვის დიდი დანაკლისია, ამიტომ, დავინტერესდით, რამდენად შეესაბამება რეალობას კულუარებში გავრცელებული ამბავი.

დავუკავშირდით გუნდის მთავარ მწვრთნელ **კოტე ტუღუშს**, რომელმაც დაგვიდასტურა, რომ კურტის მილეიჯი „დონეცკში“ ჩაირიცხა:

- კურტისი უკვე დონეცკელია და უახლოეს მატჩში ამ გუნდის მაისურით ითამაშებს. რაც შეეხება დანარჩენ სამ ლეგიონერს, მათი „არმიადან“ წასვლის საკითხზე ჯერ ვერაფერს ვიტყვი, მიმდინარეობს მუშაობა. ოფიციალურად ისინი კვლავ ჩვენს გუნდში ირიცხებიან, თუმცა როგორ შეიცვლება სიტუაცია, ახლო მომავალში შევიტყობთ.

ისღა დაგვრჩენია, მოვლენების განვითარებას დაველოდოთ. ბატონმა კოტემ ერთი ინფორმაციაც მოგვაწოდა: „არმიამ“ კონტრაქტი სეზონის ბოლომდე გაახანგრძლივა გამთამაშებელ **ბექა ნივნივაძესთან**, რომელიც სუპერლიგის პირველ წრეში საშუალოდ 16.9 წუთში 5.3 ქულასა და 2.8 შედეგიან გადაცემას აგროვებდა.

გუნდმა ქორქია-საკანდელიძის მემორიალისთვის მზადება 3 იანვრიდან განაახლა.

ლეგიონერები



ვიქტორ სანიკიძე ფენერბაჰჩეს ფარს უტევს

# სანიკიძემ სტამბოლს რეკორდით გადაუფრინა

გუშინ ევროლიგაზე სტამბოლის „ფენერბაჰჩე-ულქერმა“ იტალიური სიენას „მონტეპასკის“ უმასპინძლა და 92:98 დამარცხდა. ეს შედეგი შეიძლება ბევრისთვის მოულოდნელი იმიტომ იყოს, რომ გასული სეზონის შემდეგ „ფენერი“ სწორედ ტოპ-სიენელებით გაძლიერდა: მწვრთნელი **პიანიჯანით, ანდერსენით, მაკალებით...**

„მონტეპასკი“ კი ახალი კადრებით შეივსო და სწორედ ახლებმა მოულეს ბოლო სტამბოლელებს: გამთამაშებელმა **ბობი ბრაუნმა** მასპინძელთა კალათი 41 ქულით ამოავსო, რაც დააკლდა, ვიქტორ სანიკიძემ დაამატა, რომელმაც „მონტეპასკიში“ გადასვლის შემდეგ ყველაზე მეტი, 19 ქულა მიითვალა. მან ერთი სამქულიანი და რამდენიმე ორიანი გადამწყვეტ მომენტში ჩააგდო და თურქებს დიდი სხვაობით დანინაურების საშუალება არ მისცა, საპირისპიროდ კი სიენელთა შემოტრიალებაში მიიღო მონაწილეობა. „მონტეპასკიმ“ სწორედ ბოლო წუთებზე მოახერხა დაწინაურება.

ვიქტორის სრული მონაგარი ასეთი იყო: 27 წუთი, 19 ქულა (10-დან 7 ორქულიანი, 2-დან 1 სამიანი, 2-დან 2 საჯარიმო), 8 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა.

შეგახსენებთ, რომ დეკემბრის ბოლოს „ფენერბაჰჩესთან“ სტამბოლში **მანუჩარ მარკოიშვილმაც** ეფექტურად ითამაშა, 20 ქულა მიითვალა, თუმცა მისმა „კანტუმ“ გამარჯვებას ვერ მიაღწია.

ევროლიგის ტოპ-16-ში ორი ტურის შემდეგ „მონტეპასკის“ ორი გამარჯვება აქვს.

გუშინვე ითამაშა **გიორგი შერმადინის** ახალმა კლუბმა „ოლიმპიაკოსმა“. ქართველი ცენტრი განაცხადში არ იყო.

# ნიკა და ანტრანიკა

**ნიკოლოზ ცქიტიშვილმა** 2013 წელი გამარჯვებით გახსნა. მოგეხსენებათ, იგი ლიბანურ „ჩამპვილში“ თამაშობს. სკიტას გუნდმა „ანტრანიკას“ უმასპინძლა და თავ-ბედი აწყევლინა - 118:79.

მოგეხსენებათ, ნიკა „ჩამპვილის“ ერთ-ერთი ლიდერია და გამარჯვებაშიც დიდი წვლილი შეიტანა, თუმცა მწვრთნელმა სუსტ მეტოქესთან ქართველ თავდამსხმელს მატჩისთვის განკუთვნილი დროის ნახევარი, 20 წუთი არგუნა. ეს დრო ცქიტიშვილმა მონაგარში შეაჯამა: 11 ქულას 9 მოხსნა მიამატა. გარდა ამისა, მის ანგარიშზე 3-3 პასი-დაფარება იყო. ნიკამ 8-დან 3 ორქულიანი, 2-დან 1 სამიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო.

მის შესახებ ზემოთ დავწერეთ: „ერთ-ერთი ლიდერიო“. საქმე ის არის, რომ სკიტას გვერდით ერთი ჩამპვილელია შეუჩერებელი - **ფადი ხატიბი**, რომელმაც „ანტრანიკასთან“ სამმაგი დუბლი შეასრულა: 31 ქულა, 10 მოხსნა, 12 პასი.

„ჩამპვილი“ ლიბანის ჩემპიონატში მორიგ მატჩს დღეს გამართავს. მისი მეტოქე „ამჩიტი“ იქნება.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

საქართველოს 18-წლამდელთა ჩემპიონატი. პირველი წრის შემდეგ

# ჭაბუკები ციფრებში

საქართველოს 18-წლამდელთა ჩემპიონატშიც საახალწლო შესვენებაა. ვისარგებლოთ შემთხვევით და თვალი გადავავლოთ პირველობის სტატისტიკურ შედეგებს. მათზე დაკვირვებისას შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ ჭაბუკთა ჩემპიონატში თამაშობენ გამორჩეული გუნდები და კალათბურთელები. სწორედ მათ უნდა დაიცვან ჯერ 18-წლამდელთა ნაკრების, შემდეგ 20-წლამდელების, ბოლოს კი ეროვნული ნაკრების ღირსება.

სატურნირო მდგომარეობა

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსთავი | 9 | 9 | 0 | 827/568 | 18 |
| 2. შსს აკადემია | 9 | 8 | 1 | 889/542 | 17 |
| 3. აკადემია | 9 | 8 | 1 | 740/533 | 17 |
| 4. ქუთაისი | 9 | 7 | 2 | 796/615 | 16 |
| 5. რუსთავი-2 | 9 | 6 | 3 | 681/561 | 15 |
| 6. ნაკრები-97 | 8 | 6 | 2 | 623/464 | 14 |
| 7. ჰიუნდაი | 9 | 5 | 4 | 672/614 | 14 |
| 8. დინამო | 8 | 6 | 2 | 572/434 | 14 |
| 9. მართვე-2 | 9 | 4 | 5 | 557/612 | 13 |
| 10. მარნეული | 8 | 5 | 3 | 619/503 | 13 |
| 11. თელავი | 9 | 4 | 5 | 580/574 | 13 |
| 12. ნიკე | 8 | 4 | 4 | 546/602 | 12 |
| 13. აკადემია-2 | 9 | 3 | 6 | 587/506 | 12 |
| 14. მაქაბი | 9 | 2 | 7 | 570/639 | 11 |
| 15. თსსუ | 9 | 1 | 8 | 463/694 | 10 |
| 16. ჰიუნდაი-2 | 9 | 1 | 8 | 541/769 | 10 |
| 17. მართვე | 9 | 0 | 9 | 504/753 | 9 |
| 18. მართვე-3 | 9 | 0 | 9 | 252/1036 | 9 |

რეკორდები

ქულა

**მაიზერ რევაზაშვილი (მაქაბი) - 41**
2-ქულ 18/33; 3-ქულ 0/0; საჯ. 5/8
02.11.12 რუსთავი 2 - მაქაბი

მოხსნა

**ოთარ ამონაშვილი (დინამო) - 29**
მეტოქ: 13; საკუთ: 16
01.12.12 აკადემია 2 - დინამო

პასი

**ლევან გორდულაძე (შსს აკად.) - 18**
01.11.12 შსს აკადემია - მართვე 3

ჩაჭრა

**გიორგი მინაძე (მარნეული) - 11**
07.11.12 მართვე 3 - მარნეული

დაფარება

**ირაკლი ჩიტიძე (მართვე) - 7**
01.11.12 მართვე - მართვე 2



უტევს მაიზერ რევაზაშვილი

სტატისტიკური ლიდერები

ქულა

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | ქ | ქ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | მაიზერ რევაზაშვილი | მაქაბი | 9 | 298 | 33.11 |
| 2. | ბექა დარახველიძე | აკადემია | 9 | 265 | 29.44 |
| 3. | გურამ კენჭიაშვილი | შსს აკადემია | 9 | 223 | 24.78 |
| 4. | უჩა გამრეკლიძე | ქუთაისი | 9 | 218 | 24.22 |
| 5. | დავით ლომიძე | მართვე 2 | 6 | 131 | 21.83 |
| 6. | ლაშა მირზაშვილი | მართვე 1 | 9 | 184 | 20.44 |
| 7. | დავით ქარციძე | ქუთაისი | 9 | 182 | 20.22 |
| 8. | კახა ტომარაძე | ჰიუნდაი | 6 | 121 | 20.17 |
| 9. | ზეზვა ლილუაშვილი | დინამო | 7 | 136 | 19.43 |
| 10. | რევაზ ხაჩიძე | თელავი | 9 | 172 | 19.11 |
| 11. | არჩილ შაორშაძე | მარნეული | 8 | 145 | 18.13 |
| 12. | არჩილ პულუზაშვილი | შსს აკადემია | 9 | 159 | 17.67 |
| 13. | გიორგი ღვალი | რუსთავი | 9 | 159 | 17.67 |
| 14. | თორნიკე გაგუა | ნიკე | 8 | 137 | 17.13 |
| 15. | თორნიკე ხატიაშვილი | რუსთავი | 9 | 153 | 17 |
| 16. | ვოვა ბულიგინი | ნიკე | 8 | 136 | 17 |
| 17. | გიორგი გუგეშაშვილი | შსს აკადემია | 7 | 119 | 17 |

მოხსნა

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | მ.დაც | მ.შეტ. | მ.სულ | მ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ოთარ ამონაშვილი | დინამო | 8 | 71 | 79 | 150 | 18.75 |
| 2 | მაიზერ რევაზაშვილი | მაქაბი | 9 | 48 | 114 | 162 | 18 |
| 3 | არჩილ შაორშაძე | მარნეული | 8 | 84 | 51 | 135 | 16.88 |
| 4 | რევაზ ხაჩიძე | თელავი | 9 | 80 | 71 | 151 | 16.78 |
| 5 | ვოვა ბულიგინი | ნიკე | 8 | 66 | 68 | 134 | 16.75 |
| 6 | ხვიჩა ხოსიტაშვილი | მაქაბი | 9 | 48 | 97 | 145 | 16.11 |
| 7 | სოსო გოგნაძე | მართვე—2 | 9 | 63 | 68 | 131 | 14.56 |
| 8 | დავით ბარამიძე | რუსთავი 2 | 9 | 53 | 74 | 127 | 14.11 |
| 9 | უჩა გამრეკლიძე | ქუთაისი | 9 | 63 | 49 | 112 | 12.44 |
| 10 | გუჯა გირკაია | ქუთაისი | 9 | 42 | 63 | 105 | 11.67 |
| 11 | ვილი ისიანი | ნაკრები 97 | 8 | 34 | 58 | 92 | 11.5 |
| 12 | ლევან ურიდია | რუსთავი | 8 | 33 | 55 | 88 | 11 |

პასი

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | პ | პ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლევან გორდულაძე | შსს აკადემია | 9 | 106 | 11.78 |
| 2 | თორნიკე ქიტოშვილი | რუსთავი | 9 | 78 | 8.67 |
| 3 | გიორგი მინაძე | მარნეული | 8 | 42 | 5.25 |
| 4 | დიმიტრი ჩიჩუა | რუსთავი 2 | 9 | 47 | 5.22 |
| 5 | ზეზვა ლილუაშვილი | დინამო | 7 | 36 | 5.14 |
| 6 | ფირუზ ლომიაშვილი | თელავი | 9 | 44 | 4.89 |
| 7 | ირაკლი ჯანხოთელი | მარნეული | 8 | 39 | 4.88 |
| 8 | არჩილ შაორშაძე | მარნეული | 8 | 38 | 4.75 |
| 9 | ირაკლი მაცაბერიძე | ქუთაისი | 8 | 38 | 4.75 |
| 10 | ლევან გოგალაძე | ნაკრები 97 | 8 | 38 | 4.75 |
| 11 | დავით ლომიძე | ნაკრები 97 | 7 | 33 | 4.71 |
| 12 | ნიკა ცინცაძე | აკადემია 2 | 8 | 32 | 4 |

ჩაჭრა

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | ჩ | ჩ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გიორგი მინაძე | მარნეული | 8 | 50 | 6.25 |
| 2 | ირაკლი ჯანხოთელი | მარნეული | 8 | 39 | 4.88 |
| 3 | ლევან გორდულაძე | შსს აკადემია | 9 | 41 | 4.56 |
| 4 | ლუკა ზაქრაძე | ჰიუნდაი | 9 | 40 | 4.44 |
| 5 | ჯუმბერ ყვარელაშვილი | თელავი | 9 | 39 | 4.33 |
| 6 | გიორგი ღვალი | რუსთავი | 9 | 39 | 4.33 |
| 7 | თემა გეთია | ჰიუნდაი 2 | 9 | 37 | 4.11 |
| 8 | დავით ქარციძე | ქუთაისი | 9 | 36 | 4 |
| 9 | თორნიკე ქიტოშვილი | რუსთავი | 9 | 34 | 3.78 |
| 10 | ზეზვა ლილუაშვილი | დინამო | 7 | 26 | 3.71 |

დაფარება

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | დ | დ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | არჩილ პულუზაშვილი | შსს აკადემია | 9 | 39 | 4.33 |
| 2 | ირაკლი ჩიტიძე | მართვე—1 | 9 | 25 | 2.78 |
| 3 | მაიზერ რევაზაშვილი | მაქაბი | 9 | 20 | 2.22 |
| 4 | ოთარ ამონაშვილი | დინამო | 8 | 17 | 2.13 |
| 5 | გიორგი გიგაური | რუსთავი 2 | 9 | 18 | 2 |
| 6 | ვილი ისიანი | ნაკრები 97 | 8 | 15 | 1.88 |

ლეგიონერები

# ევროთასების წინ ბრძოლა გამწვავდება



დავით ზირაქაშვილი (მარცხნივ)

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში მორიგი, მეთხუთმეტე ტურის წინ ქართველ მორაგბეთა გუნდებს ისევ სატურნირო ცხრილის პირველი საფეხური უჭირავთ. აღსანიშნავია, რომ თითოეულ მათგანს რეალურად გააჩნია ჩემპიონობისთვის ბრძოლის პოტენციალი.**

ახლა ფრანგულ ელიტაში განსაკუთრებული ეტაპი დგება. მე-15 ტურის შემდეგ კლუბები ევროთასების გათამაშებაში გადაინაცვლებენ, მერე ექვსი ერის ტურნირი იწყება, რომლის შეხვედრები საფრანგეთის ჩემპიონატის სამ ტურს ემთხვევა. ამიტომ, მოწინავე გუნდების უმრავლესობას შესუსტებული შემადგენლობით მოუწევს ასპარეზობა. ყველაფერი შეიძლება აირიოს.

ამრიგად, ამ ტურს სატურნირო მდგომარეობის გამყარების მხრივ უდიდესი ყურადღება დაეთმობა. წამყვანი გუნდები ჰანდიკაპის გაზრდას შეეცდებიან და, გამორიცხული არ არის, უმრავლეს შემთხვევაში ეს შესძლონ კიდეც.

გათამაშების ლიდერი, **დავით ქუბრიაშვილის, ლევან ჩილაჩავასა და კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონი", შინ ეთამაშება პარიზულ „მეტრო რასინგს", რომელიც სატურნირო ცხრილში 30 ქულით მე-9 ადგილზეა და პლეი ოფში მოხვედრის მიზერულ შანსს ინარჩუნებს. ტულონელებმა წინა ტურში დიდი ანგარიშით სძლიეს „პერპინიანს" და მოსალოდნელია, რომ პარიზელებსაც მწარედ გაუსწორდებიან. მეტიც, ერთი კვირის თავზე ჩვენებურთა გუნდი „ჰაინეკენის თასის" გათამაშებაში უელსურ „კარდიფ ბლუზს" მასპინძლობს და „მეტრო რასინგთან" შეხვედრა მოსამზადებელ ეტაპად განიხილება.

**მურად ბურჯელალის** სამწყსოს წლეულს ყველა ტურნირის მოგება აქვს განზრახული და საამისო პოტენციალიც გააჩნია. პარიზელებთან მატჩში, სავარაუდოდ, ძირითად შემადგენლობაში იქნება ქუბრიაშვილი. ჩილაჩავა და მიქაუტაძე განაცხადში არ არიან.

„ტულონს" შვიდი ქულით ჩამორჩება და მეორე ადგილზეა **დავით ზირაქაშვილისა** და **ვიქტორ კოლელიშვილის** „კლერმონი", რომელიც შინ დაუპირისპირდება **მამუკა გორგოძის, მიხეილ ნარიაშვილისა** და **გიორგი ჟღენტის** „მონპელიეს". ეს მატჩი ტურის ცენტრალური შეხვედრაა.

„ვულკანებიც" და მონპელიელებიც შესანიშნავ ფორმაში არიან, რაც მათ მიერ წინა ტურში დამაჯერებელი გამარჯვებით დასტურდება. „კლერმონმა" შინ „ბაიონი" გაანადგურა - 48:3, ხოლო „მონპელიემ" იოლად მოუგო „სტად ფრანსეს" - 54:16. ამასთან ერთად, სტუმრებს დისკვალიფიკაციის შემდეგ დაუბრუნდა ლიდერი მამუკა გორგოძე, თუმცა ტრავმების გამო რამდენიმე წამყვანი მოთამაშე მაინც დააკლდება.

გიორგი ჟღენტთან ერთად დაშავებულნი არიან და ვერ ითამაშებენ **ალექს ტულუ, ხუან ფიგალო** და **ავგუსტინ კრევი**. გუნდის წინასამატჩო გაფართოებულ შემადგენლობაშია მიხეილ ნარიაშვილი. სავარაუდოდ, ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს დავით ზირაქაშვილი, რომლის დუბლიორი, **ტომას დომინგო** ტრავმის მოშუშების შემდეგ დაბრუნდა, კოლელიშვილი განაცხადში არ არის.

შეგახსენებთ, რომ „მონპელიეს" 41 ქულა აქვს და მე-5 ადგილზეა. „კლერმონთან" მარცხის შემთხვევაში მას შიძლება გადაუსწროს დივიზიონის დებიუტანტმა „გრენობლმა", რომელიც სამი ქულით ჩამორჩება და სატურნირო ცხრილში მე-6 ადგილი უჭირავს. „ალპელები" მე-15 ტურში შინ მიიღებენ მეოთხეადგილოსან **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრს".

ჩვენებურის გუნდს დააკლდება **რორი კოქოთი**, რომელიც სამხრეთ აფრიკაში გაემგზავრა დის ქორწილზე დასასწრებად. ამასთან ერთად, კასტრელებს ტრავმის გამო კიდევ ერთი დამრტყმელი **რომენ ტულე** დააკლდებათ. ყოველივე ეს წყალს „ალპელების" წისქვილზე ასხამს. მით უფრო, რომ სტუმართა რიგებში არც ქართველი შერკინების ბურჯი იქნება.

არადა, „კასტრი" ზედიზედ ორჯერ იშვიათად აგებს. წინა ტურში ჩვენებურის ეს გუნდი შინ დამარცხდა „ტულუზთან" და ახლა კიდევ ერთხელ ემუქრება საფრთხე, მოედანი დალონებულმა დატოვოს.

**ჯაბა ბრეგვაძისა** და **ვასილ კაკოვინის** „ტულუზი" კი, რომელიც 46 ქულით მესამე ადგილზეა, სტუმრად ეთამაშება აუტსაიდერს, **თამაზ მჭედლიშვილის** „მონ დე მარსანს". ისე მოხდა, რომ ფრანგულ გრანდს ზედიზედ სამჯერ მოუწია სტუმრად თამაშმა. პირველ მატჩში ტულუზელები „ბორდოსთან" დამარცხდნენ, მერე კი დერბიში უშუალო კონკურენტ „კასტრს" მოუგეს დაძაბულ ბრძოლაში - 18:16.

„ტულუზისთვის", სავარაუდოდ, იოლი გასეირნება არც მონ დე მარსანში იქნება. ჩვენებურის ეს გუნდი წინა ტურში ალალად იმსახურებდა ბასკურ „ბიარიცთან" გამარჯვებას, მაგრამ მინიმალური სხვაობით დამარცხდა.

კაკოვინი და მჭედლიძე, სავარუდოდ, ითამაშებენ, ბრეგვაძე ჯერ კიდევ ტრავმისშემდგომ რეაბილიტაციის პროცესს გადის.

**ზურაბ ჟვანიას** „სტად ფრანსე", რომელიც 28 ქულით მეათე ადგილზეა, შინ ეთამაშება ბასკურ „ბაიონს". ჩვენებურის გუნდი მეტოქეს მხოლოდ ორი ქულით უსწრებს და წარუმატებლობის შემთხვევაში გამორიცხული არ არის აუტსაიდერთა შორის მოხვდეს.

დივიზიონში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის **ზაზა ნავროზაშვილის** „ბორდო", რომელიც 18 ქულით მე-12 ადგილზეა. ბორდოელები ამჯერად სტუმრად ეთამაშებიან „პერპინიანს". ნავროზაშვილი გუნდის ახალწვეულია და ჯერ თამაშის საშუალება არ ეძლევა.

## I დივიზიონი

### XV ტური

ბიარიცი-აჟენი, კლერმონი-მონპელიე, გრენობლი-კასტრი, პერპინიანი-ბორდო, სტად ფრანსე-ბაიონი, მონ დე მარსანი-ტულუზი, ტულონი-მეტრო რასინგი.

### სატურნირო მდგომარეობა

1. ტულონი - 56 ქულა, 2. კლერმონი - 49, 3. ტულუზი - 46, კასტრი - 43, 5. მონპელიე - 41, 6. გრენობლი - 38, 7. ბიარიცი - 32, 8. პერპინიანი - 30, 9. მეტრო რასინგი - 30, 10. სტად ფრანსე - 28, 11. ბაიონი - 26, 12. ბორდო - 18, 13. აჟენი - 17, 14. მონ დე მარსანი - 7.

„კელტთა ლიგაში" მეცამეტე ტურის წინ საქართველოს ნაკრების მესამეხაზელის **დიმიტრი ბასილაიას** „ედინბურგი" 22 ქულითმისთვის უჩვეულო მე-9 ადგილზეა. შარშანდელთან შედარებით ეს გუნდი გაცილებით უარესად ასპარეზობს. ის კი არა, ედინბურგელებმა შოტლანდიურ დერბიში „გლაზგოსთან" ორივე მატჩი წააგეს, რაც ძალზედ იშვიათი შემთხვევაა.

მე-13 ტურში „ედინბურგი" შინ ეთამაშება ირლანდიურ „ლენსტერს", რომელიც 35 ქულით მეხუთე ადგილზეა. ბასილაია ძირითად შემადგენლობაშია, ოღონდ ამჯერად ის ფლანკერის პოზიციაზე ითამაშებს.

შეგახსენებთ, რომ გათამაშებას დამაჯერებლად ლიდერობს ირლანდიური „ალსტერი", მას ცხრა ქულით ჩამორჩება უელსური „ჰლანეჰლი". მე-13 ტურში ეს გუნდები ერთმანეთს ირლანდიაში დაუპირისპირდებიან.

## კელტთა ლიგა

### XIII ტური

**ალსტერი-ჰლანეჰლი, ოსფრიზი-ზებრე, გლაზგო-ბენეტონი, ედინბურგი-ლენსტერი, ქონოთი-ნიუპორტი, მანსტერი-კარდიფი.**

### სატურნირო მდგომარეობა

**1. ალსტერი - 47 ქულა, 2. ჰლანეჰლი - 38, 3. მანსტერი - 37, 4. გლაზგო - 36, 5. ლენსტერი - 35, 6. ოსფრიზი - 31, 7. ბენეტონი - 27, 8. კარდიფი - 24, 9. ედინბურგი - 22, 10. ქონოთი - 16, 11. ნიუპორტი - 14, 12. ზებრე - 5.მ**



ვიქტორ კოლელიშვილი შერკინებაში

ერთა თასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბელგია ტაშ-ფანდურით დაგვიხვდება

**საქართველოს ნაკრები 2 თებერვლიდან "ერთა თასის" გათამაშებაში ჩაებმება, რომელიც იმავდროულად 2015 წელს ინგლისში გასამართავი მსოფლიოს თასის გათამაშების შესარჩევი ტურნირიცაა.**

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს რაგბის უდიდეს ფორუმზე, 2013-2014 წლების "ერთა თასის" გათამაშებების ჯამური შედეგით, პირველ და მეორე ადგილზე გასულები ავტომატურად მოხვდებიან. მესამე ადგილოსანს კი რეპეშაჟის გრძელი გზის გავლა მოუწევს. ბორჯღალოსნები 2 თებერვალს პირველ მატჩს სტუმრად გამართავენ ბრიუსელში ტურნირის დებიუტანტ ბელგიის ნაკრებთან. შეხვედრა „სტად როი ბოდუინის" სათადარიგო მოედანზე გაიმართება.

FLRA AER-ის საშეჯიბრო კომიტეტის გადაწყვეტილებით მატჩს იტალიელ მსაჯთა ბრიგადა მოემსახურება. მთავარი არბიტრი **მარიო ლიპერინი** იქნება. ბელგიელებს მაყურებლების მოსაზიდად ასეთი ხერხი მოუძებნიათ — თამაშის წინ ქომაგებს **დი ჯეი ლე გრანი** გაართობს, მატჩის დასრულების შემდეგ კი ცოცხალ მუსიკას ბენდი „ნორვეგიან სოკსი" შესთავაზებს.

საქართველოს ნაკრები ამ მატჩისთვის მოსამზადებლად საფრანგეთში შეიკრიბება და ბრიუსელში იქიდან გაემგზავრება. გუნდის გაფართოებული შემადგენლობა მოგვიანებით გახდება ცნობილი.

სამაგიეროდ უკვე ვიცით ჩვენი ერთ-ერთი მეტოქის რუსეთის ნაკრების 32-კაციანი შემადგენლობა, რომელიც 7 იანვარს სამხრეთ აფრიკაში გაემგზავრება საწვრთნელ შეკრებაზე და იქ 21 იანვრამდე დარჩება.

რუსთა უელსელმა თავკაცმა **კინგსლი ჯონსმა** ნაკრებში წარმოშობით სამ ქართველს უხმო. ესენია: **გრიგორი ცნობილაძე, პაველ კვერნაძე** და **ვალერი ცნობილაძე**. ტრავმების გამო ეროვნულ გუნდში გამოძახებულნი არ არიან **ალექსანდრ შაკიროვი, ევგენი მატვეევი, ვლადიმირ ბოტვინიკოვი, სერგეი პოპოვი, ვლადიმირ ბოლტენკოვი, ვლადიმირ ოსტროუშკო, ვლადისლავ კორშუნოვი და დენის ანტონოვი.**

**რუსეთის ნაკრები:** ალექსანდრ იანუშკინი, მიხაილ ბაბაევი, ალექსანდრ ვოიტოვი, ალექსეი ვოლკოვი, იგორ კლუჩნიკოვი, იური კუშნარიოვი, სერგეი ტრიშინი, არტიომ ფატახოვი (ყველა-ვვა), პაველ ბუტენკო, დიმიტრი გერასიმოვი, ინოკენტი ზიკოვი, სერგეინოვოსელოვი, ევგენი პრონენკო, იაროსლავ რეჩნევი, დენის სიმპლიკევიჩი, ანდრეი ტემნოვი, ვალერი ცნობილაძე, ალექსეი შჩერბანი (ყველა-ენისეი), ანდრეი გარბუზოვი, ვიქტორ გრესევი, მაქსიმ კისილევი, ალექსეი მაკოვეცკი, ანდრეი ოტროკოვი, ანტონ რიაბოვი, მაქსიმ სტურზა, გრიგორი ცნობილაძე (ყველა-კრასნი იარი), პაველ კვერნაძე (სპარტაკი), ანდრეი პოლივალოვი (იმპერია), სერგეი სუგრუბოვი, სერგეი ჩერნიშევი, რუსლან შირინოვი (სამივე-სლავა), სერგეი იანუშკინი (აგროუნივერსიტეტი).

## ერთა თასი 2013

**2 თებერვალი**

ბელგია-საქართველო

**9 თებერვალი**

საქართველო-პორტუგალია

**23 თებერვალი**

რუსეთი-საქართველო

**9 მარტი**

საქართველო-ესპანეთი

**16 მარტი**

რუმინეთი-საქართველო

გვერდი მოამზადა
**ზესიკ ჯანგავაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# სპურსი დაღლილი იყო




ამარე და კარმელო

უცნაური სცენარის მატჩი გაიმართა ნიუ იორკში, სადაც ადგილობრივმა „ნიქსმა“ „სან ანტონიო“ მიიღო, რომელსაც მანამდე ზედიზედ შვიდი მატჩი ჰქონდა მოგებული. თავად მასპინძელთა რიგებში კი, ბოლო პერიოდში, მცირე კრიზისის ნიშნები ჩანდა.

„სპურსისთვის“ მთავარი პრობლემა ის იყო, რომ ბოლო ხუთ დღეში მეოთხე მატჩს თამაშობდა, ამიტომაც სტუმრებს ძალა მხოლოდ სამი მეოთხედისთვის ეყოთ. თუმცა დიდი ანგარიშით წაგების მთავარი მიზეზი არა დაღლილობა, არამედ „ნიქსის“ ბრწყინვალე დაცვა გახლდათ, რომელმაც მეტოქეს 36-პროცენტიანი სიზუსტით ასროლინა. თავიდან ტემპი დაბალი იყო და პირველ ნახევარში დიდად ვერც მასპინძლები გამოირჩეოდნენ. თამაში ორივე მხრიდან თითქმის მთლიანად დაცვაზე იყო ორიენტირებული, რაც ცოტათი გასაკვირი გახლდათ იმის გათვალისწინებით, რომ ერთმანეთს ხვდებოდნენ შედეგიანობის მიხედვით ლიგის პირველი და მეექვსე გუნდი.

„ნიქსმა“ რამდენჯერმე მოახერხა უმნიშვნელო გაქცევა, მაგრამ სტუმრები პოულობდნენ ძალებს ჩამორჩენის გასაბათილებლად, თუმცა **პოპოვიჩის** შეგირდებს საბოლოო სპურტისთვის არგუმენტები არ აღმოაჩნდათ. ათამაშდა **ჯეი არ სმიტი**, სამქულიანების ჩაგდება დაიწყო **სტივ ნოვაკმა** (შვიდიდან ხუთი) და მესამე მეოთხედის ბოლოს და მეოთხე მეოთხედის დასაწყისში საფუძველი ჩაეყარა გადამწყვეტ გაქცევას, რომლის შემდეგაც მასპინძლების უპირატესობა ერთბაშად 20 ქულამდე გაიზარდა.

პოპოვიჩმა ლიდერების სკამზე დასმა გადაწყვიტა და რეზერვისტებს მისცა თავის გამოჩენის საშუალება. თუმცა, ამჯერად, „სპურსის“ სათადარიგოთა სკამი ვერ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე. „სან ანტონიოს“ შემადგენლობაში არ აღმოჩნდა კალათბურთელი, რომელიც შეძლებდა **პაბლო პრიჯიონის** შეჩერებას - არგენტინელმა შეხვედრა ცხრა შედეგიანი პასით დაასრულა. ასევე შეუჩერებელი იყო სმიტი, რომელიც აგერ უკვე ზედიზედ ხუთი მატჩია მინიმუმ 20 ქულას აგროვებს. სტუმრების წინა ხაზმა მთლიანად წააგო დუელი **ჩენდლერთან** და კომპანიასთან (34:48 მოხსნები და 12:36 - სამწამიანიდან დაგროვილი ქულები).

ამ ყველაფერს ისიც დაემატა, რომ „სპურსის“ რიგებში უწყინარ სიტუაციაში მიიღო ტრავმა **სტივენ ჯექსონმა**, რომელმაც მოედანზე მხოლოდ სამი წუთი გაატარა. ისევ სათადარიგოთა სკამიდან შევიდა თამაშში **ამარე სტაუდმაიერი**, თუმცა ის ჯერჯერობით სავარჯიშო ტემპით დარბის მოედანზე.

■ ■ ■

მნიშვნელოვანი და მოულოდნელი გამარჯვება მოიპოვა დენვერში „მინესოტამ“. ეს გუნდები დასავლეთში მერვე ადგილის დაკავების უშუალო კონკურენტები არიან.

ამ მატჩის პირველი ნახევარი ძალიან ჰგავდა „ნიუ იორკისა“ და „სან ანტონიოს“ შეხვედრის საწყის ორ მეოთხედს - არ იყო არც ტემპი და არც ბრძოლა. მასპინძლებმა პირველ 24 წუთში მხოლოდ ერთი გაქცევა მოაწყვეს, რომელიც მალე გააბათილეს „მგლებმა“. სტუმრებს უფრო მოკრძალებული სპურტი ჰქონდათ, მაგრამ „დენვერსაც“ აღმოაჩნდა ამაზე პასუხი.

მეოთხე მეოთხედში **ლუკ რიდნურმა** და **ხოსე ბარეამ** ტემპი გაზარდეს და საბოლოოდ გატეხეს „დენვერის“ წინააღმდეგობა, რომელმაც ბოლო 12-წუთეულში აშკარად მოადუნა ყურადღება. მიუხედავად ამისა, „ნაგეტსი“ ცდილობდა წინააღმდეგობის გაწევას. ბოლო მეოთხედში ტყორცნების რეალიზაცია შთამბეჭდავი იყო: 63 პროცენტი „დენვერს“ და 61 - „მინესოტას“. ამ უკანასკნელმა შეძლო თამაშის გადაწყობა მესამე მეოთხედში, როცა თითის ტრავმა მიიღო **კევინ ლავმა** და თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო. სამაგიეროდ, ბოლო მეოთხედში 12 ქულა დააგროვა ბარეამ, ამას ცხრა ქულა დაუმატა რიდნურმა და საქმეც გაკეთებული იყო.

სხვათა შორის, ეს მატჩი გამორჩეული იყო „დენვერის“ ვეტერანისთვის **ანდრე მილერისთვის**, რომელსაც კარიერაში 7500 შედეგიანი პასი დაუგროვდა. ის გახლავთ მერვე მოთამაშე NBA-ის ისტორიაში, რომლის აქტივშია 15 ათასი ქულა და 7.5 ათასი გადაცემა.

**ნიუ იორკი–სან ანტონიო 100:83**

22:19, 20:21, 25:20, 33:23

ნ-ი: ენტონი (23+8 მოხსნა), სმიტი (20+5 მოხსნა), ნოვაკი (15), ჩენდლერი (10+14 მოხსნა), სტაუდმაიერი (10).

ს-ა: ნილი (12), დანკანი (11+6 მოხსნა), პარკერი (11+6 პასი).

**დენვერი–მინესოტა 97:101**

25:23, 18:24, 27:22, 27:32

დ: კუფოსი (16+7 მოხსნა+4 ჩაჭრა), ლოუსონი (16), იგუოდალა (14+7 მოხსნა+6 პასი), გალინარი (12), ბრიუერი (12), მილერი (11+10 პასი).

მ: შვედი (17+5 პასი), ბარეა (17+5 პასი), კირილენკო (14+3 დაფარება), რიდნური (14), ლავი (12+17 მოხსნა), პეკოვიჩი (11+6 მოხსნა).

| აღმოსავლეთი | |
|---|---|
| 1. მაიამი | 22/8* |
| 2. ნიუ იორკი | 22/10* |
| 3. ატლანტა | 20/10 |
| 4. ინდიანა | 19/13* |
| 5. ჩიკაგო | 17/13 |
| 6. მილუოკი | 16/14 |
| 7. ბრუკლინი | 17/15 |
| 8. ფილადელფია | 15/18 |
| 9. ბოსტონი | 14/17 |
| 10. ტორონტო | 12/20 |
| 11. ორლანდო | 12/20 |
| 12. დეტროიტი | 12/22 |
| 13. შარლოტი | 8/23 |
| 14. კლივლენდი | 7/26 |
| 15. ვაშინგტონი | 4/26 |

| დასავლეთი | |
|---|---|
| 1. ოკლაჰომა | 24/7* |
| 2. კლიპერსი | 25/8* |
| 3. სან ანტონიო | 26/9* |
| 4. მემფისი | 20/9 |
| 5. გ. სტეიტი | 22/10 |
| 6. ჰიუსტონი | 18/14 |
| 7. დენვერი | 18/16 |
| 8. მინესოტა | 15/14 |
| 9. პორტლენდი | 16/15 |
| 10. იუტა | 16/17 |
| 11. ლეიკერსი | 15/16 |
| 12. დალასი | 13/20 |
| 13. საკრამენტო | 12/20 |
| 14. ფინიქსი | 12/21 |
| 15. ნიუ ორლეანი | 7/25 |

* - დივიზიონის ლიდერი

ჰოკეი



ტეემუ სელიანე

# ვის დავუჯეროთ?

## ერთნი პროგრესს ადასტურებენ, მეორენი – ჩიხს

პრაქტიკულად ყოველდღე მიმდინარეობს მოლაპარაკებები ოკეანის გაღმა ჰოკეის ეროვნულ ლიგაში ლოკაუტის დასაძლევად. როგორც NBC იუწყება, გუშინდელი შეხვედრის შემდეგ, ზოგიერთ საკითხში მხარეების პოზიციები კიდევ უფრო დაახლოვდა.

მაგალითად, ლიგა დაეთანხმა იმას, რომ ყოველ კლუბს ექნება მომავალ სეზონში ორი კონტრაქტის გამოსყიდვის საშუალება. ეს ხელშეკრულებები არ იქნება გათვალისწინებული სახელფასო ბიუჯეტში, რომლის ზედა ზღვარი 70 მილიონიდან 60 მილიონამდე შემცირდება.

თუმცა შორსმიმავალი დასკვნების გაკეთება მაინც რთულია, რადგან ზოგიერთი ამერიკული წყარო წერს იმის შესახებ, რომ მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა. თანაც პროფკავშირების აღმასრულებელი საბჭო კიდევ ერთხელ აპირებს მოთამაშეებს შორის კენჭისყრის ჩატარებას ორგანიზაციის თვითლიკვიდაციის მიზნით. ამ შემთხვევაში, პროფკავშირი აღარ ჩაითვლება მოთამაშეთა წარმომადგენლად კლუბების მფლობელებთან მოლაპარაკებების პროცესში.

შეგახსენებთ, რომ ასეთი კენჭისყრა ერთხელ უკვე შედგა და 3 იანვარს პროფკავშირები უნდა დაშლილიყო, მაგრამ მოლაპარაკებებისას მიღწეულმა პროგრესმა საშუალება მისცა ორგანიზაციის შეფს **დონალდ ფერს** ხელი აეღო ამ განზრახვაზე.

ამასობაში, „ანაჰაიმ დაქსის“ ფორვარდმა, ლეგენდარულმა ფინელმა **ტეემუ სელიანემ** განაცხადა, რომ ჰოკეის ეროვნულ ლიგაში ლოკაუტი 7 იანვარს დასრულდება, ხოლო რეგულარული ჩემპიონატი 18 ან 19 იანვარს აიღებს სტარტს.

*„მიმაჩნია, რომ ლოკაუტი მომავალ ორშაბათს დასრულდება. 10 იანვარს გაიხსნება საწვრთნელი ბანაკები, რეგულარული ჩემპიონატი კი 18-19 იანვარს დაიწყება. გვირაბის ბოლოს სინათლე მაშინ გამოჩნდა, როცა კლუბების მფლობელები სეზონის გაუქმების საფრთხის წინაშე დადგნენ. ამ მომენტისთვის, პირადად მე ძალიან ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და მიმაჩნია, რომ წელს სეზონი მაინც გაიმართება. მოთამაშეებს ერთი რამ ვერ გაუგიათ - რატომ გაგრძელდა ამდენ ხანს მოლაპარაკებები და რატომ აჭიანურებდა NHL ამ პროცესს“,* - ამბობს სელიანე ფინური პრესისთვის მიცემულ კომენტარში.

კრივი



მენი პაკიაო

# პაკიაო დაავადდა?

## მენის პარკინსონის ნიშნები აქვს

ცუდი ამბავი შეიტყვეს ფილიპინელი მოკრივის **მენი პაკიაოს** გულშემატკივრებმა. როგორც ფილიპინების კერძო კლინიკების ასოციაციის პრეზიდენტი **პასტიკო ხიმენესი** ამბობს, თანამედროვეობის ერთ-ერთ საუკეთესო მოკრივეს პარკინსონის ავადმყოფობის საწყისი სტადიის სიმპტომები აღენიშნება.

*„ჩემი აზრით, ჩვენი ქვეყნის ეროვნულმა გმირმა სასწრაფოდ უნდა მიატოვოს კრივი. შესაძლოა, მენი ძველებურად სწრაფი და ძლიერია, მაგრამ მისი ხელების მოძრაობაში შეინიშნება პარკინსონის სიმპტომები,* - განაცხადა ხიმენესმა. - *თავის ტვინი მეტად ფაქიზია და მარკესისგან მიღებული ნოკაუტის შემდეგ ტვინის შერყევა უდიდეს საფრთხეს შეიცავს. ახლა, მოკრივე ისეთ მდგომარეობაშია, რომ ნებისმიერმა დარტყმამ შეიძლება მიკროჩაქცევა გამოიწვიოს, რასაც სერიოზული უსიამოვნებები მოჰყვება“.*

საინტერესოა, გაითვალისწინებს თუ არა მენი პაკიაო ამ რჩევას. შეგახსენებთ, რომ 9 დეკემბერს, **ხუან მარკესთან** განცდილი მტკივნეული მარცხის შემდეგ, ფილიპინელს 2013 წლის სექტემბერში აქვს დაგეგმილი რინგზე დაბრუნება.

ჩოგბურთი

# არშემდგარი სუპერმატჩი

## ტრავმის გამო აზარენკა სერენას ვერ შეხვდა

ამ კვირას ქალებს შორის საინტერესო ტურნირი მიმდინარეობს ავსტრალიის ქალაქ ბრისბენში, სადაც მსოფლიო რეიტინგის პირველ სამ ნომერს უნდა მიეღო მონაწილეობა: მაგრამ, როგორც იცით, ბოლო მომენტში იქ თამაშზე უარი განაცხადა მეორე ჩოგანმა, რუსმა **მარია შარაპოვამ**, სამაგიეროდ, ტურნირში ჩაებნენ პირველი და მესამე ჩოგნები - ბელარუსი **ვიქტორია აზარენკა** და ამერიკელი **სერენა უილიამსი**.

მათ წარმატებით დაძლიეს ორი რაუნდი და დღეს ნახევარფინალში უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს, მაგრამ ეს საინტერესო მატჩი არ შედგა. როგორც გაირკვა, 23 წლის აზარენკას ერთ-ერთ წინა მატჩში ტრავმა მიუღია და ამის გამო ვერ შეძლო კორტზე გასვლა. ასე რომ, სერენა უბრძოლველად გავიდა ფინალში.

*„პრობლემები მაქვს მარჯვენა ფეხის თითთან დაკავშირებით. დაახლოებით ათი დღის წინ ინფექცია შემეჭრა. თავიდან ტკივილი ასატანი იყო, მაგრამ უსიამოვნო შეგრძნება თანდათან ძლიერდებოდა. გუშინ იმდენად ცუდად გავხდი, რომ პატარა ოპერაცია გამიკეთეს - რაღაც ამომაჭრეს თითიდან. სამწუხაროდ, ვერ ვასწრებ სერენასთან მატჩისთვის აღდგენას.*

*იმედია, შევძლებ ავსტრალიის ღია პირველობაზე თამაშს. სწორედ ამის გამო ვთქვი დღეს კორტზე გასვლაზე უარი. საერთო ჯამში, კმაყოფილი ვარ, რომ მოვასწარი ბრისბენში ორი მატჩის ჩატარება.*

*ოპერაციის შემდეგ, ექიმმა მითხრა, რომ ვერ შევძლებდი კიდევ სამი-ოთხი დღე კორტზე გასვლას. ბოლო გამოკვლევის თანახმად, ყველაფერი იმაზე უკეთესადაა, ვიდრე მეგონა“,* - მოჰყავს აზარენკას სიტყვები WTA-ის ოფიციალურ ვებგვერდს.

რაც შეეხება ფინალს, სერენა უილიამსი გადამწყვეტ შეხვედრაში რუს **ანასტასია პავლიუჩენკოვას** დაუპირისპირდება, რომელმაც გუშინ სამ სეტში მოუგო უკრაინელ **ლესია ცურენკოს**. სხვათა შორის, სწორედ ამ უკანასკნელმა შეცვალა სატურნირო ბადეში ტრავმირებული მარია შარაპოვა.



ვიქტორია აზარენკა

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ქართული ბიბლიოთეკა

## ავტოსპორტი. დაკარი 2013

# თითქმის უინტრიგო დაკარი



MINI ფავორიტი იქნება

დღეს, პერუს დედაქალაქ ლიმაში სტარტს იღებს ავტოსპორტის სამყაროში პირველი პრესტიჟული რბოლა - ლეგენდარული ავტომარათონი „დაკარი“. თუ ექსპერტებს ვერწმუნებით, წლევანდელ რბოლაში ინტრიგა ნაკლები იქნება, ვიდრე შარშან. დღეს, სწორედ „დაკარის“ მონაწილეთა შანსებზე და ფავორიტების შესახებ ვილაპარაკებთ.

დავიწყოთ ყველაზე პრესტიჟული - ავტომობილების კლასით. შარშანდელ რალიში გერმანულმა გუნდმა - X-raid-მა დიდი ხნის ოცნება აისრულა, ავტომარათონი მოიგო და ახლა, სამხრეთ ამერიკაში ჩემპიონის რანგში ბრუნდება. როგორც ამბობენ, გერმანული საჯინიბო ტიტულის დასაცავად სერიოზულად მოემზადა - მარათონის სტარტზე გავა MINI All4 Racing-ის ოთხი სარბოლო პროტოტიპი, რომლებიც BMW-ის ქარხნის მხარდაჭერით შეიქმნა.

გუნდისა და მთლიანად „დაკარის“ უდავო ფავორიტია ფრანგი **სტეფან პეტერანსელი**, რომლის ანგარიშზეა „დაკარზე“ ათი გამარჯვება - ექვსი „იამაჰათი“ მოტოჩათვლაში, სამი „მიცუბიშით“ „ავტოს“ კლასში და ერთიც შარშან, MINI-თი ასევე ავტომობილების ჩათვლაში.

პეტერანსელის თანაგუნდელები იქნებიან ესპანელი **ხოან „ნანი“ რომა**, რომელმაც 2004 წელს მოიგო „დაკარი“ მოტოციკლების კლასში და პოლონელი **კშიშტოფ ჰოლოვჩიცი**.

ზედიზედ მეორე წელია MINI-ს პილოტების ძირითადი კონკურენტი იქნება NASCAR-ის სერიის ქარიზმატული წარმომადგენელი, ამერიკელი **რობი გორდონი**, აგრეთვე კატარელი უნივერსალი, ტყვიის სროლაში ლონდონის ოლიმპიადის პრიზიორი, კლასიკური რალის პილოტი და „დაკარის“ ექსჩემპიონი **ნასერ ალ-ატიია**. მაგრამ, თუ გასულ წელს გორდონი და ალ-ატიია ერთ გუნდს წარმოადგენდნენ, ამჯერად ორივე სპორტსმენი ბაგის ერთგული დარჩა, მაგრამ სხვადასხვა საჯინიბოს ღირსებას დაიცავენ.

რობი, ტრადიციულად, თავისი „ჰამერით“ ირბოლებს, ნასერი კი საკუთარი გუნდის - Team Qatar Red Bull-ის ავტომობილით გამოვა. კატარელის თანაგუნდელი იქნება ლეგენდარული ესპანელი **კარლოს საინსი** - „დაკარის“ ყოფილი ჩემპიონი და კლასიკური რალის ორგზის გამარჯვებული.

მაგრამ, გორდონის Hummer H3 ხშირად არასაიმედო და არაკონკურენტუნარიანია, ხოლო ალ-ატიიასა და საინსის ბაგი გამოუცდელი, ამიტომაც, მათ გაუჭირდებათ MINI-ს პილოტების წინააღმდეგ ბრძოლა.

2009 წელს „დაკარის“ ჩემპიონი, სამხრეთაფრიკელი **ჟინიელ დე ვილიერი** შარშანდელი სენსაცია გახდა, როცა Toyota HiLux-ის პიკაპით მარათონში მესამე ადგილზე გავიდა. მას ახლა, ბრძოლაში გამოცდილი და შემოწმებული მანქანა ჰყავს და საბოლოო გამარჯვების თუ არა, პირველ სამეულში მოხვედრის ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტად მიიჩნევა.

■ ■ ■

მეორე პრესტიჟულ კლასში - მოტოციკლებში ორი ფავორიტი უნდა ყოფილიყო: მოქმედი გამარჯვებული, ფრანგი **სირილ დეპრე** და მისი თანაგუნდელი KTM-ის საქარხნო გუნდიდან, ესპანელი **მარკ კომა**. ბოლო შვიდ „დაკარზე“ სწორედ მათ გაითამაშეს პირველობა, თუმცა ამჯერად მათი დუელი არ შედგება. 2012 წლის ოქტომბერში, მაროკოს რალის დროს, კომამ მარცხენა ხელი დაიზიანა და ამან ხაზი გადაუსვა ესპანელის „დაკარზე“ გამოსვლას.

KTM-ში მარკის შემცვლელად მიიწვიეს ამერიკელი **კურტ კასელი**. მას სამშობლოში ბევრი გამარჯვება აქვს მოპოვებული, მაგრამ „დაკარზე“, სავარაუდოდ, ვერ შეძლებს დეპრესთვის წინააღმდეგობის გაწევას. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ფრანგს უკვე დაცული აქვს შარშანდელი ტიტული, თუმცა რბოლის დროს ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

„იამაჰას“ საქარხნო გუნდმა დაკარგა თავისი ერთ-ერთი ლიდერი **ჰელდერ როდრიგეში** - პორტუგალიელმა „ჰონდაში“ გადასვლა არჩია, რომელსაც დიდხნიანი შესვენების შემდეგ, დებიუტი ექნება „დაკარზე“. როდრიგესის თანაგუნდელები იქნებიან ამერიკელი **ჯონი კემპბელი** და არგენტინელი **ხავიერ პიცოლიტო**.

რაც შეეხება „იამაჰას“, ამ გუნდის სამეული ასე გამოიყურება - ფრანგები **დავიდ კასტო** და **დავიდ ფრეტინიე**, აგრეთვე ჰოლანდიელი **ფრანს ვერჰოვენი**. ეს საკმაოდ გამოცდილი შემადგენლობაა, მაგრამ მაინც საეჭვოა, რომ „იამაჰამ“ შეძლოს KTM-თან და „ჰონდასთან“ კონკურენცია.

სამწუხაროდ, რალი-რეიდებში მონაწილეობის პროგრამა შეაჩერა იტალიურმა „აპრილიამ“, ამიტომაც ამ გუნდის პილოტებს წელს სტარტზე ვერ ვიხილავთ. სამაგიეროდ, ავსტრიული KTM-ის მოტოციკლებით გამოვლენ საკმაოდ სწრაფი „კერძო“ პილოტები: ჩილელი **ფრანსისკო ლოპესი**, სლოვაკი **სტეფან სვიტკო**, ნორვეგიელი **პალ ანდერს ულევალსეტერი**, პოლონელი **იაკუბ პშიგონსკი**, პორტუგალიელი **რუბენ ფარია**, ესპანელი **ხუან პედრერო**, ბრაზილიელი **ჟან დე აზევედო**...

რაც შეეხება წლევანდელი „დაკარის“ მარშრუტს, საერთო დისტანცია 8574 კილომეტრს შეადგენს, ეტაპების რიცხვი კი 15 გახლავთ. პილოტები სტარტს პერუს ქალაქ ლიმადან აიღებენ, შემდეგ არგენტინაში გადაინაცვლებენ, ფინიში კი 20 იანვარს ჩილეს დედაქალაქ სანტიაგოშია დაგეგმილი.

## ფორმულა 1

# რედ ბულმა დააგვიანა

მსოფლიოს ჩემპიონის „რედ ბულის“ ტექნიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელის **ადრიან ნიუის** აღიარებით, იმის გამო, რომ მისი გუნდი შარშან, ბოლო ეტაპამდე ჩემპიონობისთვის იბრძოდა, ამან გავლენა იქონია 2013 წლისთვის განკუთვნილი ბოლიდის მზადების გრაფიკზე.

„ჩვენ ბოლოსწინა რბოლამდე შეგვქონდა ტექნიკური ცვლილებები შარშანდელ ბოლიდში, - ამბობს ნიუი ბრიტანულ „ავტოსპორტთან“ ინტერვიუში. - ეს ყველაფერი ხელს გვიშლიდა ახალი მანქანის შექმნაში. ეს პროცესი პარალელურად მიმდინარეობდა და ახლა უნდა ვაღიარო, რომ ამან იმაზე მეტად იმოქმედა RB9-ის ჩამოყალიბებაზე, ვიდრე ჩვენ გვსურდა.

მაგრამ იმ მომენტში ეს სწორი გადაწყვეტილება იყო, რადგან ჩვენ შევძელით მიზნის მიღწევა, მაგრამ ახლა, გუნდს დაძაბული ზამთრის პერიოდი ელის, რადგან დაკარგულის ანაზღაურება უნდა შევძლოთ“.

„რედ ბულის“ წარმომადგენლებმა BBC-ის შეატყობინეს, რომ მხოლოდ მომავალ კვირას გაირკვევა, მოასწრებს თუ არა გუნდი 5 თებერვალს, პირველი ტესტებისთვის ახალი მანქანის მომზადებას.

■ ■ ■

შვეიცარიული საჯინიბოს „ზაუბერის“ ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ 2 თებერვალს შედგება გუნდის ახალი ბოლიდის პრეზენტაცია, რომლითაც 2013 წელს გერმანელი **ნიკო ჰიულკენბერგი** და მექსიკელი **ესტებან გუტიერესი** გამოვლენ. პილოტების გარდა, ცერემონიაში მონაწილეობას მიიღებს გუნდის შეფი **მონიშა კალტენბორნი**. პრეზენტაცია შვეიცარიის ქალაქ ჰინვილში გაიმართება.

აღსანიშნავია, რომ „ზაუბერი“ მესამე გუნდია პელოტონში, რომელმაც ბოლიდის პრეზენტაციის თარიღი დაასახელა. თავდაპირველად ეს გააკეთეს „მაკლარენმა“ და „ფორს ინდიამ“.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



ადრიან ნიუი

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**ამხანაგური მატჩი**

| | |
|---|---|
| ვიტესი-ჰელმონდი | გადაიდო |

**ინგლისი — I ლიგა**

| | |
|---|---|
| უოლსოლი-პორტსმუთი | 2:0 |

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| ნიუპორტი-რექსჰემი | 1:1 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| სარაგოსა-ბეტისი | 1:2 |

**ჩრ. ირლანდია**

| | |
|---|---|
| ბალიმენა-ბალინამალარდი | 3:0 |

### კალათბურთი

**ევროლიგა**

| | |
|---|---|
| ჟალგირისი-უნიკახა | 75:63 |
| ალბა-ცსკა | 57:75 |
| ფენერბაჰჩე-მონტეპასკი | 92:98 |
| ოლიმპიაკოსი-ბეშიქთაში | 77:64 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| სარაგოსა-ფუენლაბრადა | 79:74 |
| კანარიასი-მურსია | 80:68 |

### ჰოკეი

**კჰლ**

| | |
|---|---|
| მეტალურგი (მ)-ტრაქტორი | 3:0 |
| ცსკა-ნეფტიხიმიკი | 3:1 |
| დინამო (მ)-ტორპედო | 3:1 |
| სკა-ლოკომოტივი | 4:0 |
| სლოვანი-ავტომობილისტი | 3:1 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| ალბა-ზალცბურგი | 4:1 |
| ვენა-ინსბრუკი | 6:0 |
| ლინცი-დორნბირნი | 3:0 |
| გრაცი-ზნოიმო | 1:2 (ბ) |
| ზაგრები-კლაგენფიურტი | 1:2 (ო) |
| ოლიმპია-ვილახი | 5:4 (ო) |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| აუგსბურგი-კრეფელდი | 2:1 |
| ვოლფსბურგი-კიოლნი | 6:3 |
| დიუსელდორფი-ჰანოვერი | 5:1 |
| ინგოლშტადტი-იზერლონი | 5:2 |
| მიუნხენი-მანჰაიმი | 1:5 |
| შტრაუბინგი-ჰამბურგი | 5:3 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ბისტრიცა-პოპრადი | 2:6 |
| ჟილინა-სკალიცა | 3:5 |
| მარტინი-კოშიცე | 2:4 |
| ნიტრა-ზვოლენი | 5:3 |
| ტრენჩინი-პიესტანი | 3:2 (ო) |

**[illegible]**

| | |
|---|---|
| ოლზორგი-ჰერლევი | 5:2 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| იოკერიტი-ტაპარა | 3:2 (ბ) |
| კალპა-ჰამეენლინა | 2:1 (ბ) |
| პელიკანსი-ბლუზი | 2:1 |
| ტპს-კერპეტი | 2:3 (ბ) |
| ესეტი-ლუკო | 1:4 |
| იუვიასკიულა-ილვესი | 3:2 (ო) |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ტრშინეცი-ჟლინი | 3:2 |
| კლადნო-სლავია | 0:2 |
| ხომუტოვი-კარლოვი ვარი | 3:1 |
| ბრნო-ვიტკოვიცე | 3:2 (ბ) |
| სპარტა-ლიტვინოვი | 6:3 |
| ბუდეიოვიცე-პლზენი | 2:4 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ბერნი-დავოსი | 4:1 |
| კლოტენი-ფრიბურგი | 2:4 |
| ციურიხი-ბილი | 5:2 |
| ლანგნაუ-ცუგი | 2:3 (ბ) |

### ჩოგბურთი

**ATP. ბრისბენი**

| | |
|---|---|
| ბაღდატისი-სიმონი | 6:3, 6:4 |
| დოლგოპოლოვი-ნიშიკორი | 4:6, 6:7 |
| მელცერი-დიმიტროვი | 3:6, 2:6 |
| მარეი-ისტომინი | 6:4, 7:6 |

**ATP. ჩენაი**

| | |
|---|---|
| ჩილიჩი-პერი | 4:6, 6:1, 5:7 |
| ვავრინკა-ბედენე | 2:6, 6:7 |
| ტიპსარევიჩი-სოედა | 6:2, 6:4 |
| ბერდიხი-ბაუტისტა | 5:7, 6:2, 3:6 |

**ATP. დოჰა**

| | |
|---|---|
| გასკე-ბრანდსი | 7:5, 7:5 |
| ფერერი-დავიდენკო | 2:6, 3:6 |

**WTA. ოკლენდი**

| | |
|---|---|
| ვიკმაიერი-ბარტელი | 6:4, 1:6, 7:6 |
| ა. რადვანსკა-ჰემპტონი | 7:6, 7:6 |

**WTA. ბრისბენი**

| | |
|---|---|
| პავლიუჩენკოვა-ცურენკო | 4:6, 6:1, 6:2 |

**WTA. შენჟენი**

| | |
|---|---|
| ნიკულესკუ-ზაკოპალოვა | 1:6, 3:6 |
| ნა ლი-პენგი | 6:4, 6:0 |

**ჰოპმანის თასი**

| | |
|---|---|
| ანდერსონი-ცონგა | 6:7, 6:7 |
| ჯოკოვიჩი-ჰაასი | 6:2, 6:0 |
| სხეპერსი-იოჰანსონი | 4:6, 6:4, 6:4 |
| ივანოვიჩი-მალეკი | 6:0, 6:1 |

## TV პროგრამა

### 5 იანვარი. შაბათი

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ინგლისის ლიგის თასი. კარდიფი-ლივერპული.
13:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXI ტურის მიმოხილვა.
14:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლუმინენსეს გზა.
15:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
16:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-ფეიენოორდი.
18:00 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
19:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-პსჟ.
21:00 გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ბაიერნი.
23:00 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ევერტონი.
01:00 ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ფულემი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
11:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. კლიპერსი-ლეიკერსი.
14:30 კალათბურთი. NBA. ყველა დროის საუკეთესო ჩატენვები. II ნაწილი.
15:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-პალერმო.
17:00 კალათბურთი. ევროლიგა. TOP 16. მონტეპასკი-მაქაბი.
18:45 კალათბურთი. ევროლიგა. TOP 16. ეფესი-პანათინაიკოსი.
20:30 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ალკმაარი-ჰერენვეენი.
22:30 NBA ACTION.
23:30 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. კლიპერსი-ლეიკერსი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. შენჟენი. ჩინეთი (LIVE).
12:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ბრისბენი. ავსტრალია.
16:30 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ლიონი-ატლეტიკო.
18:30 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-ლეიკერსი.
20:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. შენჟენი. ჩინეთი.
23:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. სიდნეი. ავსტრალია.

### 6 იანვარი. კვირა

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ქუინზ პარკი.
13:00 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
14:00 გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-შტუტგარტი.
16:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ფეიენოორდი-აიაქსი.
18:00 იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-ატალანტა.
20:00 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ტოტენჰემი.
22:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-რეალი.
00:00 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ბარსელონა.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. აიაქსი-მანჩესტერ სიტი.
12:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. სან ანტონიო-ფილადელფია.
14:30 NBA ACTION.
15:30 კალათბურთი. ევროლიგა. მიმოხილვა.
16:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-დორტმუნდი.
18:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
19:00 2012 წლის სპორტული მოვლენები.
19:30 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. სან ანტონიო-ფილადელფია.
22:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ტორონტო-ოკლაჰომა (LIVE).
01:00 კალათბურთი. NBA. ყველა დროის საუკეთესო ჩატენვები. II ნაწილი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. შენჟენი. ჩინეთი (LIVE).
12:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ბრისბენი. ავსტრალია.
16:30 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ლიონი-ატლეტიკო.
18:30 კალათბურთი NBA ნიუ იორკი - ლეიკერსი
20:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. შენჟენი. ჩინეთი.
23:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. სიდნეი. ავსტრალია

## ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | -3 | 9 | (მზე) |
| ქუთაისი | 2 | 12 | (მზე) |
| ბათუმი | 5 | 11 | (მზე) |
| ფოთი | 1 | 11 | (მზე) |
| ზუგდიდი | 1 | 9 | (წვიმა) |
| გორი | -8 | 9 | (მზე) |
| თელავი | -4 | 10 | (მზე) |
| სიღნაღი | -3 | 8 | (მზე) |
| ბაკურიანი | -10 | 3 | (მზე) |
| ბორჯომი | -9 | 6 | (მზე) |
| მესტია | -10 | 5(მცირე თოვლი) | |

## ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1691 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6563 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6806 |
| 100 რუსული რუბლი | 5.4533 |

**ამბები**



**კალათბურთი**

## დიდი ფილი ცოლს ირთავს

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში დღის ერთ-ერთი მთავარი ახალი ამბავი NBA-ის ყველა დროის ტიტულოვან მწვრთნელს **ფილ ჯექსონს** უკავშირდება. ლეგენდარული სპეციალისტი დიდი ხნის განმავლობაში ხვდებოდა „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" მფლობელის **ჯინი ბასის** ქალიშვილს. ამ ურთიერთობას ვერაფერი დააკლო ჯექსონის „ლეიკერსიდან" წასვლამ, აგრეთვე ამასწინდელმა უსიამოვნო ისტორიამ, როცა ფილს თითქოს შესთავაზეს მთავარი მწვრთნელის პოსტი, მაგრამ ბოლო მომენტში გადაიფიქრეს და „ლეიკერსი" **მაიკ დ'ენტონის** ჩააბარეს.

და აი, ორი დღის წინ, ფილ ჯექსონმა, როგორც იქნა, ხელი შესთავაზა ჯინი ბასს, რის შესახებაც ამ უკანასკნელმა „ტვიტერის" მეშვეობით შეატყობინა ყველას.

**სამთო თხილამურები**

## ვონი ბრუნდება

ქალებს შორის მსოფლიოს თასის მოქმედი მფლობელი, ამერიკელი **ლინდსი ვონი** ევროპაში დაბრუნდა და სავარჯიშო პროცესი განაახლა. შეგახსენებთ, რომ ოლიმპიური ჩემპიონი დაახლოებით ერთი თვით გამოაკლდა ოფიციალურ ტურნირებს ინფექციის გამო.

როგორც სააგენტო AP წერს, ვონი მსოფლიოს თასზე გამოსვლას 12 იანვარს განაახლებს, როცა მორიგი ეტაპი ჩატარდება ავსტრიაში.

**ფორმულა 1**

## ლუისი თვითონ არ წასულა

„მაკლარენის" ფორვარდმა **რონ დენისმა** ჟურნალისტებს მოუყვა იმის შესახებ, თუ რატომ შეწყვიტა მისმა გუნდმა **ლუის ჰემილტონთან** თანამშრომლობა, რომელიც მომავალ სეზონში „მერსედესის" ღირსებას დაიცავს.

*„ვფიქრობ, არასწორია სიტუაციის ისე წარმოდგენა, თითქოს ლუის ჰემილტონმა თავად დატოვა „მაკლარენი". ცხოვრებაში ერთი ადამიანი არაფერს წყვეტს. ყველაფერი დამოკიდებულია კონკრეტულ გარემოებებზე. მე რეალისტი ვარ. არსებობდა თუ არა ისეთი სიტუაციის შექმნის შანსი, რომლის მიხედვითაც ის ჩვენს რიგებში დარჩებოდა? რა თქმა უნდა, არსებობდა. იქნებოდა თუ არა ეს სამართლიანი? ჩვენ ასე არ ვფიქრობთ.*

*რაც არ უნდა გადაწყვიტონ ადამიანებმა საკონტრაქტო ვალდებულებების ვადის ამოწურვის შემდეგ, უნდა იმოქმედო პროფესიულად და ანგარიში გაუწიო მეორე მხარეს. ლუისი ასე არ მოიქცა. ჩვენ არ ვუსურვებთ ლუის ჰემილტონს ახალ გუნდში დიდ წარმატებას, რადგან ამიერიდან, კონკურენტები ვართ, მაგრამ არც ცუდი გვინდა მისთვის"*, - ამბობს ბრიტანულ პრესაში კომენტარისას დენისი.

**გასული სპორტული წელი**

# წლის კურიოზები

**გაზეთი „ლელო" აგრძელებს გასული სპორტული წლის შეჯამებას. ამჯერად, გთავაზობთ რამდენიმე კურიოზს, რომელსაც, ძირითადად, ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე ჰქონდა ადგილი...**

## ძილისგუდა ეგვიპტელები

ორმა ეგვიპტელმა მოჭიდავემ ხელიდან გაუშვა ლონდონის ოლიმპიადაზე მედლებისთვის ბრძოლის შანსი - მათ სტარტის წინ ჩაეძინათ. მოჭიდავეების შეხვედრები ყოველთვის სადილის შემდეგ იწყებოდა, მაგრამ თამაშების ბოლო დღეს, დახურვის ცერემონიის გამო, სტარტი დილისთვის გადაიტანეს. ეგვიპტელებმა ამის შესახებ არ იცოდნენ ან არ ახსოვდათ, მაგრამ როცა ისინი საჭიდაო დარბაზში მივიდნენ, მსაჯებს მათთვის უკვე წაგება ჰქონდათ ჩაწერილი.

## სერენას კრიმინალური ცეკვა

ოლიმპიური ტურნირის ფინალში **მარია შარაპოვას** დამარცხების შემდეგ **სერენა უილიამსმა** გამარჯვების აღსანიშნავად რამდენიმე საცეკვაო მოძრაობა შეასრულა, რამაც ჟურნალისტებსა და სპორტის მოყვარულთა რიგებში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. საქმე ისაა, რომ ეს იყო crip walk - ამერიკის შეერთებულ შტატებში ცნობილი კალიფორნიული კრიმინალური ბანდის - crip-ის ცეკვა.

*„მე ვიცი ამ ცეკვის დასახელება, მაგრამ ვფიქრობ, არ ღირს მისი წარმოთქმა - ეს არაეთიკური იქნება"*, - განაცხადა მატჩის შემდეგ სერენამ. ჟურნალისტები არ დაკმაყოფილდნენ ამ პასუხით და ამერიკის ღია პირველობის შემდეგ, ისევ წამოწიეს ეს საკითხი, მაგრამ ამჯერად მკაცრი პასუხი მიიღეს. *„ჯერ ერთი, ეს უბრალოდ ცეკვა იყო. მეორეც, არ მესმის, საერთოდ რატომ მეკითხებით ამის შესახებ? ნუთუ უფრო სასიამოვნო კითხვები არ არსებობს?!"*

## დროშის ჩამოვარდნა

ამით ქალთა საჩოგბურთო ფინალის დრამატიზმი არ ამოწურულა. მას შემდეგ, რაც სერენამ crip walk იცეკვა, ამერიკის ჰიმნის ფონზე დროშების აღმართვის დროს, ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტში აშშ-ის დროშა ჩამოვარდა. ვილაცებმა ამაში საჩოგბურთო ღმერთების მხრიდან რისხვა ამოიკითხეს. თუმცა თავად უილიამსი ამის გამო დიდად არ შეწუხებულა და აგრძელებდა გამარჯვების აღნიშვნას.

## ზეიმი რკინიგზის სადგურზე

გერმანელი ბადროს მტყორცნელი **რობერტ ჰარტინგი** ლონდონში ოქროს მედლის მოგების შემდეგ ეიფორიაში ჩავარდა. გახარებულმა მაისურა შემოიხია, ეროვნული დროშით შეიმოსა და სარბენ ბილიკზე განთავსებულ სპრინტერულ ბარიერებს გადაახტა. სანამ ჰარტინგი გამარჯვებას ზეიმობდა, მას აკრედიტაცია მოპარეს. დოკუმენტების გარეშე კი ის ოლიმპიურ სოფელში არ შეუშვეს (დაჯილდოების ცერემონია მომდევნო დღისთვის იყო დანიშნული, ამიტომაც მედალი გერმანელს თან არ ჰქონდა). საბოლოოდ, რობერტს რკინიგზის სადგურზე მოუწია ღამის გათენებამ. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ოლიმპიელს აკრედიტაცია მხოლოდ დილისთვის აღუდგინა.



რობერტ ჰარტინგი



სერენა უილიამსი



ფელიპე კიტადაი



## ორიანი გეოგრაფიაში

ბილბაოს „ატლეტიკის" დაახლოებით 400 გულშემატკივარს აერია ევროპის ლიგის ფინალის ჩატარების ადგილი და რუმინეთის დედაქალაქის ნაცვლად, უნგრეთის დედაქალაქში გაემგზავრა. ესპანურმა ტელეარხმა Antena 3-მა გამოაცხადა, რომ „ატლეტიკის" ფანების ნაწილი ბუქარესტის ნაცვლად ბუდაპეშტში გაემგზავრა იმ იმედით, რომ მხარს დაუჭერდა საყვარელ გუნდს მადრიდის „ატლეტიკოს" წინააღმდეგ მატჩში. მათ ვერ იპოვეს რუქაზე რუმინეთის დედაქალაქი და შეცდომით შეიძინეს ბილეთები ბუდაპეშტზე. როგორც აღმოჩნდა, ევროპელებში ეს შეცდომა საკმაოდ გავრცელებულია - ფინალის დროს სტადიონზე დიქტორმაც ასე გამოაცხადა: *„მოგესალმებათ ბუდაპეშტი! კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ევროპის ლიგის ფინალზე"*. და მას მაშინვე აუტეხეს სტვენა ორივე გუნდისა და გულშემატკივრებმა.

## კორეელთა პროტესტი

გეოგრაფიასთან და ჰერალდიკასთან დაკავშირებული შეცდომები ისეთ დიდ სპორტულ ფორუმებზეც ხდება, როგორიცაა ოლიმპიური თამაშები. საფეხბურთო ტურნირის ორგანიზატორებს ერთმანეთში აერიათ სამხრეთ კორეისა და ჩრდილოეთ კორეის სახალხო რესპუბლიკის დროშები. ეს მაშინ მოხდა, როცა მატჩის წინ, ტაბლოზე ფეხბურთელების ჩამოთვლა მიდიოდა. ამის გამო, კორეელებმა პროტესტის ნიშნად მოედანი დატოვეს და გასახდელში გაემართნენ. საბოლოოდ, მატჩი ერთი საათის დაგვიანებით დაიწყო და ჩრდილოეთ კორეის გამარჯვებით დასრულდა - 2:0.

## მაისურა საკიდით

ჰოკეის ეროვნული ლიგის რეგულარული ჩემპიონატის მატჩის წინ, „ჩიკაგო ბლეკ ჰოქსის" ფორვარდი **მარიან ჰოსა** მოთელვაზე გავიდა მაისურით, რომელიც ჰოკეისტს საკიდთან ერთად ეცვა. მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ სლოვაკმა დისკომფორტი იგრძნო და შეამჩნია, რომ საკიდი უშლიდა ხელს. ჰოსამ პარტნიორს სთხოვა კისრიდან ზედმეტი ნივთის მოშორება. ეს მომენტი შარშან ინტერნეტში ერთ-ერთი მთავარი ჰიტი იყო სპორტულ კურიოზებს შორის.

## შხაპში გატეხილი მედალი

ბრაზილიელმა ძიუდოისტმა **ფელიპე კიტადაიმ** ლონდონის ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა და მას დღე-ღამის განმავლობაში არ იშორებდა. მედალი შხაპის მიღების დროსაც კისერზე ეკიდა, რის გამოც თანაგუნდელთა დაცინვის საბაბი გახდა. ბოლოს, ფელიპემ მაინც გადაწყვიტა მედლის მოხსნა და ჯობდა ეს არ გაეკეთებინა - ძიუდოისტს ჯილდო ხელიდან გაუვარდა. მედალს მოტყდა „ყური", რომელშიც ლენტს უყრიან, თან პრიზმა შესამჩნევი დაზიანებები მიიღო. ფელიპემ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს სთხოვა მედლის გამოცვლა და მას ეს თხოვნა შეუსრულეს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ირაკლი თავაძე**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:50
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608